# საერთო გაზეთი

№54 (183) ● 21-23.XII, 2011 წელი ● გამოდის ოთხშაბათს და შაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი




## saakaSvili qarTul presas ganadgurebas upirebs!



### გოგი თოფაძე:

## `yvelam icis, rom biZina ivaniSvili ar ityueba da rasac gvpirdeba, aucileblad gaakeTebs~

## `ra ena waxdes...~

### ვახტანგ ხარჩილავა:



თუ ჩვენ ვაპირებთ საქართველოში ინგლისური ენა ურთიერთგაგებინების საშუალებად გამოვიყენოთ, მაშინ ხელთ შეგვრჩება შემდეგი ვითარება — ინგლისურენოვანი სომხები, ინგლისურენოვანი აზერბაიჯანელები და ინგლისურენოვანი ქართველები. ჩნდება კითხვა — **ra hqvia im qveyanas, sadac es inglisurenovani xalxebi cxovroben?**



### ლევან ბეჟანიშვილი:

## racufro bevrjer dauZaxebs saakaSvili ruseTis agents biZina ivaniSvils, miTufro metxmas miiRebs ivaniSvili...

## yvelaze metad saakaSvili misTvis saZulvel aslan abaSiZes hgavs, mere ra, rom is dabali iyo da es maRalia? mainc imas hgavs



## რედაქტორის სვეტი

ხომ გითხარით, არჩევნები ახლოვდება-მეთქი.

აგერ სოლომონ თერნალი „presage.tv“-დან იგივეს ამტკიცებს, ხოლო ბატონი სოლომონი კი, როგორც წერილიდან ირკვევა, ნიჭიერი და ბრძენი კაცია და ჰაერში სიტყვებს ტყუილუბრალოდ არ ისვრის.

თუმცა ბრძენობა რად უნდა იმის მიხვედრას, რომ არჩევნები კარსაა მომდგარი?

ერასტი გალავანს რომ გადაევლო და 30 ლარიანი ვაუჩერები რომ დაურიგეს გლეხობას, მე პირადად იმწამვე მივხვდი, არჩევნები სულ მალე, სადღაც გაზაფხულზე დაინიშნებოდა.

— სწორია, სწორია, არჩევნები 5 მაისს იქნებაო — მიდასტურებს ბატონი სოლომონი.



საინტერესოა, იმას, რასაც მე და სოლომონი ასე იოლად ვხვდებით, რატომ ვერ ხვდებიან პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მველებური სიდარბაისლით აგრძელებენ მთქნარებას და ზანტად იმეორებენ ერთიდაიგივეს — არჩევნები ოქტომბერში იქნება, მანამდე კი ერთი წელია დარჩენილი და ყველაფერს მოვასწრებთო.

მე მგონი, ესენი ხელისუფლების დავალებას ასრულებენ და სპეციალურად ავრცელებენ ცრუ ინფორმაციას, თორემ ის, რაც მე და სოლომონმა ვიცით, როგორ შეიძლება ამათ არ იცოდნენ?

თუმცა რომც იცოდნენ, რას ცვლის ეს ცოდნა მათთვის — გატეხილი სახელი გაუმთელდებათ, გაყიდული სინდისი დაუბრუნდებათ თუ რა?

არჩევნებიო კი ვამბობთ, მაგრამ დიდი ასარჩევი და თავსატეხი არც არაფერია — საარჩევნო მოედანზე სულ ორად-ორი ფიგურაა — ერთი ივანიშვილი, მეორე — სააკაშვილი.

ამ ორ ფიგურას შორის არჩევანის გაკეთება კი ისეთი მარტივი და იოლია, რომ საარჩევნო კამპანიას და სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ჩატარებაც კი არ ჭირდება.

მართალია, საარჩევნო გარემო არ გაუმჯობესებულა, სამაგიეროდ, როგორც ამბობენ, „ახალმა მემარჯვენეებმა“ გაიუმჯობესეს ფინანსური მდგომარეობა და ამასთან ერთად ისე შეერწყნენ და შეეხმატკბილნენ სახელისუფლებო გუნდს, რომ ხანდახან მამუკა კაციტაძე პალიკო კუბლაშვილში მერევა.

პალიკოს გახსენებაზე არც ის არის გამორიცხული შალიკოც პალიკოს შეერწყას, ოღონდ მალულად, კონსპირაციულად, როგორც შალიკოს სჩვევია.

ასე რომ დროა, სოლომონ, რომა
კვლავ იარჩევნოს საქართველომა!

ასარჩევი კი, როგორც გითხარით, ბევრი არაფერია — ან მარცხნივ წაზვალ ან მარჯვნივ, ესაა და ეს...

**ვახტანგ ხარჩილავა**

---

ყველაფერი დალაგდა და პაზლის არეული ელემენტებმა ერთმანეთი მონახეს.

რაც მთავარია, საბოლოოდ შეთანხმდა საქართველოს საპარლამენტო არჩევნების თარიღი – 5 მაისი!

სარეკლამო ბანერებზე იქნება წითლად დახატული 5/5!

მერე რა, რომ შაბათია! ჩვენთვის ყველა დღე ხომ შაბათია!

არა, იყო მსჯელობები და სხვა ვარიანტებიც. ყველაზე ეგზოტიკური ვარიანტი იყო 14 ოქტომბერი (რაც, ფორმალურად მაინც, საარჩევნო პროცესის დაგეგმილ ვადებში ჩატარებას გულისხმობდა), როცა მოქალაქეთა ნაწილი ეკლესიებში წავიდოდა, დიდი ნაწილი - მცხეთაში, ხოლო დარჩენილი ნაწილი – საარჩევნო უბნებზე□ მაგრამ ეს თარიღი საკმაოდ მალევე დაიწუნეს.

შედარებით დიდხანს და უფრო სერიოზულად განიხილებოდა 5 აგვისტოს ვარიანტი. კვირა დღეა, მოსახლეობის დიდი ნაწილი დიდი ხანია დასასვენებლადაა იქნება გახეკილი სოფლებში, მთაში თუ ზღვაზე. ამ თარიღის მომხრეები გეგმავდნენ, ჰიდრომეტცენტრის მეშვეობით გავრცელებულიყო ცნობა, რომ 8 აგვისტოს მზეზე მაგნიტური ქარიშხალი, რადიაციული ფონის უპრეცედენტო გაზრდა, და სხვა რაიმე კატაკლიზმები იქნებოდა მოსალოდნელი და მოსახლეობას, განსაკუთრებით, – პენსიონერებს, მოუწოდებდნენ სახლებში დარჩენილიყვნენ.

მაგრამ, საბოლოოდ მაინც 5/5-მ აჯობა და აი, რატომ:

- ჯერ ერთი, ერთი კი არა, ორი ხუთიანია!!

- 2 მაისს ორმაისობა ჩატარდება ქუთაისში, გაიხსნება პარლამენტის შენობა და პრეზიდენტის საყვარელი შადრევანი, რაც არჩევნების წინ ”ნაცმოძრაობის და ხალხის ერთობის” ამაღლებულ ფონს შექმნის.

- 6 მაისს პოლიციის დღესთან დაკავშირებით უკვე 3 მაისიდან საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში დაიწყება პოლიციის ალლუმის მოსამზადებელი წვრთნები, რაც მოსახლეობისათვის ძალის დემონსტრირების ლეგალური საბაბი იქნება.

- დაბოლოს, ხალხი კიდევ ერთხელ დარწმუნდება, რომ მიშა სიტყვებს ჰაერზე არ ისვრის და რომ მრავალჯერ გამეორებული 26 მაისიდან საქართველოს ახალი პარლამენტის ქუთაისში მუშაობის დაწყება შემთხვევითი ფრაზა არ იყო.

მაგრამ მთავარი მიზეზი, რის გამოც შეირჩა 5 მაისი, სულ სხვაა.

სააკაშვილი მიხვდა (ძალიან ბევრჯერ გაუმეორეს და სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა მიმხვდარიყო), რომ არავინ არ აპირებს მის მიერ სერიოზული კონკურენტის გზიდან უკანონოდ ჩამოცილების მცდელობაზე თვალის დახუჭვას. ის, რომ ქეთრინ ეშტონიც და ობამას ადმინისტრაციაც ყურადღებით ადევნებენ თვალს, მოხდება თუ არა ბიძინა ივანიშვილისათვის აბსოლუტურად პოლიტიკური მოტივით წართმეული მოქალაქეობის დაბრუნება, ეჭვს არ იწვევს. რაოდენ არ უნდა ჯიუტობდეს მიშა, მას მაინც მოუწევს ამ ნაბიჯზე წასვლა, რაც გია ნოდიამ თავიდანვე ერთმნიშვნელოვნად შეცდომად ჩაუთვალა მის საყვარელ ხელისუფლებას. ის ერთადერთი ფრაზა, როცა პრეზიდენტმა ივანიშვილი ახსენა – ”ივანიშვილი ჩვენთვის კარგია – ფორმაში ყოფნას გვაიძულებს!”, უკვე უკანდახევის აღიარებაა – სხვანაირად წარმოუდგენელი ცინიზმია კონკურენტის ასეთ ”სარგებელზე” საუბარი, თუ მას, ყურით მოთრეული მიზეზით, პოლიტიკურ რინგზე არ უშვებ.

მაგრამ მიშა შეეცდება, რომ მოქალაქეობის განმეორებით მინიჭება (ესეც უკვე გადაწყვეტილი აქვთ, რომ სწორედ განმეორებით მოწყალების მოღება და არა – საკუთარი შეცდომის აღიარება) ისე მოხდეს, რომ ივანიშვილს არ ეყოს დრო პარტიის სტრუქტურების და ნორმალური სარეკლამო კომპანიის ჩასატარებლად. ამიტომ თებერვლის დასაწყისში, როდესაც სააკაშვილი არჩევნების ვადას დანიშნავს, ის გამოაცხადებს, რომ მიმდინარეობს ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენის საკითხის იურიდიული პროცედურების დაზუსტება, მაგრამ თავად აქტის გამოცემას მხოლოდ მარტში, ან სულაც – აპრილში მოაწერს ხელს.

არჩევნების გადმოტანის მიზეზი მეორე თავსატეხია, რაზეც ნაცმოძრაობის ტვინებში თათბირი და ძიება გრძელდება. ისე, ყურადღება მიაქციეთ ჩანგალთსარდალ ბაქრაძის მიერ გახმაურებულ ვითომ უმნიშვნელო განცხადებას – 2012 წელს რუსეთი ომს ველარ დაიწყებს, ძალიან ბევრი ფული ჩადო ოლიმპიადის ობიექტების მშენებლობაშიო!!! – ეს ოლიმპიადის იმედად ყოფნა რამეს ხომ არ გაგონებთ ახლო წარსულიდან?!!! მე პირადად, ძალიან ცუდად მაგონებს იმ ოლიმპიურ სიმშვიდეს, რომლითაც დიდი სოფლების აღებას გვამცნობდა ჩვენი მაკე-დონელი.

გადაწყდა ისიც, რომ საგარეო ვექტორი უმნიშვნელოვანეს მიმართულებად უნდა იქცეს, თუმცა აქ ჯერ კიდევ გაურკვევლობაა. ადეიშვილი და ბოკერია თვლიან, რომ უცხოელ დიპლომატებთან მუშაობის ტვირთი სწორედ ბოკერიაზე უნდა გადავიდეს, მაგრამ სააკაშვილი ამას

## 5/5 - da gemi micuravs...



ვერ ეგუება. მას არ უნდა დაიჯეროს, რომ მისი საერთაშორისო დიდების მზე ჩაესვენა. ამიტომ ჯერ კიდევ ცდილობს, რომ მეორეხარისხოვანი ვიზიტებით და სხვადასხვა კონფერენციებზე გამოსვლებით და საქართველოს ფანტასმაგორიული წარმატებების მოყირჭებული გაცვეთილი ფრაზების კანონადით, დასავლელ ლიდერებისთვის ხელის ჩამორთმევის და მიღებებზე ფოტოს გადაღების ფორმით ისევ აღიდგენს ძველ შარავანდედს. ამიტომაც ეცდება, რომ მხოლოდ ბაქრაძეს და ვაშაძეს (როგორც დედოფლადგასვლის ამბავში დასაჭურისებულ პაიკებს) ანდოს საგა-

**saakaSvilma da nacmoZraobam kidec rom moigos, mainc waageben. da rac ufro gvian waageben, miT ufro sazareli iqneba es wageba.**

რეო ვიზიტები და განცხადებები – აკი დღეს კიდეც გაუმხილა ვაშაძემ მთელ მსოფლიოს ის, რისი აღიარებაც სააკაშვილს კატასტროფულად „რცხვენია“ – რომ თურმე მიხეილ სააკაშვილს ნამდვილად არ აქვს გეგმაში პრემიერ-მინისტრობა! ძალიან მაინტერესებს მსოფლიოში იმ ლიდერის ან ანალიტიკოსის აღმოჩენა, რომელსაც სჯერა, რომ სააკაშვილი თავის გეგმებს ვაშაძეს ანდობს! ვლადიმერ სოკორი, სერგეი ილარიონოვი, რაფაელ გლუქსმანი და სხვა ანგაჟირებული ფიგურები არ მაქვს მხედველობაში – ეგენი, რა თქმა უნდა, დაუჯერებენ ვაშაძეს და საერთოდ მაგათ მაგ განცხადებამდეც არ ეპარებოდათ ეჭვი, რომ სააკაშვილი თავის რეპუტაციას პუტინის იმიტირებით არ შებღალავდა! ნეტარ არიან „მორწმუნენი“.

საშინაო მიმართულებაც დალაგდა – მართალია, ოპოზიციურად მონათლული აგენტ ენვერ-2-ის, ანუ ეროსი-2-ის დეზავუირება გახდა საჭირო, მაგრამ რამდენადაც ხელისუფლებამ სატელიტიდან „მაესტროს“ გათიშვა მოახერხა, „მაესტროს“ მფლობელებსა და ჟურნალისტებს ნერვები სერიოზულად მოუშალა, მაესტროსათვის ლიცენზიის ჩამორთმევის წინაპირობა შექმნა და ამ არეულობაში გურიაTV-ც გადასანსლა, როგორც ჩვენი უსაფრთხოების საბჭოს მდივანი ამბობს, ეს გამართლებული შეწირვა იყო.

საშინაო პიარის მთავარი მიმართულება ჯანდაცვა გახდა! არცერთი დღე საავადმყოფოს გაუხსნელად! ზოგჯერ დღეში 2 საავადმყოფოც კი იხსნება! ვინ მუშაობს იქ, ვინ მკურნალობს, როგორი ფასებია?... – ამას არავინ კითხულობს. საერთოდ საავადმყოფოების გახსნა ისეთ აჟიოტაჟის, თაყვანისცემის და ბელადის წინაშე მეტანიობის ფონზე მიდის, რომ ივანოვის „ÿâëåí èå Õðèñòà í àðîäó“ მონაგონია!

ახალი სავადმყოფოები + ახალი აღმაშენებელი + ახალი ბათუმი + ლაზიკა/ევრიკა = გოელრო-ს! ანუ სტაბილურობის ოაზისს კრიზისით დანთქმულ და გაუბედურებულ მთელ მსოფლიოში! ინვესტორებო, მთელი ქვეყნისა შეერთდით და მოგროვდით საქართველოს საზღვრებთან, სადაც ბადემომარჯვებული გილაური და თვალებაჟუჟუნებული ვერა დაგხვდებიან! პირველი მერცხალიც, სააკაშვილის მთავრობასთან თავისი სახელით წარმატებულად მოვაჭრე დონალდიც, უკვე ჩამოდის!

გარდა დამშეული მოსახლეობის 30-ლარიანი ვაუჩერებით მოსყიდვის მრავალნაცადი ხერხისა (რაზეც 24 მილიონი ლარი დაიხარჯება – თითქოსდა, ბიზნესის წახალისების საფუძვლით), უფრო სერიოზული გეგმებიც დაიგეგმა და ხორციელდება.

მაგალითად, (კერძოდ, ობამას ადმინისტრაციის) საგარეო მხარდაჭერის მოსაპოვებლად – ავღანეთში მოხდება პენტაგონის ჩანაცვლება ქართული საჯარისო შენაერთებით! წარმოგიდგენიათ – ობამამ ჯარები გაიყვანა, ხოლო მიშა – ქართულ შენაერთებს ზრდის! ხომ ვიცოდით, რომ ავღანეთს ვერც რუსეთი და ვერც ამერიკა ვერ ააშენებდნენ საბოლოოდ – აგერ, მაინც ჩვენს იმედად დარჩნენ ავღანლები! ოღონდ სკამზე დატოვონ და მეძუძურ დედებს არ გააგზავნის მიშა საომრად?! გააგზავნის! ეგეც გამართლებულ შეწირვად ჩაითვლება ბოკერიას მხრიდან!

...და გემიც მიცურავს!

მერე რა, რომ წყალი ლამის კიჩომდეა, კაპიტანი გონზე აღარაა, მეზღვაურები იხრჩობიან, გემბანზე ხანძარი მძვინვარებს და მაშველ ნავებში მხოლოდ ბობოლების ოჯახების ადგილია!.. მთავარია – ორკესტრი ისევ უკრავს, შამპანურიც იღვრება, ჰიმნიც ისმის, ხალხი მღერის წაგებულ/მოგებულ ომზე და დაკარგულ ტერიტორიებზე, რომელთა დაბრუნებასთან ყველაზე ახლოს სწორედ ეხლა ვართ, და ეკრანზეც გადის ლამაზი ფილმი – ლამაზ ქალაქებზე, ლამაზ შადრევნებზე და ლამაზ მომავალზე, რომელიც სწორედ ამ ხელისუფლებამ მოიგონა, დაწერა, დადგა და, თავადვე დაასამარა.

**P.S. თუმცა, არის ორი „თუმცა“**

**ა) 2003 წლის დასაწყისშიც მსგავსი გამარჯვების გეგმები ჰქონდათ მოქალაქეთა კავშირის მესვეურებს, მაგრამ ის მოხდა, რასაც არავინ ელოდა – ყველაფრის მსურველმა მთავრობამ ბრიშტი მიიღო და რაც მთავარია, უცხოეთმა არ „გაუპრავა“ ერთგულ შევარდნაძეს არჩევნები. თუ ვინმეს ჰგონია, რომ დღეს სააკაშვილის საერთაშორისო რეიტინგი შევარდნაძის 2003 წლის საერთაშორისო რეიტინგს აღემატება, რაც უფრო დიდხანს ეგონებათ ასე – მით უკეთესი!..**

**ბ) 2011 წლის წლის დასაწყისში არაბული ქვეყნების დესპოტებსაც ხელებს უკოცნიდნენ, „ქვეყნის იმედს“ უძახდნენ და ყიჟინით მოსდევდნენ ასეულები, მაგრამ მერე აღმოჩნდნენ, რომ ამ ასეულების ენთუზიაზმს ათასეულები და მილიონები არ იზიარებდნენ და ეს ამბავი კიდევ უფრო უარესად დამთავრდა.**

**სააკაშვილმა და ნაცმოძრაობამ კიდეც რომ მოიგოს, მაინც წააგებენ.**

**და რაც უფრო გვიან წააგებენ, მით უფრო საზარელი იქნება ეს წაგება. უბედურება იმაშია, რომ „უმაღლესი მხედართმთავრის“ დანგრეული ფსიქიკა უკვე კონტროლს აღარ ექვემდებარება. ადრე დედა იყო უკანასკნელი ტრანქვილიზატორი. ახლა უკვე ესეც აღარ ჭრის...**

**სოლომონ თერნალი**
**presage.tv**

იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალაა.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# მაინც რამდენი გიჟია საქართველოში?

იმის გამო, რომ არ არსებობდა ოფიციალური სტატისტიკა, რამდენი იდიოტი ცხოვრობდა საქართველოში 2003 წლის მონაცემებით, მახსოვს, იმ დროს გამომავალმა ერთ-ერთმა გაზეთმა გადაწყვიტა საკუთარი ძალებით შეძლებისდაგვარად გამოეთვალა მათი რიცხვი.

იდიოტების რიცხვი ელვისებური სისწრაფით მატულობდა იმ ხალხის ხარჯზე, რომელთაც სჯეროდათ, რომ მიხეილ სააკაშვილი ედუარდ შევარდნაძის მტერი იყო (ან პირიქით), ხოლო აწ გარდაცვლილი ზურაბ ჟვანია შევარდნაძის შეურიგებელი ოპოზიციონერი; იმ ხალხის ხარჯზე, რომელთაც სჯეროდათ, რომ საკრებულოს



თავმჯდომარის სავარძლის დათმობა სააკაშვილისთვის არ ნიშნავდა მხოლოდ მთელი თბილისის კი არა, მთელი საქართველოს ხელში აღებას; იმ ხალხის ხარჯზე, რომელთაც სჯეროდათ, რომ მიხეილ სააკაშვილი მდიდრებს წაართმევდა და ღარიბებს მისცემდა...

ამასწინათ, ბატონმა ზურაბ გაგნიძემ ბრძანა, ფსიქიური აშლილობა ქართველი ერისთვის დამახასიათებელი მენტალობა არ არის, მაგრამ ახლა ეს, საერთო მოვლენა გახდაო. რა გასაკვირია, ვინც იდიოტობიდან სრულად გამოვიდა, მიიხედ-მოიხედა შემცივნულმა, დამშეულმა, დაინახა რაც მოიტანა მისმა და მისნაირი იდიოტების „მიშა! მიშას“ ყვირილმა, ფსიქიური აშლილობა დაემართა. მე დავამატებდი, არც სკლეროზიანობის მაჩვენებელია დაბალი-თქო. აბა, როგორ არ ვიფიქრო ასე, როცა ლიფტების და სახურავების შეკეთებით მოტყუებულები ახლა შადრევნებს და ასფალტს შეჰხარიან, ნამდვილად სჯერათ საქართველოს ეკონომიკური წინსვლისა და შესაბამისად, ჰგონიათ, რომ ქვეყნის ალმშენებლობით, მხოლოდ სინგაპურს თუ ჩამოვრჩებით და, ამ წელს რაღა იქნება, იმ წლის ბოლოსთვის მასაც გადავუსწრებთო.

„ეს პარლამენტი ასათიანზეა გადასატანი!“ — გაჰყვიროდა ცხონებული ვახტანგ გოგუაძე.

ვინ იყვნენ პარლამენტში იმ დროს? — დღევანდელი მმართველი გუნდი.

გემახსოვრებათ, ლერი გელენავა ფსიქიატრიულ შემოწმებასთან ერთად ნარკოლოგიურ შემოწმებასაც ითხოვდა. იქით ვიღაც პროქტოლოგის ჩარევის საჭიროებასაც ხედავდა.

ისიც გემახსოვრებათ, გივი თარგამაძე შეძლებისდაგვარად რომ აფჩენდა პირს, როგორც კი სააკაშვილი იუსტიციის სამინისტროში მივიდა, პირველმა ჩააბარა სისხლი ნარკოლოგიურ შემოწმებაზე და მთელმა სამინისტრომ იგივე გააკეთაო. ამაზე ხალხი ქირქილებდა, სააკაშვილს არც ნარკომანობას ედავება ვინმე და არც სხვა რამეშია ეჭვმიტანილი, ფსიქიატრიული შემოწმება გაიაროსო. სხვები ეპასუხებოდნენ, გავლილი აქვს, ახლიდან რატომღა გაიაროს, საბუთი ხელში უჭირავს, არ ეტყობა რომ გიჟიაო? — ისინიც ქირქილებდნენ.

ბატონი თემურ მირიანაშვილი ისე დააცხრა თავს სააკაშვილს ყვირილით, გიჟი ხარო, ედუარდ შევარდნაძე ვეღარ აშოშმინებდა, ლამის თემურს ჩააცვეს გიჟის პერანგი...

მოკლედ, გიჟი იყო თუ არა, სააკაშვილი საკრებულოს თავმჯდომარეც იყო, იუსტიციის მინისტრიც და პრეზიდენტიცაა, თანაც, კარგა ხანია თვითონ ქირქილებს მის განმქიქებლებზე, გიჟები თქვენ ხართო...

ისიც გემახსოვრებათ, ბატონი აბელ მამარდაშვილი (რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმი) რომ შეწუხებულ-შეძრწუნებული იყო მისი ყოფილი პაციენტების პოლიტიკურ არენაზე ხილვით, თუმცა, პროფესიული ეთიკიდან გამომდინარე მათ ვინაობას არ ასახელებდა.

მაშინვე ვიკითხე, ვიცი, ერთი კაცია ეჭვმიტანილი „გიჟობაში“, დანარჩენები ვინღა არიან-მეთქი? — არავინ დამიკონკრეტა.

ცხონებულმა გივი გრიგოლიამ (ფსიქიატრი) მითხრა, დღეისათვის 75 000 ადამიანია საქართველოში ისეთი, რომელთა ქუჩაში სიარული კონტროლის გარეშე, საფრთხეს უქმნის ნებისმიერ გამვლელსო. ეს ის კატეგორიაა, რომელსაც მუდმივად ესაჭიროება ექიმის ზედამხედველობა და მედიკამენტებიო, — 2001 წელი იყო...

ისევ ბატონი მამარდაშვილის სიტყვები მინდა გავიხსენო, რომელიც ჯერ კიდევ 1997 წელს თქვა: — „როდესაც ერთმანეთს ადარებენ პარლამენტსა და საგიჟეთს, გადაჭარბებულად სულაც არ მეჩვენება, რადგან, არ არსებობს ადამიანთა ისეთი დაჯგუფება, სადაც რამდენიმეს მაინც არ ჰქონდეს გადახრილი ფსიქიკა... ყველა ნორმალური აზროვნების რომ იყოს, არც მტრობა იქნებოდა, არც ომი, არც ექსცესები“...



ახლა რა ხდება არ ვიცი, მაგრამ რაც დემოკრატიისკენ „სრაფვა“ დავიწყეთ, როგორც მაშინ გავარკვიე, არჩევნების წინ, არცერთ დეპუტატობისა თუ პრეზიდენტობის კანდიდატს ფსიქიატრიული შემოწმება არ გაუვლია.

სამწუხაროდ, ვერ ვიხსენებ სრულად მის გვარ-სახელს, მაგრამ გახმაურებული ამბავია, — აშშ-ში ერთერთი საპრეზიდენტო არჩევნებისას, ერთ-ერთმა პრეზიდენტობის კანდიდატმა კითხვაზე: — „რა დამოკიდებულება გაქვთ ფსიქიატრთან?“ — უპასუხა: — „მხოლოდ ორჯერ მქონდა ფსიქიატრთან ვიზიტი, იმიტომ, რომ უძილობა მაწუხებდა“. ჩვენი საზომით ამგვარ



უმტკივნეულო აღიარებაზე იმხელა ხმაური ატეხა აშშ-ის მასმედიამ, რომ პრეზიდენტობის მაძიებელმა სასწრაფოდ მოხსნა თავისი კანდიდატურა.

ამ გახსენებაზე ის კადრები გამახსენდა, „რუსთავი-2-ში“ მიწვეული სააკაშვილი ჟურნალისტ გოგონებს რომ ეჭყლოპინებოდა რაღაც უაზრობებს და დამახასიათებელი კისკისით კარების გახურვისთანავე ერთმა მეორეს რომ უთხრა ხითხითით, აუ, ეს მართლა რა მაგარი გიჟიაო და... ინტერვიუ ჩამოართვეს.

უკვირთ, რატომ უყვარს ბატონ მიხეილს ბრჭყვიალა გასართობებიო, — ბრჭყვიალი ბავშვებს, კაჭკაჭს და ფსიქიურად აშლილებს უყვართ. ბატონი მიხეილი, ასაკიდან გამომდინარე, ბავშვი რომ არ არის, ფაქტია; მიუხედავად ცაში ნავარდის სიყვარულისა, კაჭკაჭიც არ არის; ვერც იმას ვიტყვი რომ გიჟია, რადგან, ვეჭვობ, გიჟი არასდროს იტყვის: — „ქვეყნის პირველი გიჟი ვარ და სიმართლეს ყოველთვის ვიტყვი!“

კარგად მახსოვს მისი სიტყვები, რომელიც „კურიერში“ თქვა ისტერიული ქადილით, ცოცხლად დავმარხავ ყველასო და შეასრულა; ამჯერად, დროებით ბოლო იმიტომ, რომ ანაკლიასა და ყულევს შორის ახალი ქალაქის აშენება განუზრახავს, ლაზიკა ერქმევაო და თან სადღაციდან 500 000 კაცის ჩასახლებასაც აპირებს ახალ ლაზიკაში — და შეასრულებს, რადგან მისნაირებმა აკვიატება იციან. მისთვის რა მნიშვნელობა აქვს, ის 500 000 კაცი ვინ იქნება, ჩინელი, ე.წ თურქი მესხი, ინდოელი თუ ბური, მთავარია აკვიატებას დაიკმაყოფილებს, აბა, 500 000 ჩასასახლებელი ქართველი საიდან უნდა გამოჩეკოს?

ახლა უკვე დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ აბელ მამარდაშვილის მართლაც არაერთი ყოფილი პაციენტი ყოფილა პოლიტიკურ სარბიელზე. ისიც მართალი ყოფილა, რომ ადამიანთა ჯგუფში წარმოუდგენელია რამდენიმე გადახრილი ფსიქიკის არ იყოს, — ესენი ხომ „ერთი გუნდი“ არიან თავის ლიდერიანად; ესენი ხომ გუნდურად ანგრევენ საქართველოს და გუნდურადვე აშენებენ წყალწასაღებ რაღაც ხიდებს, გუნდურად აპირკეთებენ შენობის მხოლოდ ფასადებს, გუნდურად მოსწონთ ქუთაისი, ბათუმი, სიღნაღი თუ მესტია, გუნდურად დადიან ყველგან და გუნდურადვე გაჰყვირიან, ჩვენ ერთი გუნდი ვართო...

დადგა დრო, გავარკვიოთ, მაინც რამდენი ფსიქიურად აშლილია 2011 წლის დეკემბრის მონაცემებით საქართველოში?

იმდენი, რამდენსაც კიდევ სჯერა მიხეილის ზღაპრების; ამას დამატებული იმდენი, რამდენსაც კიდევ სჯერა, რომ ისინი, ვინც ყველაზე ხმამაღლა ყვირიან, რომ ოპოზიციონერები არიან, მართლა ოპოზიციონერები არიან; იმდენი, რამდენიც ორი გროშის ფასად თავს იტყუებს და მიშას გუნდის სასარგებლოდ აღიარებს, რომ ბედნიერად ცხოვრობს; იმდენი, რამდენსაც საქართველო ფეხებზე ჰკიდია და ამბობს ქართველი ვარო, იმდენი... — ძალიან, ძალიან ბევრი იმდენი...

**მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# rac ufro bevrjer dauZaxebs saakaSvili ruseTis agents biZina ivaniSvils, miT ufro met xmas miiRebs ivaniSvili...



**„საერთო გაზეთის“ სტუმარია რესპუბლიკელების ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი.**

— ადმინისტრაციული რესურსის, საარჩევნო გარემოს, საშინაო ვითარების, საგარეო პოლიტიკის გათვალისწინებით ამ ოპოზიციურ გაერთიანებას, რომელიც ხელისუფლების ალტერნატივაა, აქვს გამარჯვების შანსი.

ჩვენც სწორედ აქედან ამოვდივართ: ვითვალისწინებთ, რასაც ჩაიდენს ხელისუფლება... რაც შეიძლება მან ჩაიდინოს, ამისდა მიუხედავად, მაინც ვაპირებთ გამარჯვებას. ეს იმიტომ, რომ სერიოზულად გვაქვს ხალხის მხარდაჭერის იმედი.

**— მერედა,ეს სახელისუფლებო არხები თქვენ სურვილსა და მოთხოვნებს გაითვალისწინებენ?**

— არჩევნების წინ ტელევიზიებმა უარი თქვან დებატებზე, ეს ნიშნავს, უარი თქვან ფულზე და რეკლამაზე. თუკი ტელევიზიას არავინ უყურებს, მაშინ იქ ხომ ადგილი არ ექნება სააკაშვილის განდიდებას? ამიტომ ამ ტელევიზიებში დებატები გაჩნდება, მაგრამ გაჩნდება უფრო გვიან, ვიდრე ადრე, როგორც მათ ეს სჩვევიათ.

თუმცა ჩვენ ვისარგებლებთ იმ პატარა ხვრელებითაც კი, რომლებიც გაჩნდება ამ ტელევიზიებში. იმედი გვაქვს, რომ ცოტა უფრო ვრცლად ვიქნებით წარმოდგენილი პირველ არხზე, ვიდრე ეს მოხდება „რუსთავი-2“-ზე და „იმედზე“, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, პატარა ტელევიზიები, მათ შორის ისინი, რომლებიც მაუწყებლობენ მთელ საქართველოზე, ვთქვათ „მაესტრო“- თბილისზე და რეგიონებზე, მაგალითად, „კავკასია“... ამავე დროს, რეგიონალურ ტელევიზებზეც გავალთ, როგორიც არის „25-ე არხი“-ბათუმში, როგორიც არის „ჰერეთი“ და ა.შ. და ა.შ. ყველაფრით ვისარგებლებთ, სადაც კი შეიძლება ჩვენი გამოჩენა.

**— ტელევიზიებთან მიმართებაში არ შემიძლია უპასუხოდ დავტოვო ის კამპანია, რასაც ე.წ. „სახელისუფლებოებმა“ „ქართული ოცნების“ პრეზენტაციის დროს მიმართეს: ამ ნაცისტურმა არხებმა ქართული ინტელიგენცია დაძველებულ სახეებად მოიხსენეს...**

— ნაციონალურ მოძრაობას ხელს არ უნდა აძლევდეს დაძველებულ სახეებზე ლაპარაკი, რადგან მათი პრობლემა სწორედ ამაშია: მათ დაუძველდათ პრეზიდენტი. ამოეწურა ვადა და წასვლა არ უნდა. ძველი ვინ არის, გამოსაცვლელი და ნაფტალინში ჩასადები, ჩვენთვის ცნობილია.

რამდენი, იტყვიან ძველი სახეებიო, იმდენჯერ მოქალაქეები ჩვენთან ერთად იგულისხმებენ, მაგალითად, მიხეილ მაჭავარიანს, რომელიც შევარდნაძესთან ერთად რამდენიმე ათეული წელია უკვე პოლიტიკაშია... მაგალითად, მიხეილ სააკაშვილს, რომელიც უკვე ოცი წელია, არ შორდება პოლიტიკურ არენას. მითუმეტეს, უკვე თითქმის 10 წელია, რაც პრეზიდენტია და ა.შ. ამიტომ ძველი სახეების მოცილება რომ უნდა ხალხს, იმიტომ მოსწონს ახალი სახე-ივანიშვილი.

**— ბატონო ლევან, რა პრობლემები შეიძლება შეექმნას ოპოზიციას?**

— როდესაც ხელისუფლებას თბილისში ხმას აძლევს 26% და რომელიმე რაიონში 99%-ია ეს მაჩვენებლი-უკვე პრობლემაა ჩვენთვისაც, თქვენთვისაც და პატიოსნებისთვისაც. 26% თუ გაქვს თბილისში, რატომ უნდა გქონდეს 99% მარნეულში, მიშაა? რა ასეთი აუშენე და გაუკეთე მარნეულს? მათთვის ხომ არავის არაფერი განსაკუთრებული გაუკეთებია? ესე იგი, იმას ნიშნავს, რომ იქ პატიოსანი კენჭისყრა არ მიმდინარეობს. ამიტომ ჩვენ შევეცდებით, რომ სწორედ მარნეულში, ჯავახეთში და სხვა ასეთ ადგილებში შევიდეთ და ასევე ვიზრუნოთ იმაზე, რომ მათ სიაში არ აღმოჩნდეს რომელიმე ქართული რეგიონი.

**— თუმცა არც ამ მხრივ არის საქმე მაინც და მაინც კარგად, რადგან ოპოზიცია, დამეთანხმებით და სამეგრელოსაც ე.წ. პრობლემურ რეგიონად მიიჩნევს, რა არის ამის მიზეზი და რას აპირებთ ამ ტენდენციის გამოსასწორებლად?—**

— დიახ. გეთანხმებით. ვფიქრობ, საკმაოდ დიდი სამუშაო გვაქვს სამეგრელოში. როგორც ჩანს, იქ უფრო იოლად დათესეს შიში, ეს არის ბატონი ახალიას ფაქტორი, ეს არის ხელისუფლების განსაკუთრებული ინტერესის ფაქტორი...

თორემ, ჩვენ ერთნაირები ვართ ქართველები ყველგან: სამეგრელოში, გურიაში, იმერეთში და სადაც გნებავთ... მიხეილ სააკაშვილს სამეგრელოში საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს გარკვეული მიზეზების გამო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამეგრელომ ის აღიქვა მისი საქმის გამკეთებლად, როცა შევარდნაძე იქნა დამხობილი. შევარდნაძეს მხედრიონისა და იმ სამოქალაქო დაპირისპირების გამო სამეგრელოში ძალიან დაბალი რეიტინგი ჰქონდა. გასაგებია, რომ მიხეილ სააკაშვილი ჯერ ეზიზღებოდათ სამეგრელოში, როგორც შევარდნაძის ყმა და შვილისთვის ედუარდის დამრქმევი და მერე შეიყვარეს, როგორც ედუარდის ჩამომგდები და იმის განმმარტებელი, რომ შვილს შევარდნაძის გამო კი არა, არამედ სიმამრის გამო დავარქვი ედუარდიო. შეიცვალა დამოკიდებულება და ის გმირად ითვლებოდა. ჩვენც შეგვიძლია ეს ვითარება გამოვცვალოთ, რადგან მიხეილ სააკაშვილმა ამოწურა თავისი შანსები და შესაძლებლობები მთელ საქართველოში, მათ შორის, სამეგრელოში, ამიტომ იქაც ვიმუშავებთ.

**— რასაც ხელისუფლებასთან მებრძოლი ძალები გვპირდებიან, შესაძლოა, ამგვარი ფორულირებითაც გამოვხატოთ — თუ გინდა მშვიდობა, ემზადე ომისთვისო... ეს არჩევნები მღელვარების გარეშე, ალბათ, არ ჩაივლის და რამდენად მოსალოდნელია ხმების დასაცავად სახალხო გამოსვლების ორგანიზება?**

— პრინციპული საკითხია: ხელისუფლებას არჩევნებით ვცვლით, თუ არჩევნების გარეშე. არჩევნებით შეცვლა გულისხმობს ყველაფერს. მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება არჩევნების შედეგებს არ აღიარებს, უარყოფს, გააყალბებს, მაშინ მოსალოდნელია ყველა ხერხით არჩევნების შედეგების დაცვა. ეს იქნება ქუჩის აქციები და ა.შ. და ა.შ. უბრალოდ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქუჩის აქციებით ხელისუფლება არ უნდა შევცვალოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არსენალიდან ამოვიღოთ რომელიმე საშუალება, რომელიც დაგვჭირდება ხმების დასაცავად.

ხმების დასაცავად მივმართავთ ყველა ნებდართულ ხერხს. ერთადერთი, რაც მინდა გითხრათ: თავი და თავი არის არჩევნები და იქ გამარჯვება. ჩვენ თუ არჩევნებში გავიმარჯვეთ, მერე სააკაშვილი მოგვცემს ამ გამარჯვებას, თუ არ მოგვცემს, ჩვენ მას მაინც ავიღებთ. ანუ გამარჯვებული თუ ვიქნით, ხალხმა თუ მოგვცა ხმა, ჩვენ ამ ხმებს არ დავკარგავთ და ამის ილუზია ნურავის ექნება, რომ ჩვენ მოვუგებთ 20:0-ს და იტყვიან, თქვენ წააგეთო-არა, ასე ვერ მოხდება. ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ეს ხმები დავიცვათ.

**— ანუ ამჯერად აღარ იმოქმედებს შიშის სინდრომი და ხალხი ხმების დასაცავად გამოვა? ამის იმედი არსებობს?—**

— წარმოიდგინეთ, თქვენ მიეცით ხმა ბიძინა ივანიშვილს... დავითვალეთ ეს ხმები თქვენ მოიგეთ და მერე გეუბნებიან, მე შენი აზრი ფეხებზე მკიდია, მოიგე, მაგრამ მაინც წააგეო..რა თქმა უნდა, ხალხი დაიცავს თავის ხმას და ჩვენც დავიცავთ ხალხს. ხალხი და ჩვენ ერთად დავიცავთ გამარჯვებას. თუ ხალხი ხმას იძლევა, ის გულსაც იძლევა და ხმის დამცველიც არის.



თუკი წავაგეთ და ხალხს დავაბრალეთ-კი მოგვცეს, მაგრამ გაგვიყალბესო, მაგრამ ამ დროს რეალურად არ მოუციათ ხმა, მაშინ ხალხი არ გამოვა.

**— სხვათაშორის, სულ ახლახან თქვენმა ძმამ, დავით ბერძენიშვილმა საკმაოდ საინტერესო კითხვა დასვა: აქვს თუ არა კახა ბენდუქიძესა და პრეზიდენტის ბიძას თემურ ალასანიას, რუსეთის მოქალაქეობა?**

— ახლა საქართველოს პრეზიდენტმა რომ ბიძინა ივანიშვილს უკანონოდ და რაც მთავარია, გაუაზრებლად და პანიკაში ჩავარდნილმა ჩამოართვა მოქალაქეობა-ეს სრულიად ნათელია. იმიტომ რომ, ხელისუფლების ისეთი მომხრეები, როგორიცაა გია ნოდია და ვიღაცები... ამბობენ, რომ ეს არ იყო ჭკვიანური საქციელი. შემცდარი ხელისუფლება აღელდა ძალიან, შეცდა, მაგრამ, როგორც ძველი რომაელები გვასწავლიან: შეცდომა ადამიანურია, არაადამიანური და სულელური არის-შეცდომაში გაჯიუტება.

მიხეილ სააკაშვილი შეცდა-გასაგებია, ახლა უნდა გამოასწოროს თავისი შეცდომა და აღუდგინოს ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა, თუ ამას არ გააკეთებს, ეს ნიშნავს, რომ იგი თავის შეცდომაში გაჯიუტდება. შესაბამისად, ყოველთვის დარჩება კითხვა — როგორ, კაცო? ალასანიას-რუსეთის გენერალს, ფსბ-ს გენერალს, ეკუთვნის საქართველოს მოქალაქეობა, კაცი რუსეთის ინტერესებს იცავდა გაეროში და არ ეკუთვნის ეს ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც ყველა ქართული ძეგლის აღდგენაზე იზრუნა? ეს გაუგებარიც იქნება და უსინდისობაც.

მიხეილ სააკაშვილი ამ მოქალაქეობას ხომ „უპრაგონოდ“ არიგებს? საქართველოს მოქალაქეობა აქვს მაგალითად, ნახევარ უკრაინას...და ძალიან ბევრს აქვს. გვიტრიალებენ ამ ქართულ პასპორტებს, აქაოდა, ხომ გვაჩუქეთო. ამერიკელებს აძლევენ, ჩინელებს აძლევენ....ვისაც გაუხარდებათ ყველას.

და ქართველს მოქალაქეობა წაართვა? თან ისეთ ადამიანს, რომელიც დაიბადა აქ, გაიზარდა აქ, მთელი ცხოვრება რასაც მიაღწია, თავისი ქვეყნისთვის ზრუნვას მოახმარა... ძალიან არასწორია და შესაბამის პოლიტიკურ პასუხსაც მიიღებს. ამიტომ მიხეილ სააკაშვილისთვის უფრო სასარგებლოა აღუდგინოს მოქალაქეობა, ვიდრე არ აღუდგინოს.

ახლა ვნახოთ, თუ ის ვერ გააკეთებს სწორ დასკვნას, მიიღებს ძალიან სწორ პასუხს ქართველი ხალხისგან. ყველა დღე, როცა არ უბრუნებს მოქალაქეობას, არის დაკარგული მიხეილ სააკაშვილისთვის და მინიჭებული ბიძინა ივანიშვილისთვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ გაერკვევა ამაში ყველა და ქართველ ხალხს ეს არ შეეშლება.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას...მე პირდაპირ გეტყვით: ქართველი ხალხის მოთხოვნა არის რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება.

მიხეილ სააკაშვილი რუსეთთან ურთიერთობას ვერ და არ დაარეგულირებს, ამ დროს ქართველი ხალხის მოთხოვნაა დაარეგულირო. თუ ჩემი არ გჯერათ, ჩაიხედეთ გამოკითხვებში. ხალხი ითხოვს ამას. შესაბამისად, ხალხი სინამდვილეში ითხოვს, სააკაშვილი არ იყოსო...

**— ესე იგი, რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების ქვეტექსტი სააკაშვილის გადაყენებაა?-**

— რა თქმა უნდა, როდესაც ხალხის ძირითად მასა ამბობს —


იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

დაარეგულირე ურთიერთობა რუსეთთან და მერე ეკითხები, სააკაშვილს შეუძლია ეს და — არა, არ შეუძლიაო გპასუხობს....ნუ, ახლა ორჯერ ორის ანგარიში ყველას შეგვიძლია.

მოლაპარაკება არ იქნება იოლია მაგრამ ჩვენ შანსი გვაქვს, მიხეილ სააკაშვილს შანსი არ აქვს. მე ასევე მინდა მოვესწრო იმ პირველ ნაბიჯებს, რომელსაც საქართველო ევროკავშირისკენ გადადგამს, ეს შესაძლებელია, მაგრამ მიხეილ სააკაშვილთან ერთად ეს არის გამორიცხული. და იმიტომ კი არა, რომ არ უნდა... მიშას ძალიანაც უნდა საქართველო ნატოსა და ევროკავშირში, უბრალოდ, ასეთი მმართველობის პირობებში გამორიცხულია ან ნატო, ან ევროკავშირი. ამდენი ტყუილის, ამდენი ყალბი დაპირების და ამდენი სისულელის, მაგალითად, ლაზიკის- ამ სისულელის შემდეგ ნატოში არ გველოდებიან.

**— სააკაშვილის ახალი პროექტი „ლაზიკა“ ახსენეთ, როგორც მივხვდი, თვლით, რომ ეს გადაყრილი ფულია?—**

— არა, მე ვთვლი, რომ ფული არ გადაიყრება და არც არაფერი გაკეთდება. მე ვთვლი, რომ ეს გადაყრილი სიტყვებია და რა თქმა უნდა, არაფერი გაკეთდება. თუ პეტრე პირველს ბაძავს და ჭაობში აშენებს... მან ააშენა ქალაქი, რომელსაც ჰქონდა ფუნქცია. ის უნდა გამხდარიყო რუსეთის მთავარი ქალაქი და გახდა კიდეც, მთავარიც და დედა-ქალაქიც და რუსეთის ფანჯარა ევროპაში და ა.შ.

ორი მომენტია: მიხეილ სააკაშვილი პეტრე პირველი არ არის. ჰგავს მხოლოდ ერთი ნიშნით-არის ტანმაღალი. მეტი რა აქვს პეტრე პირველთან საერთო? მასავით რეფორმატორობით ვერ დაიკვეხნის. პეტრე პირველი ჰოლანდიაში ცოლის მოსაყვანად კი არ წავიდა—დურგლობა და მშენებლობა ისწავლა. პეტრე პირველი, რომ ყოფილიყო მიხელ სააკაშვილი საქართველოს სანაოსნოს აღადგენდა, გემებს გააკეთებდა, რაც პეტრე პირველმა გააკეთა.

მიხეილ სააკაშვილი ისტორიული შედარების თვალსაზრისით, პეტრე პირველთან და ათათურქთან შესადარებელი კაცი არ არის. მე ვიცი, ვისაც უნდა შევადარო.

**ყველაზე მეტად სააკაშვილი მისთვის საძულველ ასლან აბაშიძეს ჰგავს. მერე რა, რომ ის დაბალი იყო და ეს მაღალია? მაინც იმას ჰგავს, იმასაც ასეთი „იმედი“ და „რუსთავი-2“ ჰქონდა, ტელევიზია „აჭარა“ ჰყავდა ანალოგიურ მდგომარეობაში. იმასაც ასე ვერ უბედავდნენ სიმართლის თქმას თავისიანები და ისიც მილიონებს ხარჯავდა საკუთარი ხუშტურების დასაკმაყოფილებლად.**

მასაც ზუსტად ისე შემოეფცქვნა ხელში საკუთარი ქვეყანა, როგორც ამას. იმანაც ისეთი ვნება მოუტანა საქართველოს აჭარის იზოლირებით, როგორიც მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს აფხაზეთისგან და ოსეთისგან იზოლირებით. ასე რომ, ყველაზე მეტად მას ჰგავს, ისტორიაშიც ვერ შევა პეტრე პირველის და დიდი რეფორმატორის სახელით. იმიტომ რომ, მიხეილ სააკაშვილი არის კაცი, რომელმაც თქვა, ალბათ, ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მეტი ტყუილი მსოფლიო პოლიტიკოსებთან შედარებით.

**— ბატონო ლევან, ამ ბოლო დროს ინტენსიურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ ნაციონალები გადმოდიან თქვენ რიგებში, ყოველი შემთხვევისთვის, ითხოვენ ამას, რამდენად რეალურია ეს განაცხადი?—**

— ინფორმაცია გვაქვს, სახელები და გვარები არა, ანუ არის ტენდენცია, როგორც ჩანს და არის ამაზე ბევრი ლაპარაკი, მაგრამ ჯერჯერობით, არც ერთი ასეთი სერიოზული ნაბიჯი-დიდმა ნაციონალმა რომ დატოვა თავისი პარტია ხმაურით და მიაჯახუნა კარი, არა გვაქვს. მართალი გითხრათ, ამ პროცესის იმედად არ




ვარ. ეს პროცესი კი, აუცილებლად იქნება, მაგრამ იგი არაფერს შეცვლის.

ჩვენს რიგებში მისაღები ნაციონალები პირველ ეშელონებში არ არიან, ანუ ბოკერიამ, მაგალითად, ახლა რომ გადაიჭრას ვენები და თქვას: არიქა, მე, ოპოზიციაში გავრბივარო. წავიდეს, სადაც უნდა იქ ირბინოს, ჩვენს რიგებში ბოკერიების, ადეიშვილების, მერაბიშვილების და... ნუ, ახლა, პირველი ეშელონის ნაციონალების ადგილი არ არის, მაგრამ თუკი ვინმე გულწრფელად მიხვდება, არასწორ საქმე ემსახურებოდა, ჩვენთან არ მოვა „რესპუბლიკელებში“, მაგრამ ჩვენი კოალიციის რომელიმე პარტიაში თუ მივა, ვერაფერ პრობლემას, მე აქ ვერ ვხედავ. გააჩნია ვინ არის, რა არის და რა გაუკეთებია?

მე იმის მთქმელი არ ვარ, რომ ნაციონალურ მოძრაობაში ყველა ცუდი ადამიანია. რა სისულელეა, რა თქმა უნდა, რესპუბლიკურ პარტიაში იქნება ერთი, ორი ცუდი ადამიანი და ნაციონალურ მოძრაობაში იქნება ერთი, ორი კარგი ადამიანი, ეს ჩვეულებრივი პროცესია.

ანუ, ამით იმის თქმა მინდა, ყველას აქვს შანსი. როგორც ქრისტიანობა ამბობს, უკანასკნელ წამს შეიძლება ცხონდეს ადამიანი. „პოლიტიკური ქრისტიანობა“ გეუბნებათ, რომ ნაციონალური მოძრაობის რომელიმე რიგით, ან საშუალო რგოლის წევრს დიდი შანსი აქვს დატოვოს თავისი პარტია და იპოვოს ახალი პარტია.

**—ისე, ამბობენ, ამიტომაც ჩამოართვა მთავარმა ნაციონალმა ივანიშვილს მოქალაქეობაო. ანუ უფრო თავისიანების დასაშინებლად მოქმედებდა?—**

—მართალი გითხრათ, გულუბრყვილო კაცია მიხეილ სააკაშვილი. იმ მომენტში, როცა მოქალაქეობას ართმევდა უბრალოდ, არ იცოდა რა ექნა, პატარა ბავშვივით იყო გაბრაზებული და ნაწყენი. ემოციებს აჰყვა.

ხოლო ლაო-ძიმ გვასწავლა 2500 წლის წინ თუ გინდა დაინახო საგანი, უნდა გათავისუფლდე ემოციებისგან, თუ ემოციებით უყურებ საგანს, ხედავ კონტურებს და თუ გინდა საგანი მთლიანად დაინახო, უნდა დაცარიელდე ემოციებისგან.

ემოციურად არ უნდა ემოქმედა სააკაშვილს. უნდა ჩაესუნთქა, ათამდე დაეთვალა, გადაეტანა ეს ამბავი, არ ჩამოერთვა მოქალაქეობა, არამედ მომზადებულიყო მასთან დებატებისთვის.

ხომ არის ის გამოცდილი პოლიტიკოსი? ხომ ამტკიცებს, რომ მსოფლიო დონის პოლიტიკოსია... ხომ ამტკიცებს იმას, რომ მიხეილ სააკაშვილი არის პოლიტიკის გენიოსი და ეს არის ახალგამოჩეკილი ვიღაც დილეტანტი...გამოიწვიოს რა, დებატებში და გააცამტვეროს სატელევიზიო დებატებში: გამოცდილი პოლიტიკოსი სააკაშვილი ანადგურებს გამოუცდელ ივანიშვილს და ამთავრებს ამ საკითხს.

რად უნდა ამდენი ნერვიულობა? არადა, იმიტომ არ უნდა დებატები, რომ წააგებს.

იმიტომ რომ, არანაირი გამოცდილება მან ვერ მიიღო. აი, მე გეტყვით, რისი გამოცდილება მიიღო სააკაშვილმა ხელისუფლებაში: რომ არავინ გააკრიტიკებს, რომ ყველას დაიჭერს, ყველანი ციხეში.... მეტი რა გამოცდილება მიიღო? პოლიტიკური დებატები ისწავლა? პოლიტიკური ოპოზიცია გავანადგურეო, ამით ტრაბახობდა კაცი. ნებისმიერი სახელმწიფო მოღვაწე უნდა იყოს დაინტერესებული, რომ ქვეყანას ჰყავდეს ძლიერი ოპოზიცია. დღეს შენ ხარ, ხვალ-ოპოზიციაა და ქვეყანა ჰგიებს აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე, ამაზე როგორ არ უნდა ფიქრობდეს? მაგრამ, სააკაშვილი სხვანაირად ფიქრობს. ის ფიქრობს, რომ ქვეყანა კარგია, მანამ სანამ სააკაშვილია და თუ მიშა არ იქნება „დირექტორი“, მაშინ ეს ქვეყანაც ნუ იქნება, რა პრობლემაა?ასეთი მარტივი, პირუტყვული ეგოიზმი შორს ვერ წაიყვანს ქვეყანას. მართალი გითხრათ, ეს ამბავი-საინკასაციო მანქანის მოპარვის, პირდაპირ მეტყველებს ამ ხელისუფლების საცოდაობაზე, კარგი, მანქანა მოიპარე, მოიპარე, მაშინ გაასამართლე რა, ეს ხალხი... რაღაც ჰქენი. ირკვევა, რომ უდანაშაულო იყო ეს ხალხი, ირკვევა, რომ არავითარი გათეთრება არ ყოფილა. იმიტომ რომ... აბა, სად არის ახლა?...აჰა, ველოდებით...როცა მათ უნდათ ერთ დღეში გამოიძიებენ-ხოლმე და ეს რა ასეთი რთული საკითხი იყო? ბანკიდან ბანკს გამოჰქონდა თავისი კუთვნილი ფული და ითქვა, რომ ძალიან მძიმე დანაშაულია-გაათეთრეს და ა.შ.

**— ამ სასამართლოს პირობებშიც კი ვერ ედავებიან?**

—ვერა. მე ამ სასამართლოს პირობებში ხომ გამომაცხადა მიხეილ სააკაშვილმა რუსეთის აგენტად? „შნურით“ არის მიბმული რუსეთის საელჩოზეო, ასე თქვა. რატომ ვერ გამასამართლა, თუნდაც ამ სასამართლოთი? თუ რუსეთის აგენტი, ჯაშუში და მიბმული ვიყავი, რატომ მაბოგინებენ ამდენს და აგერ კიდევ პრეზიდენტის კრიტიკას ვბედავ და მის ინტლექტზე უარყოფით აზრებს გამოვთქვამ№ ,დავცინი მას, მაგალითად, როდესაც წერა-კითხვა ეშლება-ხოლმე და ძ-ს და ხ-ს, როცა აურევს ხოლმე.

მაგალითად, მისი განცხადება მაქვს წაკითხული ჩემოდანი, რომ დაკარგა აეროპორტში. ვისაც ეს განცხადება გვინახავს... ძ-ს და ხ-ს ურევს, წერტილი არ იცის, მძიმე არ იცის, წერა-კითხვა არ იცის კაცმა. საერთოდ, არ ხმარობს პუნქტუაციის ნიშნებს და ეს გამოქვეყნებული იყო „ლიტერატურულ საქართველოში“ — მიხეილ სააკაშვილის ფაქსიმილე, მისი ხელით დაწერილი განცხადება.

პირველ კლასში მასეთებს ვაგდებთ კლასიდან... ვაყენებთ კუთხეში.

და როცა ვიცი, რომ ასეთია და როცა ვბედავ ამაზე ლაპარაკს მე, რუსეთის აგენტი, რატომ არ ვარ გასამართლებული?

დღესაც ივანიშვილს რაში ედება ბრალი? რომ რუსეთის კაცია? უკაცრავად, ეს რანაირი დანაშაულია?კარგი, ვთქვათ, დაუმტკიცა თავის მომხრეებს, რომ რუსეთის პროექტიაო, ეს ასე არ არის, მაგრამ დაუშვათ და დაუმტკიცა, მერე რა ხდება? ვის ელაპარაკება ამას? საქართველოში არის ხალხი, ვისაც უნდა რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება. რახან მიხეილ სააკაშვილს არ შეუძლია, ვისაც შეუძლია, გინდა პროექტი დაარქვი და გინდა თენგიზი, რა მნიშვნელობა აქვს ამას? მაინც ის მიიღებს ხმებს.

სინამდვილეში, არ არის რუსეთის პროექტი, მაგრამ სასარგებლო არ არის მიშასთვის ივანიშვილს კრემლის პროდუქტი უწოდოს. სააკაშვილისთვის სასარგებლო იქნებოდა იმისთვის ეპოვა რამე კომპრომატი, ვერ პოულობს და გვიყვება ამ ზღაპრებს.

9 წელია, რუსეთში არ ყოფილა კაცი და არის რუსეთის პროექტი?

ივანიშვილი რომ რუსეთის კაცი არ არის, იქედან ვიცით: ნელნელა, სანამ ეს ლაპარაკი მიმდინარეობდა, ჯერ გადაზიდა თავისი კაპიტალი რუსეთიდან უცხოეთში, ახლა მხოლოდ ერთი მესამედია მისი კაპიტალისა რუსეთში და ორი მესამედი უცხოეთში, საქართველოში არ არის, რადგან აქ არავის არაფერი კაპიტალი არ აინტერესებს. გარდა ამისა, ჰყიდის თავის კაპიტალს რუსეთში და ხომ ხვდებით, ასეთ დროს, შედარებით იაფად იყიდება. რუსეთის კაცი რომ ყოფილიყო რატომ ვერ გაყიდდა აქამდე?

რუსეთის კაცი ვინც იყო, იმან პირდაპირ რუსეთის მთავარ ორგანიზაციას მიჰყიდა თავისი ქონება, მაგალითად, ბენდუქიძემ. რა პრობლემაა? ვინმემ რამე საყვედური უთხრა ბენდუქიძეს? და მიხეილ სააკაშვილს ვინმემ ხმა არ მისცა იმის გამო, რომ ბენდუქიძე ჰყავდა მინისტრად თუ რა? საქართველოში არასოდეს არ ითვლებოდა განსაკუთრებულ დანაშაულად რუსული ფაქტორი და ჩვენი არ არის რუსეთის კაცი და რა ვქნათ? ვინც არის, ხომ იცით? მიშას ბიძა თემურ ალასანია. თვითონ მიშა იზრდებოდა რუსეთის კაცად. ყველაზე მეტი აგენტი.. .ყველაზე მეტი შანსი, ყველაზე უფრო „საგენტო“ პერიოდში-ახალგაზრდობა, ოქროს წლები გაატარა რუსეთში იმპერიის მთავარ ტერიტორიაზე. ჰოდა, იცით რა? არ უშველის ეგ ამბავი მიხეილ სააკაშვილს, თორემ რამდენიც უნდა იმდენი ილაპარაკოს.

**უნდა ხელებდაკაპიწებულმა იშრომოს, ირბინოს ხალხში და უმტკიცოს, რომ ის კარგია, თორემ ივანიშვილი რუსისაა და იტყვის კახეთში ვილაც მართლა დაიჯერებს და მისცემს ხმას ივანიშვილს, იქნებ ჩვენი ღვინო გაყიდოს რუსეთშიო.**

ასევე მისცემენ ხმას საქართველოს სხვა კუთხეებშიც, თორემ რუსეთის ბაზარი არვარგაო, ამ ტყუილს საქართველოში ხომ არავინ დაიჯერებს, მელასი არ იყოს, თავი რომ დაიმშვიდა — „მკვახე იყო ის ყურძენი და მომკვეთდა კბილებსაო“, აღიარონ, რომ რუსეთის ბაზრიდან გამოგვაგდეს, თორემ ბაზარი უწინდებურად მიმზიდველია თითოეული სახელმწიფოსთვის. ხოლო უვარგისი რომ ყოფილიყო, მთელი მსოფლიო კრემლის მსო-ში გაწევრიანებისთვის არ იზრუნებდა და არ გაირჯებოდა.

**ნათია ნოდია**

# SOS! qalaqi lazika Turqi-mesxebis Camosasaxleblad Sendeba!



ახალი ქალაქი შენდება...

ლაზიკა!

საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს!

ხომ მეტყვიან, აშენებს, ხომ არ ანგრევსო?!

ვფიქრობ, უფრო დიდს და მარადიულს ანგრევს...

ეს საქართველოს დანგრევაა!

მივყვეთ თანმიმდევრულად...

ყველამ იცის, კოლხეთის დაბლობი რთული გეოლოგიური დაბლობია. ბოლშევიკებმაც ჭაობს დავაშრობთ, წინ რა დაგვიდგებაო, მაგრამ წყლის ნაყვა რომ იყო, მალე მიხვდნენ და თავი ანებეს.

მიწისქვეშა ქანები სუსტია და ჭარბტენიანი, სპეციალური კონსტრუქციები და მილიარდებია საჭირო, ქალაქი დაამაგრო — ამბობენ ქართველი სპეციალისტები. არ ვიცი, იაპონელები რას იტყვიან... ისინი ქალაქს შუა ზღვაში აშენებენ და რაღაცას მოიფიქრებენ, მაგრამ რა დაჯდება, დათვალა ვინმემ? თუ დოლარებს ციურ მანანასავით ციდან ველოდებით. კარგი, სპეციალისტებს არ უსმენენ... ხალხი — რა საკითხავია, ვის ახსოვს? თავიანთი მოკლე გამოცდილებით მაინც შეხედონ — აეროპორტი ვერ გადაგვიხურავს, ყოველ შემოდგომა-გაზაფხულზე ქარი ღერა-ღერა შლის და მიაფრენს სახურავს... ან ერთ დღეს ზღვაში ჩახვეტილი დაგვხვდეს ანაკლიის ხიდივით დაგვემხოს, თავზე მუყაოს თუ ქვიშის ქალაქი, მაშინ რას გვეტყვიან?

ეჭვი გეპარებათ, რომ წაიღებს? კითხვის დამსმელიც რომ არავინაა ზევით? ვთქვათ, გაიგიჟეს თავი „ბეყე" გოროზიამ ან დიდმა მშენებელმა ნიკოლეიშვილმა (მეტი არაა ჩემი მტერი!) და არ შეიძლებაო, თქვეს... ორივე ხომ აღმოჩნდება ნიჩაბზე... ხელისუფლებაზე ვამბობ, თორემ ოპოზიცია და ხალხი ნიჩაბზე ჰყავს და ჩარეცხილიც ჩვენს პრეზიდენტს.

გამოსავალი ის არის: მოვიქცევით, როგორც ვიქცევით ეს რვა წელიწადი. წაგებული ომს მოგებულად ვაცხადებთ, ლამის მსოფლიო დავაჯეროთ და რა მოხდა, ვიტყვით: პუტინი იქნება, არ იქნება, ვიღაცა ხომ იქნება... ვიღაცა ხომ იქნება მის ადგილას და იმას დავაბრალებთ. ფიჩორიდან გადმოიპარა რუსი დესანტი, ზღვის წყალი (მარილიანი) გაგვირია დუღაბში და შევრცხვითო! მთავარია, დესანტი დავიჭირეთ, ევროპა და ამერიკა ჩვენ გვიჭერს მხარსო!

მე კიდევ, როგორც ამ კუთხის შვილს, ჩემი დარდიც მაქვს.

ვაშენებთ ანაკლიას!

მე ვინ მკითხავს, მაგრამ როგორც მეგრელს არ მჭირდება ლიტვის თუ ესტონეთის ყოფილი პრეზიდენტის პროსპექტი ანაკლიაში. მე მჭირდება, ვთქვათ, იქ დაბადებული კაცის, ფილოსოფოსის, პოეტის, უკვდავი მეგრული „ჩელას" ავტორის — პავლე აკობიას ქუჩა...

გალაკტიონის ერთი ჩანაწერი მახსენდება: შეველი ალექსანდროვის ბაღში, დავინახე, პავლე აკობია, ნაბადმოსხმული, თეთრი წვერით, სკამის კუთხეში მიმჯდარი რაღაცას ჭამდაო. მე რომ დამინახა, შერცხვა და წამოდგაო... ბოლოს ასკვნის: „რა ზრდილობიანია მეგრელი კაციო!"... ადამკუსს არაფერს ვერჩი, მაგრამ მე ჩემი პავლე აკობია უფრო მეტად მიღირს... არ ვიცი, წინა ფრაზა ქსენოფობიაში რომ არ ჩამომერთვას, „გამოცდილ ქსენოფობს", ბატონ რობერტ სტურუას დავეკითხებოდი, მაგრამ სად ვნახო?... ისევ ჟურნალ „ტაბულას" რედაქტორს (ჩორგოლეიშვილს) ხომ არ დავუმესიჯო და აზრი ვკითხო...

„წინა გვაქვს დიდი მშენებლობები და ძალიან თავზეხელაღებული გეგმებიო"-ო, ზუსტად ასე დაამთავრა სატელევიზიო გამოსვლა პრეზიდენტმა, როცა ახალი ქალაქის მშენებლობაზე გვაუწყა. „თავზეხელაღებული" და „მამალი გიჟი" როა, კარგა ხანია, დარწმუნებული ვარ, მე სხვა უბედურება მალაპარაკებს.

**ცნობილია, რომ 1999 წელს ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას ქართულმა მხარემ იკისრა ვალდებულება, რომ 1944 წელს საქართველოდან გასახლებულ თურქ-მესხებს 2012 წლისთვის უკან დააბრუნებდა, მათ რეპატრიაციას მოახდენდა. ეს დრო კარს მოგვადგა, თავად ისინი — ორმოციათასი აზერბაიჯანშია გამზადებული, მოაპატიჟებას ელოდებიან.**

საერთოდ, ოთხასიათას სულზეა საუბარი. ვინ არიან ეს თურქი-მესხები, არის რამე მათში ქართული... სურვილი მაინც აქვთ ქართველობის!

**როგორც ირკვევა და დარწმუნებული ვარ, მაშინ, გადასახლებისას, ათ პროცენტამდე თუ იყო ქართველი! ამას თითქმის ყველა ქართველი ისტორიკოსი თუ პოლიტიკოსი ამტკიცებს. ამის უტყუარი ფაქტები არსებობს. შერჩევით არავინ შეგვარჩევინებს. ბევრი ამბობს, ქართველი ვიყავიო, გამოდის, სიტყვაზე უნდა ვენდოთ. ბევრი ამასაც არ ამბობს — სამცხე-ჯავახეთი ჩვენიაო, პირდაპირ გვეუბნება. კომპაქტური ჩასახლების უპირობო მოთხოვნა აქვთ. ამ მხარეს თითქოს უცხოტომელები აკლდეს!**

ცოტა შორიდან დავიწყებ.

მე, პირადად, ზვიად გამსახურდიას თვითგამოცემა „ოქროს საწმისიდან" გავიგე თურქი-მესხების შესახებ. ბატონი ზვიადი თავიდან მხარს უჭერდა მათ, მოგვიანებით, მკვეთრად შეიცვალა აზრი და არაერთხელ გამოთქვა წერილობით თუ მიტინგებზე...

1975-76 წლები იყო, სტუდენტი ვიყავი, თურქი-მესხების ამბავს მტკივნეულად განვიცდიდი და ჩავერთე ამ ერთობ საშიშ მოძრაობაში. პროფესორ გურამ მამულიას კარგად ვიცნობდი. წასულ კაცზე ცუდს ვერაფერს ვიტყვი, თავად სჯეროდა, ალბათ და მეც მარწმუნებდა, საქართველოს გადარჩენის შანსი (დემოგრაფიული თვალსაზრისით) ეს არისო! დავიჯერე. მამულია ხვდებოდა მესხებს, ჩადიოდა, ჩამოუდიოდნენ სტუმრად და სხვებთან ერთად მეც ვხვდებოდი. მაშინაც მღრღნიდა ეჭვი მათ ქართველობაზე, უფრო ზუსტად, ვფიქრობდი, ქართულ გვარებს თუ დაიბრუნებენ და თითო ქართულ სოფელში ორ-სამ ოჯახს თუ ჩავასახლებთ, შეიძლება, მათი ადაპტირება მოხდეს-მეთქი!

მათ ხელმძღვანელს სარვაროვს ვიცნობდი. მოხდა ისე, რომ ხელისუფლებამ ცხრა ოჯახი გურიაში, ექვსი — სამეგრელოში ჩაასახლა. ღამეც კი გვაქვს იქ, მათთან გათენებული თამილა კორინთელს, ბატონ გურამს და მე ზუგდიდის რაიონში, სოფელ ნარაზენში რომ ჩასახლდნენ, როგორც ზუგდიდელი, უფრო აქტიური ვიყავი. სარვაროვიც ნარაზენში იყო. მისი შვილი თუ შვილიშვილი იმ წელიწადს სკოლაში უნდა შესულიყო. ბავშვს ქართულ სკოლაში შევიყვანო, შეგვპირდა.

გავიხარეთ.

ერთ დღეს ზუგდიდში ვარ. აბესალომ ტუღუში შემხვდა — ზუგდიდის მუზეუმის თანამშრომელი, ისტორიკოსი, ბავშვობის მეგობარი. ნარაზენში ხომ არ ყოფილხარმეთქი, ვკითხე. არა, მაგრამ ბავშვი რუსულ სკოლაში შეუყვანიათო — მითხრა. ვერ დავიჯერე. ნაცნობი მანქანიანი ვნახეთ და გავვარდით. სკოლაში მივედით, დირექტორმა დაგვიდასტურა, ასეაო! ვუხმეთ სარვაროვს, მოვიდა. რატომ დაარღვიე პირობა-მეთქი? რა პირობაო? — მპასუხობს. პირობა, რომ ბავშვი ქართულ სკოლაში ისწავლიდა. მოგცლია ერთი, რომელი ქართველი შენ მყავხარო?! — უკმეხად მომახალა. — აბა, ვინ ვარ, შენი აზრით? — წავიწიე. ვინა ხარ და მეგრელიო! — დამიწუნა ქართველობა. ვეცი ყელში... არც ის ჩამომრჩა და ატყდა ერთი ამბავი... ჩაგვიხტა დირექტორი შუაში. სარვაროვს თავისიანი ქალები თუ ცოლები წამოეშველნენ და ლამის გაგვწეწონ... არის სირბილი, ჯიკავი, გინება... გავიგე, ლომაია მოდის, ლომაიაო... თავმჯდომარე იყო (ჩვენი განათლების ყოფილი მინისტრის მამა). აბესალომმა მიჩურჩულა, ჩქარა მოვტყდეთ, თორემ ეს კაცი ისეთი ოხერი ვინმეა, ჩვენც და სარვაროვს ერთად ჩაგვყრის ციხეშიო.

ჩავხტით მანქანაში და გამოვიქეცით.

ჩვენი ნაცნობი მძღოლი უფრო საინტერესო კაცი აღმოჩნდა. მაშინ რომ მომიყვა ანეგდოტი, დღესაც მახსოვს.

მეგრელი ამბობს, რა უცნაური ხალხია ეს ქართველებიო? რატომმეთქი? — ჩავერთე ანეგდოტში, ქართველი აფხაზს ეუბნება — ქართველი ხარო! აფხაზი იკლავს თავს — არა ვარ ქართველიო! მეგრელი იჭაჭება — აგერ ვარ, ქართველიო! არ ხარ ქართველიო, — პასუხობს ქართველი...

ასე უკუღმართად არის ჩვენი საქმეო — ასკვნის იგი.

ესენი თუ ქართველები არიან, კარგად ყოფილა ჩვენი საქმეო!

**მოკლედ, როგორც ირკვევა, თურქი-მესხებისთვის შენდება ქალაქი ლაზიკა!...**

**ამიტომ შენდება ეს ქალაქი და არა საქართველოდან საკუთარი ოჯახების სარჩენად გაქცეული მართლა ქართველებისათვის!**

ეს იქნება დიდი ტრაგედია.

მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა, მწერალი ნაირა გელაშვილი მათი ჩამოსახლების მომხრეა დღესაც. ასევე, რამდენადაც ვიცი, „რესპუბლიკელებიც" უჭერენ მხარს, რაშიც ვერც ერთს ვერ დავეთანხმები.

ამ აზრის ოპონენტად ვრჩები და მტრადაც!

მით უმეტეს, მათი კომპაქტურად ჩასახლება ნებისმიერ კუთხეში — იმ მხარეს უნდა გამოეთხოვო! ახლა გურია და სამეგრელო მივაყოლოთ სამაჩაბლოსა და აფხაზეთს?...

**თურქების გამქართველებლები ვართ ჩვენ?!**

**ოთხასიათას თურქს ერთ ქალაქში რომ დაასახლებ, ათ-თხუთმეტ წელიწადში, ახალ ავტონომიურ წარმონაქმნს მოვიმკით...**



ახლახან მარნეულში ვიყავი. დიდებული მწერალი, ბატონი ნოდარ წულეისკირი ამჟამად იქ ცხოვრობს და მოვინახულე. ცენტრში, მოედანთან გავაჩერე მანქანა და რუსთაველის ქუჩა სადაა-მეთქი, ორ-სამ ტაქსისტს ვკითხე, თან რუსულად. არ ვიცითო! სანამ ქართველი კაცი არ ვიპოვე, დავბოდიალობდი აქეთ-იქით. როგორც იქნა, ვიპოვე და — რუსთაველის ქუჩის თავში დგახარო, — მითხრა.



როდემდე უნდა გვეძინოს ყურზე?!

რა დავაშავეთ, რა გველი შევუწვით ასეთი, ასე რომ გვმტრობს პრეზიდენტი, ნეტავ მაცოდინა და მერე მომკლა!...

**ზაურ კალანდია**

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

*გვესაუბრება „მრეწველების" ლიდერი ბატონი* ***გოგი თოფაძე:***



# gogi TofaZe:
# `yvelamicis, rombiZina ivaniSvili ar ityueba da rasac gvpirdeba, aucileblad gaakeTebs~

**— ბატონო გოგი, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლამ ახალი რეალობა შექმნა. როგორ ფიქრობთ, რა შეცვალა მისმა გამოჩენამ?**

— ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში შემოსვლა მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეს კარგად დაეტყო ხელისუფლებას —თუ ადრე მშვიდად გრძნობდნენ თავს, საარჩევნო ტექნოლოგიებიც მათ ხელში იყო, ახლა შეშფოთებულნი არიან, რადგან გამოჩნდა მძლავრი, სერიოზული ფიგურა. სახელისუფლებო გუნდის შეშფოთება იმაშიც გამოიხატება, რომ მათ მომავალი არჩევნებისთვის აქტიური მზადება უკვე დაიწყეს. ბიძინა ივანიშვილს საკუთარი ქვეყნისთვის უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული, რაც ბუნებრივია პატრიოტული სულისკვეთებითაა განპირობებული. მას საკმაოდ ძვირადღირებული პროექტები აქვს დაფინანსებული. მეცინება ხელისუფლების მხრიდან მის წინააღმდეგ მიმართულ შავ პიარზე — ზონდერბრიგადების დაფინანსებისა და სხვა ილუზორულ ბრალდებებზე. დროთა განმავლობაში ხალხში უიმედობა, ნიჰილიზმი ჩამოყალიბდა, ვერც ოპოზიციამ ივარგა, რადგან სახელისუფლებო რესურსი საკმაოდ ძლიერი გამოდგა. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოციალურმა დაძაბულობამ, პრობლემებმა, რაც წლების მანძილზე ქართველ ხალხს დაუგროვდა. ჩემთვის კარგადაა ცნობილი რა მდგომარეობაა, განსაკუთრებით რეგიონებში, ხალხი სასოწარკვეთილებამდეა მისული. ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ხალხს დაკარგული იმედი, რწმენა დაუბრუნა. ხალხი მიხვდა, რომ ხელისუფლების გაუთავებელი დაპირებები სხვა არაფერია თუ არა მხოლოდ წინასაარჩევნო დაპირება. ბიძინა ივანიშვილის საკმაოდ დიდი უპირატესობა სწორედ ისაა, რომ მიუხედავად დიდი ფინანსური შესაძლებლობისა, იგი მორიდებით საუბრობს იმის შესახებ, თუ რას გააკეთებს, არ იძლევა ჰაერზე ცრუ-დაპირებებს. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ მან პირველივე განცხადებაში სოფლის მეურნეობის პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება. მან თქვა, რომ სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად 1 მილიარდს ჩადებს, რაც მნიშვნელოვანი განაცხადია. რაიონებში ხალხი გახარებულია, ამბობენ ეშველა სოფლის მეურნეობასო, ანუ იმ დარგს, რომელიც ადრე საქართველოს ინახავდა. გამოცოცხლდა, იმედით აივსო ხალხი. ხელისუფლების დაპირებების მიმართ ხალხს რწმენა დაკარგული აქვს, ხოლო როცა ივანიშვილი ჰპირდება, ყველამ იცის, რომ იგი სიტყვის კაცია და დაპირებას რეალობად აქცევს. მის მიმართ უზარმაზარი ნდობაა.

**— რადგან დაპირებებს შევეხეთ, მოდით პრეზიდენტის ბოლო დაპირება— რამდენიმე წელიწადში ნახევარმილიონიანი ქალაქის აშენება გავიხსენოთ. რამდენად რეალურად გესახებათ ამ მასშტაბის პროექტის ამუშავება?**

— დიახ, ის დაგვპირდა, რომ ზღვის დონეზე დაბლა მყოფ ჭაობში ნახევარმილიონიან ქალაქს ააშენებს. ალბათ, წამოსცდა. ბევრი არქიტექტორი მეგობარი მყავს და მათ ვკითხე ამის თაობაზე: ნახევარმილიონიანი ქალაქი რომ აშენდეს, ერთ სულ მოსახლეზე, მინიმუმ, 100 კვ.მ. უნდა იანგარიშო. საუბარი მხოლოდ ბინებზე არ არის, არამედ ასაშენებელია საავადმყოფო, საბავშვო ბაღი, სკოლა და ა.შ. თანაც ამხელა ქალაქის მარტო დაპროექტებას უნდა წლები. წარმოიდგინეთ, რაც უნდა იაფად აშენდეს, მინიმუმ 300-400 დოლარი ხომ ჯდება 1 კვ.მ. 100 კვ.მ.-ს თუ ვიანგარიშებთ ერთ სულ მოსახლეზე, ნახევარი მილიონიანი მოსახლეობისთვის 50 მილიონი კვ.მ. გამოდის, ეს 400-ზე რომ გავამრავლოთ ჯამში 20 მილიარდს მივიღებთ. ცხადია, ჩვენი ბიუჯეტის შემხედვარე 20 მილიარდის ასე გასროლა, შეუძლებელია. აქედან გამომდინარე ასეთი გაუთვლელი, უცნაური განცხადებები, მიუღებელია. ამ დროს, მეორე მხრივ საკმაოდ მორიდებით ძალიან დიდ პროგრამას გვთავაზობს ბიძინა ივანიშვილი, რომლისაც ხალხს სჯერა. ყველამ იცის, რომ იგი არ იტყუება და რასაც გვპირდება აუცილებლად გააკეთებს, ეს ხალხმა იგრძნო.

კიდევ ერთ პრობლემაზე მინდა გესაუბროთ — ბოლო ხანებში დიდი აჟიოტაჟია აეროდრომების მშენებლობასთან დაკავშირებით. კოპიტნარის აეროდრომი უკვე გვაქვს, ახლა აპირებენ ფოთშიც ააშენონ. ასევე, ბათუმში, სენაკში გვაქვს სამხედრო აეროდრომი. რისთვის კეთდება ეს, 30-40 კმ.-ის დაშორებით რამდენი აეროდრომი უნდა ავაშენოთ? იბადება ძალიან დიდი ეჭვი. კერძოდ, ბოლო პერიოდში აშშ-სა და ირანს ძალიან დაეძაბათ ურთიერთობა. ყირგიზეთში ახალმა პრეზიდენტმა დახურა სამხედრო აეროდრომები. თუ შეერთებული შტატები ირანზე შეტევას აპირებს, მას საკუთარ ბაზებს არც თურქეთი, არც სომხეთი (რუსეთი არ მიაცემინებს), არც აზერბაიჯანი არ მისცემს. რა გამოდის? — რომ ჩვენ აქ პლაცდარმს ვაკეთებთ, ამდენ სამხედრო აეროდრომს რისთვის ვაშენებთ? თუმცა, ხელისუფლება ჯერ არ ამხელს, რომ სამხედრო აეროდრომებია, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ასეა. აქედან გამომდინარე, მიჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს არის მზადება ირანის წინააღმდეგ ამერიკისთვის. ირანი ძალიან ძლიერი 75 მილიონიანი ქვეყანაა, ეს არ არის ერაყი. ირანი ინდუსტრიული ქვეყანაა, რომელსაც კოსმოსში თანამგზავრები აქვს გაშვებული. მას ბალისტიკური იარაღი აქვს, რომელიც თავისუფლად მოსწვდება ჩვენს ქვეყანას. იგი ბირთვულ იარაღზეც მუშაობს და ამ მოცემულობაში ჩვენ უნდა გავხდეთ ამ შეტევის ობიექტი, ხომ?! რადგან აშშ-ს პარტნიორი ვართ, ამიტომ საკუთარი ქვეყანა უნდა გავწიროთ?

**— ეს ხომ ქვეყნის მტრობაზე უარესია...**

— რა თქმა უნდა, გეთანხმებით, აბა, სხვა რითი აიხსნება, აეროდრომების ასეთი გაცხოველებული მშენებლობა? მეორეც, სოციალურად, ეკონომიურად გაჭირვებული ქვეყანა ვართ, სამხედრო აეროდრომების მშენებლობის რა აუცილებლობაა, ამას ხომ ასობით მილიონები არ ეყოფა, ეს საკმაოდ შემაშფოთებელი საკითხია. ჩვენ ვხდებით ირანიდან დარტყმის ობიექტი, რატომ უნდა გავიხადოთ იგი მტრად?! ჩვენ ამ რეგიონში ყველაზე სუსტი ქვეყანა ვართ ეკონომიკურად, სოციალურად, შეიარაღებული ძალების თვალსაზრისითაც. ჩვენ ვერ გავუძლებთ ამ დარტყმას. ამის საპირისპიროდ ივანიშვილს ქვეყნის გადარჩენის უამრავი რეალური პროგრამა აქვს, რაც, რა თქმა უნდა უფრო მომგებიანია ხალხისთვის. რა ტექნოლოგიებიც არ უნდა გამოიყენოს ხელისუფლებამ საარჩევნოდ, არა მგონია, გაყალბება მოახერხონ. ბიძინა ივანიშვილს, ალბათ აქვს საკუთარი ხმების დაცვის გეგმა. რა თანხასაც ხელისუფლება აეროდრომებში ჰყრის, ეს რომ სოფლის მეურნეობაში გამოიყენონ, საქართველო აყვავდება, გაჩნდება ახალი ბაზრის გახსნის პერსპექტივა. რაც ნიშნავს, რომ აგუგუნდება ყველაფერი, გაიხსნება საწარმოები, დაბრუნდება ქვეყნიდან გაქცეული ხალხი, ავიცილებთ მიგრაციულ პროცესებს. როგორც კი საქართველოში ნორმალური ცხოვრების პირობები შეიქმნება, დაბრუნდება ხალხი, დღეს სოფლები დაცარიელებულია.

**— მართლაც, ოპოზიციური სპექტრის უშედეგო ბრძოლის შემდეგ იმედი გაჩნდა, ახლახან საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნებაც" დაფუძნდა. რისი იმედი, მოლოდინი გაჩნდა ამით?**

— დიახ, ხალხი გააქტიურდა, იმედი გაჩნდა. ალბათ, რეალურად ამდენი პოლიტიკური პარტია აღარ იქნება, ახლა 100-ზე მეტი პარტიაა დარეგისტრირებული. პოლიტიკური სპექტრი ორ ბანაკად გაიყოფა — ერთი ხელისუფლებისკენ წავა, მეორე ბიძინა ივანიშვილისკენ. რაც შეეხება ფილარმონიაში, „ქართული ოცნების" დაფუძნებას, მეც ვესწრებოდი, ხალხის დიდ ნაწილს ცრემლები მოსდიოდათ, მათ დაკარგული იმედი, რწმენა დაუბრუნდათ. ამ შეხვედრის ლაიტმოტივი შემდეგია — იყო გვირაბი, რომელშიც ბოლო არ ჩანდა და ახლა სხივი გამოჩნდა, ანუ შველა. ხალხს ამ იმედს ვეღარ გაუქრობენ, ვერავითარი რეპრესიები, ზონდერბრიგადები ვეღარ შეაჩერებს მათ. პირადად ბიძინა ივანიშვილზე ხორციელდება ზეწოლა სხვადასხვა სახით, თუნდაც ბანკის მაგალითი ავიღოთ. მეც „ქართუ ბანკის" კლიენტი ვარ და დავრჩები ბოლომდე, მთელი ჩემი აქტივები ამ ბანკში მაქვს, მაგრამ „ქართუ ბანკი" ხომ ბიძინა ივანიშვილის აქტივების ნახევარი პროცენტიც არ არის. კონკურენტი დაინახეს და ლაღად ვეღარ გრძნობენ თავს, გაუგონარ რამეებს სჩადიან. ადრე, ხელისუფლებას საარჩევნო პროცესი პრაქტიკულად პრივატიზებული ჰქონდა და ბრძოლას აზრი არ ჰქონდა. ბიძინა ივანიშვილი იმიტომ შემოვიდა პოლიტიკაში, რომ 7 პროცენტიანი ბარიერი გადალახოს?! ბუნებრივია მას სხვა განზრახვა და გეგმები აქვს. გეგმები, რომელიც ხალხმა მოიწონა და რომელთან ბრძოლაც ძალიან გაუჭირდება ხელისუფლებას.

**— თუმცა, ბატონო გოგი, სააკაშვილმა აშკარა საარჩევნო კამპანია წამოიწყო — „აშენებს" ახალ ქალაქებს და ა.შ. დროზე ადრე ხომ არ ემზადება იგი არჩევნების ჩასატარებლად, თუნდაც გაზაფხულზე. ამ ფონზე ხომ არ არის საჭირო გარკვეული ნაბიჯების გადადგმა, თუ მშვიდად დაველოდოთ არჩევნებს?!**

— არ ვიცი, როდის აპირებენ არჩევნების დანიშვნას, მაგრამ გეთანხმებით, რომ საარჩევნო კამპანია ხელისუფლებამ აშკარად დაიწყო. არის საფრთხე, რომ ივანიშვილმა ასეთ შემთხვევაში მართლაც ვერ მოასწროს სტრუქტურის შექმნა, რეგიონებში სანდო ხალხის მოძიება. მაგრამ დღეს ხალხის იმედები, რომ რაღაც გვეშველება იმდენად მნიშვნელოვანია, ხალხი აქტიური იქნება და ივანიშვილი არ დარჩება დაუცველი. საქართველოს მოქალაქეობა არ ეკუთვნის თურმე ბიძინა ივანიშვილს. დასაცინად გავიხადეთ საქმე მეზობელ ქვეყნებშიც კი. კაცმა ამდენი სიკეთე გააკეთა ქვეყნისთვის და მადლიერების ნიშნად ხელისუფლებამ მოქალაქეობა ჩამოართვა, მსგავსი აბსურდი არცერთ ქვეყანაში არ ხდება. ეს აშკარა პოლიტიკური ზეწოლაა. ხელისუფლება მიეჩვია, რომ ყველა უკანონობა უნდა შერჩეს. მაგრამ დღეს სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა — არც დასავლეთი, არც ჩრდილოეთი, არც ევროკავშირი აღარ დაუჭერს მხარს უკანონობას. ყველამ კარგად იცის რომ ჩვენთან ყველაფერი რიგზე არ არის, იციან, რომ დემოკრატია მხოლოდ ქაღალდზეა დეკლარირებული. დღეს გავიგე გია ცაგარეიშვილის შვილი სასტიკად უცემიათ სახლის სადარბაზოში, იმიტომ, რომ გია კრიტიკულად გამოვიდა ამასწინათ. ეს ხალხის აშკარა დაშინებაა, მაგრამ მინდა ვუთხრა ხელისუფლებას — ხალხი, აღარ დაშინდება, აღარ ეშინიათ მათ. როცა დაინახავს, რომ პერსპექტივა აღარ არსებობს, ყველაფერზე წავა.

**— თქვენ ახსენეთ, ხალხი აღარ დაშინდებაო. მაგრამ რამდენად შენარჩუნდება ეს მუხტი არჩევნებამდე?**

— არა მგონია, მუხტი მინელდეს. ქართველმა ხალხმა ბევრი სიმწარე ნახა, აღარ დაიჯერებს ლაზიკას აშენებას და სხვა მსგავს ზღაპრებს. მეორეც, ნუ ვიტყვით, რომ ივანიშვილმა ახლა დაიწყო პოლიტიკური მოღვაწეობა, შეიძლება პოლიტიკაში ახალი შემოსულია მაგრამ იგი 6-7 წელია სიკეთეებს აკეთებს, ათასობით ცნობილი მოღვაწე შიმშილს გადაარჩინა, რაც უმნიშვნელოვანესია. ბიძინა ივანიშვილს გუშინ არ დაუწყია ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეების კეთება.

**— არსებობს რაღაც ზღვარი, რის ზემოთაც ხელისუფლება არჩევნებს ვეღარ აყალბებს. რამდენად არის დღეს მზადყოფნა, ხალხმა მასიურად გააკეთოს თავისი არჩევანი?**

— დღეს ყველა ერთი და იგივეს ამბობს — გვეშველა. არ შეიძლება ივანიშვილისნაირ გამოცდილ, ნიჭიერ ადამიანს გათვლილი არ ჰქონდეს ეს ყველაფერი. მომავალ გამოსვლებში, ალბათ იგი უფრო მეტს ისაუბრებს კონკრეტულ პროგრამებზე. ხალხს აქვს რწმენა, რომ იგი მართალი კაცია და არ მოიტყუებს. მას შეეძლო ნებისმიერ ქვეყანაში მშვიდად, ლაღად ეცხოვრა, მაგრამ დაბრუნდა საქართველოში, რადგან მას გულწრფელად აწუხებს ქვეყნის ბედი. მას გააზრებული აქვს, რომ ბევრი უსიამოვნება შეხვდება, მაგრამ გადადგა ეს ნაბიჯი — თავს მოვალედ თვლის ქვეყანა გადაარჩინოს. ბევრი ქართველი მდიდარი ვიცი უცხოეთში მოღვაწე, მაგრამ ასეთი ხელგაშლილი და ქვეყნის დასაბრუნებლად მონდომებული არავინ მინახავს. იმედი მაქვს, ეს ყველაფერი ქართველი ხალხის სასიკეთოდ დასრულდება.



**— თქვენთვის რა არის „ქართული ოცნება"?**

— რაც პოლიტიკაში მოვედი, მას მერე ერთი და იმავე პოზიციაზე ვარ. ზოგმა 5-6 პარტია გამოიცვალა იმის მიხედვით, თუ სად უფრო დიდი პერსპექტივა ელოდა. ჩვენი გუნდი მოვიდა იმ სტრატეგიით, რომ მიუღებელია სოფლის მეურნეობის მოკვლა. დღეს, საქართველოში სოფელი მკვდარია. ბატონი ბიძინა იგივე მოსაზრებებზე, სტრატეგიებზე საუბრობს და ბუნებრივია, მხარს ვუჭერთ მას. მთავარია, ყველა ვისაც თავისი ქვეყნის, შთამომავლობის გამარჯვება სურს, ბიძინა ივანიშვილის მხარეს დადგება, რადგან აქ ქვეყნის გადარჩენის და განვითარების პერსპექტივა ჩანს. ასეთი მძლავრი აქამდე არსებული არცერთი ოპოზიციური ძალა არ ვყოფილვართ. ივანიშვილი ქვეყნის აშკარა პატრიოტია და მას უნდა ქვეყნის სასიკეთოდ შეცვლა. ხალხის სურვილიც ხომ ეს არის. იქამდე მივიდა ხელისუფლება, რომ პარლამენტი „ქართუ ბანკის" წინააღმდეგ ღებულობს კანონებს, ეს უბრალოდ სასაცილოა. იმედიანად ვარ, რომ ეშველება ქვეყანას, თუ ხალხი ერთად დადგება და იმ პროგრამას მიიღებს, რასაც ეს დიდებული ქართველი კაცი გვთავაზობს. ჩვენი გუნდი გვერდით დაუდგება მას.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ss `banki qarTus~ gancxadeba

გრძელდება სს „ბანკი ქართუს“ კლიენტურის ჩვენს ბანკში გირაოდ ჩადებული უძრავ-მოძრავი ქონების დაყადაღების პროცესი. გასულ კვირას კიდევ ორ ბიზნეს-ჯგუფს დაუყადაღდა 5,2 მლნ. აშშ დოლარის ქონება, რის გამოც არაუზრუნველყოფილი და შედეგად პრაქტიკულად უპერსპექტივო გახდა კიდევ 3 მლნ. აშშ დოლარის საერთო მოცულობის სესხები.

პარალელურად დაიწყო დაყადაღებული ქონებების აუქციონზე გატანა. კერძოდ, ერთი კვირის განმავლობაში აუქციონზე გატანილია 19 მლნ. ლარის ღირებულების 26 ობიექტი საბაზრო ფასის 50 პროცენტად, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, პრაქტიკულად არც ერთი ქონება არ გაყიდულა და დიდი ალბათობით არც გაიყიდება: მათ ნატურით დაისაკუთრებს ეკონომიკის სამინისტრო — ახლო მომავალში, გარკვეული სქემით, თავდაპირველი მფლობელებისთვის უკან დაბრუნების მიზნით.

აღნიშნული ამლიერებს ჩვენს ეჭვებს — რისთვის გამოეყო წლის მიწურულს ბიუჯეტიდან ეკონომიკის სამინისტროს 160 მლნ. ლარის დამატებითი ასიგნებანი (ამ თანხიდან 40 მლნ. აშშ დოლარი, ანუ 66 მლნ. ლარი ებრაელ ბიზნესმენებთან გარიგების საფასურია) — სწორედ ამ ქონების საფასურის ბიუჯეტში გადასახდელად, ამ უკანასკნელის მიერვე წინა თვეში გამოყოფილი თანხების ხარჯზე?!

დარჩენილი 94 მლნ. ლარია დაკიდებული დამოკლეს მახვილივით სს „ბანკი ქართუს“ თავზე და ამ თანხის ათვისებას უთუოდ მოახერხებენ წლის ბოლომდე პოლიტიკურად მოტივირებული ტერორის გზით, ზემოთ აღნიშნული სქემითა და ბიუჯეტური სახსრებით მანიპულირების მეშვეობით, ქართული საბანკო სისტემის მხრიდან დანაშაულებრივი დუმილის ფონზე.

აქვე გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ საზოგადოებისთვის ნების მიუხედავად, გაიზრდება ქვეყანასთან დაკავშირებული რისკები, რაც გაართულებს და გაამვირებს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან სესხების მიღებას, გამოიწვევს უკვე გამოყოფილ საკრედიტო რესურსებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდას, მათ შორის იმ უცხოელი ინვესტორებისთვის, რომლებიც სწორედ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან უნდა დაფინანსებულიყვნენ, უცხოური ინვესტიციების მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირების გარანტირებული შედეგით.

ქართული ბანკების ერთმა ნაწილმა უკვე გააკეთა გარკვეული რეაგირება შექმნილ სიტუაციაზე — შეაჩერეს ან შეამცირეს მსხვილი კრედიტების გაცემის საკითხების განხილვა. ეს პროცესი უთუოდ გაგრძელდება და გაღრმავდება.

აქვე შევნიშნავთ, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კიდევ ორი თვით გააგრძელა სს „ბანკი ქართუს‘ ე.წ. შემოწმება, ანუ მიმდინარე ოპერაციების წინასწარი კონტროლის განხორციელება (?!).

მეორე მხრივ, უფრო ინტენსიური ხდება ზეწოლა სს „ბანკი ქართუს“ დამფუძნებელ სს „ქართუ ჯგუფზე“ — სულ ორიოდე დღის წინ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ დააკმაყოფილა სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის ყოვლად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი შუამდგომლობა სს „ქართუ ჯგუფის“ განმეორებითი კამერალური შემოწმების ჩატარების თაობაზე.

გრძელდება სს „ქართუ ჯგუფის“ კუთვნილი ტვირთების გამიზნული და ტოტალური დაზიანებების პროცესიც, რომელიც დაიწყო ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ პოლიტიკური განცხადების გაკეთების შემდგომ. ა.წ. 17 ოქტომბრიდან დღემდე საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული და ჩვენთვის განკუთვნილი ყველა

ბანკი ქართუ
CARTU BANK

კარგად ცნობილი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებსაც ასე „ეფექტურად“ და მხოლოდ სს „ბანკი ქართუს“ წინააღმდეგ იყენებენ სადამსჯელო ოპერაციად, გაცილებით მეტ საშიშროებას უქმნის საქართველოს საბანკო სისტემასა და მთლიანად ქართულ ეკონომიკას.

გირაოს არსისა და პირველი რიგის იპოთეკარის სტატუსის ნიველირება, მიუხედავად იმისა, მას ხელისუფლება მიზანმიმართულად გამოიყენებს თუ არა ამა თუ იმ კლიენტისა და შესაბამისად მის კრედიტორ ბანკთან მიმართებაში, ავტომატურ რეჟიმში გამოიწვევს სესხების უზრუნველყოფის ხარისხის მნიშვნელოვან შემცირებას და სათანადოდ დამატებითი სახსრების დარეზერვირების აუცილებლობას; ყოველივე ეს კი, დრამატულად შეამცირებს ახალი სესხების გაცემის შესაძლებლობებს და გაზრდის საპროცენტო განაკვეთებს.

ასევე ავტომატურად, ვინმეს ტექნიკა, რომელთა საერთო ღირებულება თითქმის ნახევარ მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, დაზიანებული და გამოსაყენებლად უვარგისია.

იმის გათვალისწინებით, რომ ამ ტვირთის მომწოდებლები მსოფლიოში აღიარებული ბრენდები არიან, გამორიცხული არ არის, საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო სკანდალში გაეხვიოს აქედან გამომდინარე ძნელად პროგნოზირებადი შედეგებით.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, შეაჩეროს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურიდან სს „ქართუ ჯგუფის“ სამეურნეო სუბიექტებზე, მათ შორის სს „ბანკ ქართუზე“ უსამართლო ზეწოლა, მით უმეტეს, რომ საფრთხე ექმნება მთლიანად ქართულ ეკონომიკასა და სახელმწიფოს საერთაშორისო იმიჯს.

**ნოდარ ჯავახიშვილი,**
„ბანკი ქართუს“
გენერალური დირექტორი

# koba daviTaSvili: dasavleTma naTlad mianiSna, rom saakaSvili ver iqneba verc premieri da verc prezidenti, rac bevr rameze metyvelebs



**-სახალხო პარტია და კონსერვატორები რესპუბლიკელებთან, თავისუფალ დემოკრატებსა და ბიძინა ივანიშვილთან ერთად, საარჩევნო ბლოკში გაერთიანდებით. ამავე დროს, გავრცელებულ განცადებაში აღნიშნული იყო, რომ თქვენ ინდივიდუალურადაც ითანამშრომლებთ კოლაიციასთან. რა ფორმით მიიღებს მონაწილოებას სახალხო პარტია და კონსერვატორები კოალიციის მუშაობაში?**

-ჯერ პოლიტიკური ბლოკი შექმნილი არ არის, იმიტომ რომ არჩევნები ჯერ დანიშნული არ არის, მოგეხსენებათ, საარჩევნო ბლოკი არჩევნების დანიშვნის შემდეგ შეიძლება შეიქმნას. უკვე მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ერთობლივი პოლიტიკური საქმიანობა გვქონდეს. ასეთ დროს პიროვნულად ჩავერთვებით და არა პარტიულად. კოალიციის მუშაობაში ბლოკი და ეს ხელისშემშლელი ვერ იქნება. მე მართალი გითხრათ, არ ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ რიგგარეშე არჩევნებისკენ მიდის საქმე. მთელი რიგი ნიშნებია, რომელიც ამას არ ადასტურებს. პენსიების ზრდა სექტემბრის თვიდან ჩაიდო ბიუჯეტში და ეს ჩემთვის მთავარი ნიშანია.

**-მხოლოდ ეს ნიშანი განაპირობებს იმას, რომ არჩევნების დანიშვნა შემოდგომაზეა განსაზღვრული?**

-არა, ეს ერთი ნიშანი არ განაპირობებს, თუმცა, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი ნიშანია.

**-ჯერჯერობით არც საარჩევნო ბლოკია შექმნილი და არც ივანიშვილის პარტიაა ჩამოყალიბებული. თქვენ ძალიან ბევრჯერ გითქვამთ, რომ ყველაზე დიდი სამუშაო რეგიონებშია ჩასატარებელი. მოესწრება თუ არა საქართველოს რაიონებში მოსახლოებასთან მუშაობის ჩატარება, მაშინ როდესაც ხელისუფლება ყოველდღიურად სხვადასხვა ქალაქსა თუ სოფელში ატარებს საარჩევნო კამპანიას და მოსახლეობას ხვდება?**

-ვადები შეზღუდებლია, მაგრამ მოსწრება შეიძლება. ახალი ველოსიპედის გამოგონება საჭირო არ არის. უნდა დაფუძნდეს რიონული

**-თქვენ ჯერ კიდევ რვიანის პერიოდიდან საუბრობდით იმაზე, რომ თუ საარჩევნო გარემო არ შეიცვალა, არჩევნების მოგება ოპოზიციას ძალიან გაუჭირდებოდა. ახლა რა რესურსი გააჩნია ივანიშვილის ბლოკს იმისთვის, რომ საარჩევნო გარემოს შეუცვლელად, შეებრძოლოთ ხელისუფლებას, არჩევნები მოიგოთ და საპარლამენტო უმრავლესობით მოხვიდეთ?**

-ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ ყველა უბანზე ათეულზე მეტი დამკვირვებელი გვყავდეს, კომისიი წევრზე რომ აღარაფერი ვთქვათ და ჩვენ ამას მოვახერხებთ.

**-დამკვირვებლების გადამზადების პროცესი უკვე მიმდინარეობს?**

-რა თქმა უნდა. ჩვენ წინ წავიგდეთ საქმე და ჩვენს კოლეგა კონსერვატორებთან ერთად, ეს პროცესი დიდი ხანია დაწყებული გვაქვს.

**-საარჩევნო გარემო შეცვლილი არ არის და თქვენ, ფაქტიურად, ცარიელი ხელებით მოგიწევთ ბრძოლა...**

-არ მგონია, მთლად ცარიელი ხელებით ვიყოთ. ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების განწყობა და ის, რაც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა შემოიტანა პოლიტიკაში-იმედი და ის ადამიანები, ვინც არჩევნებზე მისვლას არ აპირებდა, არჩევნებზე მივლენ. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, გვყავდეს მრავალი ათასი მომზადებული დამკვირვებელი,რაც არსებითად სხვა პირობებს ქმნის არჩევნებისთვის.

კი, მეც და ზვიად ძიძიგურიც, როგორც აღნიშნული იყო განცხადებაში, ჩავერთვებით ჩვენს პოლიტიკურ გუნდებთან ერთად.

**-თავისუფალ დემოკრატებთან და ?ესპუბლიკლებთან ერთად თუ იგეგმება პარტიაში თქვენი გაწევრიანება?**

-მათი პარტია ცალკე შეიქმნება და შემდეგ ასე ვთქვათ, საარჩევნო ბლოკი.

**-თქვენ ბრძანეთ, რომ საარჩევნო ბლოკი მხოლოდ არჩევნების წინ შეიქმნება. რამდენი ხნით ადრე იქნება ეს შესაძლებელი?**

-საარჩევნო ბლოკი იქმნება მას შემდეგ, რაც არჩევნები გამოცხადდება, შემდეგ ხდება პარტიების დარეგისტრირება და დარეგისტრირებული პარტიებისგან, როგორც წესი, არჩევნებამდე, ორმოცი დღით ადრე იქმნება ბლოკი.

**-ოფიციალურად, არჩევნებს 2012 წლის ოქტომბრის ბოლო კვირას უწევს ჩატარება, თუმცა, დღეს ხელისუფლების ქმედებებს თუ განსაზღვრავთ, ყველა პარამეტრით ეს არის წინასაარჩევნი პიარ-კამპანია. ძალიან ბევრი საუბრობს იმაზე, რომ საქართველოში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება. რამდენად შეუშლის ხელს ვადამდელი არჩვნების დანიშნვნა თქვენს საარჩევნო ბლოკს?**

-რაც მალე დაინიშნება არჩევნები, მით მალე ჩამოყალიბდება ორგანიზაციები, ჩამოყალიბდეს ოფისები და უნდა დაიწყონ მუშაობა. საჭიროა ბეჭდური მასალის დარიგება, გამოიცეს გაზეთი და ა.შ..

**-თუ ხელისუფლებამ არჩევნები გაზაფხულზე დანიშნა, 15 იანვრამდე საქართველში საახალწლო სამზადისია, პარტიული სტრუქტურის ჩამოყალიბებისთვის ძალინ მცირე დრო ხომ არ რჩება?**

-ბუნებრივია, უფრო გართულდება, თუმცა მოსწრება შესაძლებელია.

**-ძალიან ოპტიმისტურად ხართ განწყობილი...**

-ამ სტრუქტურებში ხალხის გაწევრიანების პრობლემა არ არის. დარწმუნებული ვარ, როგორც კი გაიხსნება ოფისები, ხალხი დენას დაიწყებს. საზოგადოება ამ სტრუქტურების გახსნას მოელის და მათი ძალით მოზიდვა და სარეკლამო კამპანიის ჩატარება არ დაგვჭირდება.

**-დასავლეთი ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა არჩევნების საბოლოო შედეგების საქმეში. ამ შემთხვევაში, როგორ იქნება საქმე? ხელისუფლების წარმომადგენლები ღიად აცხადებენ, რომ დასავლეთი მხარს არ დაუჭირს რუსეთში გამდიდრებულ ოლიგარქს...**

-ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს. დასავლეთი აცხადებს, რომ სააკაშვილი ქვეყნის პრემიერ-მინისტრიც კი ვერ იქნება და თავისი პრეზიდენტობა უნდა დაასრულოს. რამდენადაც ვისი, ეს ოფიციალურადაც დადასტურდა, საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ გააკეთა ეს განცხადება. სააკაშვილის საქმე რომ დასრულებულია, მისი სურვილის მიუხედავად, ეს ცხადია. სააკაშვილი რომ მიუშვა, ის სიცოცხლის ბოლომდე იქნებოდა პრემიერი ან პრეზიდენტი. მან კონსტიტუცია იმიტომ შეცვალა.

**ნუცა დავითაშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# mxolod biZina ivaniSvili verafers gaxdeba, sindromisgan ar ganTavisuflda



***საზოგადოებრივი მოძრაობის წევრი უკვე გახდა ნატო მურვანიძე. მსახიობმა მიღებული გადაწყვეტილების დეტალებსა და გეგმებზე „საერთო გაზეთთან“ ისაუბრა.***

**— ქალბატონო ნატო, როგორ შეაფასებთ ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას ესაა პროგრესისკენ თუ რეგრესისკენ მიმავალი პროცესი?**

— გულწრფელად გეტყვით, მიმდინარე წლებმა დიდი უიმედობა გამოიჩინა. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენით სიტუაცია სრულიად შეიცვალა. იგი წლების განმავლობაში უანგაროდ ეხმარებოდა საქართველოს და ქართველობას. ეს არ იყო წინასაარჩევნოდ პოლიტიკაში წასასვლელად გამიზნული ადამიანის ნაბიჯი. ბიძინა მაქსიმალურად ცდილობდა მისი ქველმოქმედება აფიშირებული არ ყოფილიყო და სწორედ ესაა პროცესი — აკეთო საქმე უანგაროდ.

დღევანდელი გადაწყვეტილებაც ბიძინა ივანიშვილის მხრიდან ასეთივე ქველმოქმედებაა. მან უარი თქვა ბევრ რამეზე იმისთვის, რომ ადამიანები, ვინც უაიმედოდ ვიყავით, იმედი გაგვჩენოდა. პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლები, ვინც ივანიშვილმა პარტნიორებად დაასახელა, ის პარტიებია, ვისაც არჩევნებზე ხმას ყოველთვის ვაძლევდი. ბედნიერი ვიყავი, როცა ეს გადაწყვეტილება მოვისმინე, ვფიქრობ, ივანიშვილის მხრიდან სწორი გადაწყეტილება იყო.

**— რამ მოგცათ ბიძგი „ქართულ ოცნებაში“ გასაწევრიანებლად?**

— მართალია, უახლესი ისტორიის ტრაგიკული ეპიზოდები პირადად მე და ჩემს ოჯახს არ შეგვხებია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რაც საქართველოში ხდება, ჩემთვის სულერთია. ფრთხილად ვუდგები ყველაფერს, მითუმეტეს განცხადებების გაკეთებას. ამიტომ არ ვიტყვი, თითქოს „ქართული ოცნება“ ჩემი ყველაზე დიდი და უკანასკნელი იმედია. მთავარია, ჯანმრთელი პროცესი დაიწყო და ეს უკვე კარგია, მაგრამ უკან დასახევ გზას არ ვიჭრი, რადგან ბევრი იმედგაცრუება მინახავს. ბევრჯერ ყოფილა მოწოდებები, გაერთიანებები, თუმცა ბოლომდე მიყვანილი საქმე არასოდეს. პიესას როცა ვკითხულობ, ვიცი სადაა მისი დასაწყისი და დასასრული. წარმოგიდგენიათ, მუშაობა დავიწყო ისეთ პიესაზე, რომელსაც დაბოლოება არ აქვს? ამ შემთხვევაში, არ მეცოდინება, როგორ განვავითარო ჩემი პერსონაჟი. იგივე სიტუაციაა ნებისმიერი საქმის დაწყებისას. ადამიანი როცა რაღაცას იწყებს, დასახული უნდა ჰქონდეს მიზანი „ა“ პუნქტიდან „ბ“, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმატებას ვერ მიაღწევს. პირადად „ქართულ ოცნებაში“ ეს მიზანი დავინახე, ამიტომ მაქვს დიდი მოლოდინი.

**— რომ არა ივანიშვილის ფინანსური რესურსი, ექნებოდა ასეთი მხარდაჭერა?**

— არიან ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება ქველმოქმედებენ. თუმცა ამგვარი მხარდაჭერით არ სარგებლობენ. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში საქმე უფრო პიროვნულ თვისებებთან გვაქვს. ერთ მაგალითს მოვიტან: 5 წლის უკან პოლონეთში ვიყავი სამუშაოდ მიწვეული და იქ ბატონი ბიძინას ისტორია მოვყევი. საქართველოში არსებობს ადამიანი, რომელიც თვალით არავის გვინახავს, მაგრამ გაგვირემონტა თეატრები, შეგვიქმნა კომფორტული გარემო და ამასთან, დამატებით



ხელფასსაც გვიხდის — მეთქი. ყველა გაოგნებული დარჩა. ეს მართლაც წარმოუდგენელია და არსად არ ხდება. მართალია, სხვადასხვა ორგანიზაციებს ბილ გეიტსი და სხვა ქველმოქმედებიც ეხმარებიან, მაგრამ იმ ქვეყნებში კეთილი საქმე არ იბეგრება. საქართველოში კი ყველანაირი ქველმოქმედება სოლიდურად იბეგრება.

ყველაზე მეტად რაც ივანიშვილის გამოსვლაში დამამახსოვრდა: უნდა „ყველაზე დიდი ნიჭი ისაა, იცხოვრო ისე, რომ მეზობელი არ შეაწუხო“. მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ ვიცხოვროთ ამ პრინციპის გათვალისწინებით და ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება.

**მირანდა ნაბახტეველი**

---

„ქართული ოცნების“ შტაბბინა მუშაობის აქტიურ რეჟიმზეა გადასული. ანტონ კათალიკოსის №3-ში, მხარდამჭერთა რაოდენობა არ წყდება. დღემდე საზოგადოებრივ მოძრაობაში გაერთიანების სურვილი 9 576 ადამიანმა გამოთქვა. გადავწყვიტეთ, „ქართული ოცნების“ ოფისთან მივსულიყავით და შეკრებილი ხალხისგან მოგვესმინა, რას ფიქრობენ ქართულ ოცნებასა და ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებაზე, ბიზნესიდან — პოლიტიკაში.

თუმცა მხარდამჭერთა უმრავლესობა საზოგადოებაში არსებულ შიშზეც საუბრობს და ხალხს გამოფხიზლებისკენ მოუწოდებენ.

შტაბბინაში ყოფნისას ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება 84 წლის ქალბატონმა მოახდინა. ლამზირა ბებომ წელში მოხრილმა, ყავარჯენდაყრდნობილმა შენობამდე ძლივს მოაღწია, შენობაში შესასვლელი კიბეები კი ახალგაზრდების დახმარებით აიარა. გამაოცა ამ ქალბატონის ენთუზიაზმმა, ალბათ შემართებით, თავგანწირვით, ბევრ ახალგაზრდას კიდევ აჯობებს. დარწმუნებული ვარ, ლამზირა ბებოს მაგალითს ბევრი ადამიანი მიბაძავს...

**არჩილ აკობია, „ქართული ოცნების“ წევრი** — უკვე დიდი ხანია საკუთარ ქვეყანაში დევნილად ქცეული თბილისში ვცხოვრობ. ამას კიდევ თუ ცხოვრება ჰქვია, ცხვრებივით დაგვატარებენ წინ და უკან ხან სად შეგვყრიან, ხან საიდან გამოგვყრიან. ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ იმედი გამიჩინა ჩემს მიწა-წყალზე დაბრუნების. ამიტომ გადავწყვიტე „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანება. იმედია, ბატონი ბიძინა ქართველებს ოცნებებს აგვიხდენს, მათ შორის მეც და ჩემს მიწაზე დავიმარხები.

**ბადრი მაკარაშვილი, „ქართული ოცნების“ წევრი** — სააკაშვილის მოსვლის პერიოდში დარწმუნებულები ვიყავით ყველაფერი კარგად იქნებოდა, თუმცა მოლოდინი მალევე გაგვიცრუვდა. დააგეს გზები, გააკეთეს შადრევნები, წარმატებით გაატარეს პოლიციის რეფორმა, მაგრამ უშუალოდ საზოგადოებას არაფერი შეგვეტყო, კვლავ გაჭირვებულები



ვართ. ამიტომ მიხეილ სააკაშვილს ოდნავ თუ გონიერება შემორჩენია უნდა წავიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც შევარდნაძეს ხალხი თავად მიაბრძანებს.

**მზია ოღრაპიშვილი, „ქართული ოცნების“ წევრი** — ქვეყანაში სადაც არ არსებობს სამართალი, სამუშაო ადგილები, მოშლილია სამედიცინო მომსახურება, განათლება, ხალხი შიმშილით იხოცება და ასეთ დროს როცა ვიღაცა დახმარების ხელს გამოგიწვდის, მითუმეტეს ქართველი შეიძლება არ დაეთანხმო. ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა დასრულდეს სააკაშვილის დიქტატორული მმართველობ. ვფიქრობ, ბატონი ბიძინა დაგვეხმარება და აგვისრულებს „ქართულ ოცნებას“, რაც ჩემთვის პირადად პირველ რიგში სამართლიანობასთან ასოცირდება.

**ნათია ძირკველიშვილი „ქართული ოცნების“ წევრი** — დაახლოებით ერთი წლის უკან დავტოვე „ლეიბორისტები“, რადგან აღარაფრის იმედი აღარ მქონდა. ხალხი ხომ უნდა მიხვდეს ბოლოს და ბოლოს უფსკრულისკენ მივდივართ, ფასადურ სახელმწიფოში ვცხოვრობთ. იმედი გვაქვს ბატონი ბიძინასი, იგი იმდენად წარმატებული ადამიანია, ვფიქრობ, გაუთვალისწინებელ ნაბიჯს არ გადადგამს. ხელისუფლების ნაბიჯებს რაც შეეხება არის სრულიად უზნეო და შოკურ სიტუაციაში ჩავარდნილი ადამიანის ქცევაა საბედნიეროდ, სიკეთე ყოველთვის ამარცხებს ბოროტებას და ქართველი ხალხი აუცილებლად გაიმარჯვებს.

**რამაზ ბერიანიძე, „ქართული ოცნების“ წევრი** — წლების განმავლობაში „ლეიბორისტული პარტიის“ აქტივისტი ვიყავი და „ვარდების რევოლუციის“ დროს დავტოვე იმ იმედით, ქვეყანაში სიტუაცია შეიცვლებოდა, თუმცა ამაოდ. ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ პოლიტიკური პროცესები ღია, გამჭვირვალე გახადა და ყველაფერს სათავისო სახელი დაარქვა. სასურველი იქნება, ბატონი ბიძინა, თუ საზოგადოებას დაეყრდნობა და არა რომელიმე პოლიტიკურ ძალას. დამეთანხმებით, არცერთი პოლიტიკური ძალა სერიოზული ავტორიტეტით არ



სარგებლობს. კაცი, რომელიც ქართულ ტრადიციულ ოჯახში აღიზარდა და ეკონომიკურ, სოციალურ საკითხების გადაწყვეტისას ტყუილი არ უთქვამს, ვფიქრობ, საქართველოს გაიყვანს იმ ორბიტაზე სადაც ყველა ადამიანი ბედნიერი იქნება.

**რუსუდან შურღაია, „ქართული ოცნების“ წევრი** — დღემდე საქართველოს მომავალს არსებული ხელისუფლების პირობებში პესიმისტურად ვუყურებდი და ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრება არაა. ბევრი ადამიანი ფიქრობს იგივეს. თუმცა ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ საზოგადოებაში რწმენა გააჩინა — ქვეყნის გადარჩენის.

ქვეყანაში არ არსებობს სამართლიანობა, კანონიერება, რამდენი ხანი შეიძლება ვიცხოვროთ ასე. რასაკვირველია, ქართული ოცნების რეალობად გადაქცევა შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ ივანიშვილი ვერაფერს გააკეთებს თუ საზოგადოება შიშის სინდრომიდან ვერ გამოვა.

**— ივანიშვილი არჩევნების გზით აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას. თქვენი აზრით, რა შანსები აქვს?**

— ნაცმოძრაობა ხვდება, რომ განწირულები არიან, ამიტომ ცდილობენ საარჩევნო კოდექსში მათთვის სათავისო კანონები ჩადონ. ახლა უკვე სახელისუფლებო არხები დღედაღამ იმას ქადაგებენ, თითქოს „თავისუფალი დემოკრატები“ და „რესპუბლიკელები“ ნატოსა და ევროკავშირში შესვლას ეწინააღმდეგებიან, ამის შემდეგ რაზე შეიძლება ისაუბრო. ფაქტია, ივანიშვილის გამოჩენამ ხელისუფლება შოკში ჩააგდო.

**ინგა ხოშტარია, „ქართული ოცნების“ წევრი:** გაღატაკებული, გაუბედურებული. საქართველოსთვის ბიძინა ივანიშვილი ბოლო იმედია. ჩვენ ივანიშვილის გადაწყვეტილებას, ჩიხიდან გამოიყვანოს ქვეყანა, პატივს ვცემთ და მხარდამჭერას ვუცხადებთ. ბიძინას აქამდე ქართველი ხალხისთვის არასდროს უღალატია და დარწმუნებული ვარ, იგივე გზას გააგრძელებს. ბოლოს და ბოლოს ხალხი უნდა მიხვდეს, სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში კარგი არაფერი გველოდება.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `biZina ivaniSvilis saqme politikurad motivirebulia procesi 9 Tvis gamocdilebis mqone mosamarTles Caabares~

**ბიძინა ივანიშვილმა ხელისუფლების გადაწყვეტილება მოქალაქეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებით კანონიერების ჩარჩოში მოაქცია და სამართლებრივი მეთოდებით ცდილობს მოქალაქეობის დაბრუნებას.**

**გვესაუბრება ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი ზაქარია ქუცნაშვილი:**

— ამ დროისთვის მხარეები შეკითხვების დასმის ეტაპზე ვართ. მოგეხსენებათ, 5 დეკემბერს სასამართლოში წარვადგინეთ დაზუსტებული სარჩელი, რითაც ჩვენი მოთხოვნები სამართლებრივი საკითხების 6 ბლოკზე ავაგეთ.

**— კონკრეტულად რას ეფუძნება საზოგადოებრივი საკითხების 6 ბლოკი?**

— საბოლოო ჯამში, ისინი ადასტურებენ მიხეილ სააკაშვილის 2011 წლის 11 ოქტომბრის უკანონო ბრძანებულებას.

პრეზიდენტს უფლებამოსილება არ ჰქონდა გამოეცა ამ შინაარსის აქტი, რადგან გამონაკლისი წესით მოქალაქეობამინიჭებულ პირზე არ ვრცელდება საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის 32 მუხლი, ამიტომ მიხეილ სააკაშვილი გასცდა უფლებამოსილების ფარგლებს და გამოსცა უკანონო სამართლებრივი დადგენილება. ამავე დროს ხელისუფლება მოქმედებდა არამართლზომიერი გზით. ანუ ნებისმიერ ქმედებას იქნება ეს ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლებრივი, ლეგიტიმური მიზანი უნდა ჰქონდეს. მაგალითად, დამნაშავეს როცა ვაკავებთ, ვიჭერთ იმისთვის, რომ დავიცვათ საზოგადოების უსაფრთხოება და არა იმისთვის, რომ მისი დაკავება გვსიამოვნებს. ანუ ნებისმიერ საჯარო მოქმედებას მიზანი უნდა ჰქონდეს. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, რა მიზანი ჰქონდა ხელისუფლებას ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის ჩამორთმევისას? პასუხი მარტივია — პოლიტიკური.

მიხეილ სააკაშვილს ორი პოლიტიკური თანამდებობა უკავია: არის პრეზიდენტი და მეორე „ნაცმოძრაობის" თავმჯდომარე. იგი სახელმწიფო თანამდებობას იყენებს საკუთარი პარტიის სასარგებლოდ. იცილებს კონკურენტს ბიძინა ივანიშვილის სახით, ამიტომ მიზანი არალეგიტიმურია. მიხეილ სააკაშვილი მოქმედებს არა საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ პირადი, პარტიული ინტერესებით, რაც სერიოზული დარღვევაა.



ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა დაეფუძნა პოსტულატს, თითქოს გამონაკლისი წესით, საქართველოს მოქალაქეობამიღებულ პირს აღარ შეუძლია სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღება. ამ დროს კი ევროპის კონვენცია გვეუბნება: ე.წ. მულტიმოქალაქეობა მდგომარეობს იმაში, რომ პირი უკვე არის სხვა ქვეყნის მოქალაქე და დამატებით დამსახურების: ანიჭებ საქართველოს მოქალაქეობას. ესე იგი აპრიორი უშვებ იმას, რომ მოქალაქეობის მინიჭებამდე ივანიშვილი უკვე სხვა ქვეყნის მოქალაქეა, ამიტომ გაუგებარია, რატომ შეიძლება, მინიჭებამდე არსებული გარემოება მოქალაქეობის მინიჭების შემდეგ არსებული ვითარების წინააღმდეგობრივი გახდეს.

ვთქვათ, პრეზიდენტი გადაწყვეტილების მიღებისას კომპეტენტური იყო, ხელისუფლების მიზანი კონკრეტულ შემთხვევაში, კანონიერი. სულ რომ არაფერი, მოქალაქეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ელემენტარული პროცედურები ხომ მაინც უნდა დაეცვათ. მაგალითად, როგორიცაა სასამართლოში დაინტერესებული პირის გამოცხადება, მტკიცებულებების გამოკვლევა და ა.შ.

**— სასამართლო პროცესზე ადვოკატებმა ორჯერ დააყენეთ მოსამართლის აცილების საკითხი, რა იყო მიზეზი?**

— როდესაც მოსამართლის არიდების საკითხი დავაყენეთ, ვმოქმედებდით აბსოლუტურად კანონიერად. თავის მხრივ, მართლმსაჯულების განმხორციელებელი პირი ვალდებულია განახორციელოს კანონიერების მიზანი, რაც გულისხმობს მისი მხრიდან ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.

ადვოკატებს საქმის წარმოების დროს გაგვიჩნდა სერიოზული ეჭვი მოსამართლის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. ჩვენ როდესაც სასამართლოსგან მტკიცებულებების გამოთხოვა მოვითხოვეთ, მოსამართლემ თავის განჩინებაში ასეთი რამ დაწერა: ამ პროცესთან დაკავშირებით, მე უკვე ჩამომიყალიბდა რწმენა. სამართლებრივად, შინაგანი რწმენა არის შეხედულება, რომელიც მოსამართლეს პროცესის დასრულების შემდეგ უყალიბდება და შინაგანი რწმენა და კანონი ერთობლივად გავლენას ახდენს საბოლოო გადაწყვეტილებაზე. ამ ქმედებით მოსამართლემ საკუთარი თავი გასცა და თავისი სუბიექტურობა დაადასტურა.

მოსამართლის აცილების საკითხი მეორედაც დავაყენეთ და თქვენმა მკითხველმა გვინდა იცოდეს მიზეზი. ბიძინა ივანიშვილის პროცესისადმი საზოგადოების დიდი ინტერესიდან გამომდინარე, მოვითხოვეთ აუდიო-ვიდეოჩანაწერის განხორციელება, რაზეც უარი მივიღეთ იმ მიზეზით, რომ ამას სასამართლო თავადვე უზრუნველყოფდა. თუმცა შემდგომ დავაფიქსირე მიკროფონზე წითელი შუქის საშუალებით, რომ მოსამართლე მხოლოდ ჩვენ საუბარს იწერდა და საკუთარ განჩინებას არა. პროცესზე პრინციპულად მოვითხოვეთ მომხდარზე პასუხი, თუმცა მოსამართლემ საკმაოდ უცნაურად გვიპასუხა, რომ მას ინსტრუქცია აძლევს ამის უფლებამოსილებას. არც ინსტრუქციის მომცემი ორგანო ან პირი, რითაც განჩინებაში ხელმძღვანელობდა, არ დაუსახელებია. ამან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა მის სუბიექტურ დამოკიდებულებაში საქმის მიმართ.

**— თქვენი აზრით, რატომ არ დაკმაყოფილდა თქვენი მოთხოვნა მოსამართლის აცილებასთან დაკავშირებით?**

— ბიძინა ივანიშვილის საქმე ხელისუფლებისგან პოლიტიკურად მოტივირებული პროცესია. მოსამართლე შოთა გეწაძე 9 თვის განმოცდილების მქონე იურისტია. რატომღაც მას ჩააბარეს ასეთი მნიშვნელოვანი საქმე. როგორც ჩანს, ცდიან, კარგად იმუშავებს — დატოვებენ, ვერ იმუშავებს და თანამდებობიდან გაანთავისუფლებენ.



**— როგორ ფიქრობთ, აღსრულდება კანონიერება?**

— ყველა არგუმენტი გვაქვს იმისთვის, რომ თუნდაც 30-40 პროცენტი სტანდარტების სასამართლომ ობიექტური გადაწყვეტილება გამოიტანოს. თუმცა ნულოვანი სასამართლოს პირობებში, სადაც შავზე თეთრს ამბობენ, მოლოდინი დიდი არაა. ჩვენს მხარეზეა სიმართლე, უამრავი არგუმენტი და ვფიქრობთ, სიმართლე გაიმარჯვებს.

**მირანდა ნაბახტეველი**

# po l i t i ku r i suicidi

ქართველი ლეიბორისტების ლიდერისაგან წინათაც არაერთგზის გვსმენია მავანთა ზღვარგადასული კრიტიკა... მაგრამ მისმა ნაუბარმა 9 დეკემბრის ავბედით ღამეს სტუდია „მაესტროში" ჟურნალისტ თეა სიჭინავასთან ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა.

ბატონმა შალვამ ჯერ ვაშინგტონში მის მიერ ჩადენილი „საგმირო საქმეების" შესახებ გვიამბო: პირდაპირ თეთრ სახლთან, ლამის პრეზიდენტ ობამას კაბინეტის სარკმელთან ვლანძღეთ საქართველოს პრეზიდენტიო. მერე ბიძინა ივანიშვილს გადასწვდა:

— ეგ რა ქველმოქმედია, ერთი გადამამუშავებელი საწარმოც კი არ გაუხსნიაო. თანაც საქართველოს ისტორიაში უპირველესი მეცენატის მიერ გაწეული ქველმოქმედება უაღრესად არაკორექტულად მოიხსენია. ქველმოქმედი კი არა გველმოქმოქმედიაო!

ივანიშვილის სრულ ნაქველმოქმედარს ცხადია, ვერ ჩამოვთვლით. მათ შესახებ ყველას, მათ შორის ბატონ შალვასაც მშვენივრად მოეხსენება. ამიტომ მხოლოდ ერთ მაგალითს შევახსენებთ:

შეუძლებელია მას წაკითხული არ ჰქონდეს ბატონი პატიაშვილის საინტერესო ინტერვიუ, რომელიც ამასწინათ ქართულ პრესაში გამოქვეყნდა.



მაშინ (ამ ოციოდე წლის უკან), როდესაც საქართველოში ყველაფერს ჭრიდნენ და უცხოეთში ჯართად გაჰქონდათ, ბიძინა ივანიშვილმა საქართველოში საკუთარი სახსრებით შეძენილი 450 ტრაქტორი შემოიყვანაო, — ბრძანებს ბატონი ჯუმბერი.

აი, კიდევ ერთი მაგალითი: ცნობილ ქართველ მოღვაწეს ბაჩანა ბრეგვაძეს სწორედ ბატონი ბიძინას დაფინანსებით ჩაუტარდა მკურნალობის სრული კურსი. ამის შემდეგ იგი კვლავ (საბედნიეროდ) ინტენსიურად აგრძელებს საქმიანობას და ქართულ მწერლობასა და კულტურას არაერთი დიდებული ნაშრომი შესძინა.

— ვეკითხებით ლეიბორისტთა ლიდერს:

— ბატონი ბიძინას ამ კეთილი საქმეების შორეული მიზანი, 450 ტრაქტორის მემანქანისა და ბატონი ბაჩანას დავერბოვკება და არჩევნებში მათი გამოყენება იყო?!

მაგრამ ყოველივე ამით როდი ამოიწურა!

ბატონმა შალვამ იმავე სტუდიაში ბიძინა ივანიშვილის მიერ ფულის შოვნის „საიდუმლოებასაც ახადა ფარდა". და როდესაც ეს გენერალ ლებედთან ურთიერთობასა ინდოეთში იარაღის უკანონო ვაჭრობას დაუკავშირა, ჩემდა უნებლიედ, უკვდავი „დათა თუთაშხიადან" ერთი ფრაზა გამახსენდა!

— რა ჰქენი გუდუნა ეს!... რა ჰქენი გუდუნა ეს!...



— ბატონო გუდუნა... მაპატიეთ, ბატონო შალვა!

— თქვენი ვერსია ბიძინა ივანიშვილის მიერ ფულის შოვნის შესახებ, ისევეა ახლოს სიმართლესთან, როგორც ჩემს მიერ სახელდახელოდ შეთხზული ერთი გახმაურებული მკვლელობის ვერსია, რომელზედაც ახლავე მოგახსენებთ: „ჯერ კიდევ 1960 წელს, ლეიბორისტული პარტიის საიდუმლო სერობაზე შალვა ნათელაშვილმა და იური ანდროპოვმა კენედის მკვლელობა, ხოლო მისი მშვენიერი ქვრივის ჟაკლინის ონასისზე გათხოვება დაგეგმეს".

ასე რომ, მაესტროს გადაცემა მის უამრავ მაყურებელს ერთი ჩვეულებრივი საღამო გაგვიფუჭა, მაგრამ მთავარი ეს როდია. სამწუხარო ის არის, რომ გადაცემის „გმირმა" — შალვა ნათელაშვილმა, მგონი, ძალზე მძიმე რამეს — პოლიტიკურ სუიციდს გამოჰკრა ხელი.

**ოთარ კუსიანი**

**საჩხერე**

***დღევანდელ ხელისუფლებას ტყუილად არ უწოდებენ ნეობოლშევიკებს. როგორც ჩანს, სააკაშვილის რეჟიმმა კომუნისტების დროინდელი ბავშვთა კოლონიების აღდგენა გადაწყვიტა და შესაბამისი კანონპროექტიც „გამოაცხვეს“. ამ თემასთან დაკავშირებით „საერთო გაზეთს“ უფლებადამცველი გიორგი თევზაძე ესაუბრა.***

**გიორგი თევზაძე:** „ხელისუფლება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანას აპირებს. ეს კანონპროექტი პარლამენტარმა ჯონდი ბაღათურიამ წარმოგვიდგინა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს და პარლამენტარებთან ერთად მოხდა მისი განხილვა. ეს კანონპროექტი სახელწოდებით „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე“ არათუ დაგვაბრუნებს ჩვენს კომუნისტურ წარსულში, არამედ ბავშვებისადმი მიდგომას კიდევ უფრო გააუარესებს და დაამახინჯებს. რეალურად ეს არის არასრულწლოვნების პასუხისმგებლობის პირობა, თუმცა „ვარდოსნებმა“ ეს ასაკი 12 წლამდე დაწიეს. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქართველი უფლებდამცველების დაჟინებული მოთხოვნით, ისევ 14 წლამდე გაიზარდა, მაგრამ ახლა ეს კანონპროექტი შემოაქვთ, რომელიც წინააღმდეგობაშია არამარტო საერთაშორისო კონვენციებთან, არამედ ქართულ სს-ის საპროცესო კანონმდებლობასთანაც“.

**— კომუნისტურ წარსულში დაბრუნებაში რას გულისხმობთ?**

— ასეთი დაწესებულება, — ძნელადაღსაზრდელთა სკოლა-ინტერნატი კომუნისტების დროს ცხინვალში არსებობდა, მაგრამ იგი ფაქტობრივად, უფუნქციო იყო. თანაც იქ ბავშვი 10 კი არა 14 წლის შესრულების შემდეგ შეიძლებოდა გადაეგზავნათ, თანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მძიმე კატეგორიის დანაშაულს ჩაიდენდა. ბოლშევიკების დროს კი ჰქონდათ ძნელადაღსაზრდელთა დაწესებულება, სადაც მცირეწლოვნებიც ხვდებოდნენ, მაგრამ ეს კრიმინალის ჩადენისკენ მიდრეკილი უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი იყო. ახლა კი იმ ბავშვებზეა საუბარი, რომლებსაც ოჯახი ჰყავთ და თუ მანდატურს ან პედაგოგს არ მოეწონა რომელიმე ბავშვი, დანაშაულის ჩადენაზე აღარც არის საუბარი, შეუძლია ამ სკოლა-პანსიონში უკრას თავი.

სკოლებში დირექციის მიერ საკუთარი ნება-სურვილით სადამსჯელო ღონისძიების გატარების სამწუხარო პრაქტიკა უკვე გვაქვს, თუნდაც 53-ე სკოლის მაგალითზე. ამ სკოლის დირექტორმა უკანონოდ დასაჯა არასრულწლოვანი, სკოლიდან გარიცხა და ამ ბავშვს სხვა სკოლებიც აღარ ღებულობენ. ჩემი ინფორმაციით, იმ ბავშვების ოჯახებს, რომლებმაც გააპროტესტეს დირექტორის ეს ყოვლად მიუღებელი საქციელი, პირდაპირი ჩასმა აღმზრდელობით დაწესებულებებში, ანუ ფაქტობრივად სკოლას, პოლიცია აკონტროლებს. მანდატურების შეყვანის აუცილებლობას იმით ხსნიან, რომ სკოლებში შემცირდა დაჭრისა და სხვა დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა, მაგრამ ეს სხვა ფორმითაც შეიძლებოდა გაკეთებულიყო. რა თქმა უნდა, მანდატურმა შიშის ფაქტორი მართლაც გამოიწვია, მაგრამ რა დააშავა იმ ბავშვმა, რომელიც კრიმინალური ქმედებისკენ მიდრეკილი არ არის? ისე თუ ასეთი კარგი და მნიშვნელოვანია მანდატურის ინსტიტუტი, მაშინ რატომ არ მოქმედებს იმ ამერიკულ სკოლებში, სადაც გავლენიანი და ცნობილი ხალხის შვილები სწავლობენ? რამდენადაც ვიცი იმ ამერიკულ სკოლაში, სადაც პრეზიდენტ სააკაშვილის ვაჟი სწავლობს, მანდატურები არ არიან. თუ თანასწორობაზეა საუბარი, მაშინ არც საჯარო სკოლებში უნდა იყვნენ, თუ არადა იმ სკოლებშიც შეიყვანონ. დარწმუნებული ვარ ეს დრაკონული კანონპროექტი, რომლის მიღებასაც აპირებენ, ამ პრესტიჟული სკოლების მოსწავლეებზე არ გავრცელდება.



# Tu pedagogs an mandaturs, ubralod, `ar moewona~ bavSvi, SeiZleba, mas ZneladaRsazrdelTa skola-pansionSi ukran Tavi ise, rom mSobelma araferi icodes...

სპეციალურ სკოლა-პანსიონში გადამისამართების (გაგზავნის) პროექტი. ხსენებული დაწესებულება არის რაღაც ახალი ტიპის სკოლა-ინტერნატი, ადრე ძნელადაღსაზრდელთა დაწესებულება რომ იყო. სასჯელაღსრულების დაწესებულების მაგვარია, ანუ ფაქტობრივად ეს არის პატიმრობის ფორმა.

ამ კანონპროექტის შესაბამისი მუხლის თანახმად გადამისამართება, ანუ არასრულწლოვანის სკოლა-პანსიონში გაგზავნა ხორციელდება დევიანტური ქცევის არასრულწლოვნის მიმართ, რომელსაც 10 წელი შეუსრულდა და მიმართვიდან 6 თვის მანძილზე არ შეუსრულდება 18 წელი. დევიანტური ქცევა გამოიხატება რთულ ან/და ანტისაზოგადოებრივ ქცევაში, რომელიც



აშკარა საფრთხეს უქმნის არასრულწლოვნის განვითარებას, მის ან სხვა ადამიანების უსაფრთხოებას, კეთილდღეობას ან მართლწესრიგს და ვლინდება არანაკლებ 6 თვის მანძილზე.

ამ ე.წ. გადამისამართების გადაწყვეტილებას იღებს განათლების სამინისტროსთან არსებული მულტიდისციპლინური ჯგუფი მასში შემავალი ქვეჯგუფების მეშვეობით. ეს ქვეჯგუფები სკოლებში იფუნქციონირებს და ფაქტობრივად, მანდატური და პედაგოგი მიიღებენ გადაგზავნის გადაწყვეტილებას, რაც რეალურად არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული ადმინისტრაციული წესით დასჯაა.

10-დან 18 წლამდე ეს ის პერიოდია, როდესაც ბავშვი ჩამოყალიბების პროცესშია და ხშირად გაუაზრებლად მოქმედებს. 14 და მითუმეტეს 10 წლის ბავშვს როგორ უნდა მოჰკითხო საკუთარ ქმედებებზე კონტროლი. ან რა იციან მათ რას ნიშნავს ანტისაზოგადოებრივი ქმედება. კომუნისტების დროსაც კი 14 წლის შემდეგ დგებოდა სისპოლიცია სისტემატურად აკითხავდა. ბავშვის აღზრდისადმი ასეთი მიდგომა ყოვლად დაუშვებელია. მომავალ კრიმინალებს ვზრდით თუ რაშია საქმე, ასეთი საქციელით მათ ხომ გზიდან აცდენისკენ ვუბიძგებთ? ბავშვს ჰუმანურობა და პატიება უნდა ვასწავლოთ, საკანში კი არ უნდა გამოვამწყვდიოთ. თურმე ეს არასრულწლოვნების გამოსწორების მიზნით კეთდება. ეს არის სრული აბსურდი. ძალიან მეეჭვება იქ ვინმე გამოსწორდეს, მითუმეტეს ხსენებულ სკოლა-პანსიონში გამიჯნული არ იქნება მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში შემჩნეული არასრულწლოვნები იქ შეცდომით მოხვედრილი ბავშვებისგან. თან თუ იმასაც გავითვალისწინებთ როგორი დამოკიდებულება აქვს ამგვარი დაწესებულებების ადმინისტრაციას იქ მოთავსებულთა მიმართ, არ არის გამორიცხული სრულიად წესიერი ადამიანიც კი, მითუმეტეს არასრულწლოვანი კრიმინალად ჩამოყალიბდეს.

არ შემიძლია ამ მანდატურის ინსტიტუტს არ შევეხო. ეს არის პოლიციელების

**- გადამისამართების გადაწყვეტილების აღსრულება როგორ მოხდება?**

- თუ არასრულწლოვანი წინააღმდეგობას გაუწევს ამ გადაწყვეტილებას, სოციალური მუშაკი უფლებამოსილია პოლიციას მიმართოს, ანუ ბავშვი იძულებით გადაიყვანონ. მისმა მშობლებმა თუ უარი თქვეს გადაყვანაზე, პირველ შემთხვევაში, 500 ლარით დაჯარიმდებიან. ამ წინააღმდეგობის განმეორების შემთხვევაში 1000-1000 ლარით. მულტიდისციპლინარული ქვეჯგუფის წევრი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს შეადგენს და შესაბამისი კოდექსის მიხედვით მოხდება დაჯარიმება. თუ ეს თანხა ოჯახმა დროზე არ გადაიხადა, ცხადია, საურავი დაერიცხება და შეიძლება სახლ-კარიც კი გააყიდინონ. არადა ამ მასიური სიდუხჭირის პირობებში ვინ შეძლებს მის გადახდას. ყველაზე კურიოზული კი ის არის, რომ ოჯახს გასაჩივრების უფლება აქვს, მაგრამ ამ საჩივარ ისევ ეს მულტიდისდისციპლინური ჯგუფი იხილავს და რა გადაწყვეტილებასაც გამოიტანს, წინასწარვე ცნობილია.

მოკლედ, ეს კანონპროექტი ყოვლად მიუღებელია, რადგან უხეშად არღვევს, როგორც ბავშვის საერთაშორისო კონვენციებით გათვალისწინებულ უფლებებს, ისე საქართველოს კონსტიტუციასაც. კონსტიტუციითაა დაცული ოჯახის ერთიანობა, ამ დროს კი ესენი ბავშვს ოჯახს წყვეტენ.

ასეთი სკოლა-პანსიონატი სამტრედიაში უკვე ყოფილა. მალე ალბათ სხვა რეგიონებშიც გახსნიან. თუ ეს ხელისუფლება ასე ზრუნავს ბავშვების სწორ აღზრდაზე, უამრავი მიუსაფარი ბავშვია, რომლებიც ღია ცის ქვეშ ცხოვრობენ და ჯერ მათ საცხოვრებლით უზრუნველყოფასა და სწავლა-განათლებაზე იფიქრონ. ეს ხომ მათი უშუალო მოვალეობაა?

**მანანა სუხიშვილი**

## ბიძინა ივანიშვილი ჯონ ბასს შეხვდა



ბიძინა ივანიშვილი საქართველოში აშშ-ის ელჩს ჯონ ბასს შეხვდა.

როგორც „მედიანიუსს“ ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოს ხელმძღვანელმა ნონა ყანდიაშვილმა განუცხადა, შეხვედრა დღეს ამერიკის საელჩოში შედგა და ის დახურული იყო.

„საუბარი შეეხო მიმდინარე პრობლემებს, მათ შორის ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხს და ბევრ სხვა საკითხსაც, რომელიც დღის წესრიგში დგას და პრობლემურია. ასეთი საკითხი კი საკმაოდ ბევრია“ — აღნიშნა ყანდიაშვილმა.

## „მაესტროს“ თანამშრომლებმა პრეზიდენტის სასახლესთან საპროტესტო აქცია გამართეს

საქართველოს პრეზიდენტის სასახლესთან ტელეკომპანია „მაესტროს“ თანამშრომლებმა და დამფუძნებლებმა საპროტესტო აქცია გამართეს და მიხეილ სააკაშვილს კანონის აღსრულების უზრუნველყოფისაკენ მოუწოდეს. აქციის მონაწილეები რუსთავის მედიის მართვის კომპანიის ხელმძღვანელის ეროსი კიწმარიშვილის და მისი დაცვის წევრების ტელეკომპანია „მაესტროს“ შენობიდან გამოსახლებას მოითხოვენ.




„მაესტროს“ დამფუძნებელ მამუკა ღლონტის განცხადებით, ეროსი კიწმარიშვილის სახით ტელეკომპანიას მიხეილ სააკაშვილი ებრძვის, მისი სასახლის წინ აქციის ჩატარება მხოლოდ ამიტომ გადაწყდა.

ღლონტის განცხადებით, მსგავსი აქციები კიწმარიშვილის ტელეკომპანიის შენობიდან განსახლებამდე გაგრძელდება.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის წინ მყოფმა „მაესტროს“ თანამშრომლებმა ლენტი შემოიხვიეს და მათი თქმით, ტელეკომპანიის ამჟამინდელი მდგომარეობა სიმბოლურად ასეთი ფორმით გამოხატეს.

საპროტესტო აქციაში „მაესტროს“ დამფუძნებლების გარდა პოლიტიკოსები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

აქციას შეუერთდნენ სხვა მედიასაშუალების წარმომადგენლებიც.

## მიხეილ სააკაშვილი პრესის ჯიხურების აღებასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თბილისში პრესის გამავრცელებელი ჯიხურების აღებასთან დაკავშირებით მედიასაშუალებების მიერ გამოთქმულ პროტესტზე თავისი პოზიციის გახმაურებისაგან თავს იკავებს.

როგორც დღეს პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე მიხეილ სააკაშვილის პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა, აღნიშნულ საკითხზე კომენტარის გაკეთება არა პრეზიდენტის ადმინისტრაციის, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პრეროგატივაა.

მანჯგალაძის თქმით, ჟურნალისტებმა ამ საკითხზე კითხვით სწორედ აღნიშნულ უწყებას უნდა მიმართონ.

„მედიანიუსი“

# `ra ena waxdes...~

## qveyana avadaa _ `saerTo gazeTi~konsiliums iwvevs

***„საერთო გაზეთი“ ამჯერად ერისათვის ყველაზე მტკივნეულ თემაზე სახელმწიფო ენის — ქართული ენის სავალალო მდგომარეობაზე იწყებს დისკუსია. ენის საკითხი მხოლოდ ენის საკითხს უკვე რახანია გასცდა და ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხში გადაიზარდა. ვინ ვართ, რა პერსპექტივა გველის და რა საფრთხეების მატარებელია ხელისუფლების ე.წ. ქვეყნის შენების პოლიტიკა ამ თემებზე „კონსილიუმში“ ცნობილი პოეტი და პუბლიცისტი, „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი ვახტანგ ხარჩილავა გვესაუბრება:***

— ყველას კარგად გვახსოვს ცნობილი ფორმულა: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, სადაც ქართულ ენაზე ლოცვა აღევლინების და ჟამი შეიწირვის...“, ანუ საქართველოდ ის ტერიტორია შეიძლება ვიგულისხმოთ, სადაც ვრცელდება ქართული ენა. ამ ფრაზის მთქმელმა სახელმწიფოს საზღვრები, სახელმწიფოებრიობა იქამდე შემოსაზღვრა, სადამდეც სწორედ ეს ენა ვრცელდება. ენა სახელმწიფოს საზღვრების მომნიშვნელი, მომსაზღვრელია. ხოლო სადაც ქართული ენის სტატუსი არ ვრცელდება — ის სხვა სახელმწიფოა. დღევანდელ საქართველოს ამ კუთხით თუ შევხედავთ, გამოდის, რომ დღეს ჩვენ სახელმწიფო არ გვაქვს. ეს არ ვრცელდება ის ტერიტორიული მთლიანობა, რასაც დღეს საქართველოს ვეძახით, რადგან სინამდვილეში თბილისიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ქართული ენა სახელმწიფო ენა არ არის, ლოცვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, იქ ქართული ენის არსებობის საჭიროებაც კი არ არის. ავიღოთ, თუნდაც ე.წ. სამხრეთ-ოსეთის ტერიტორია, სადაც საქართველოს სახელმწიფო ენა — ქართული როგორც სახელმწიფო ენა მაშინაც არ ვრცელდებოდა. აღარაფერს ვამბობ აფხაზეთზე, სადაც ქართული ენა ვრცელდებოდა როგორც მეორე ენა, მაგრამ პრიორიტეტი არ ენიჭებოდა. რაც შეეხება, სამცხე-ჯავახეთს, აქ საერთოდ იგნორირებულია ქართული ენა. ეს საკმაოდ თვალსაჩინო მაგალითებია. მაგრამ, მოდით იმ ტერიტორიებს მიმოვავლოთ თვალი, სადაც ქართული ენა პრიორიტეტულია. დავსვათ კითხვა — სად, რომელ ტერიტორიებზეა ქართული ენა პრიორიტეტული მაშინ, როცა სახელმწიფო გვეუბნება — მთავარია ინგლისური ენის სწავლაო, ნებისმიერ ვაკანსიაში აუცილებელ პირობად ინგლისურის და არა ქართული ენის ცოდნაა მითითებული და ა.შ.



**ჩვენს თვალწინ, უცებ სახელმწიფო ქართული ენა საქართველოშივე მეორეხარისხოვან ენად იქცა. რაც შეეხება, ხელისუფლების დამოკიდებულებას ქართული, როგორც სახელმწიფო ენისადმი, ჩემდა გასაკვირად აბსოლუტურად აგრესიული და მტრულია.**

ამ ფაქტის იმით გამართლება, რომ გლობალიზმის ეპოქაში ვცხოვრობთ და ამიტომ ინგლისურ ენას საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა ფლობდეს, რაც მათ თითქოს ხელს შეუწყობს საერთაშორისო ასპარეზზე მოღვაწეობაში და ა.შ. გაუგებარია. სააკაშვილის დაბადებამდეც არსებობდა გამოთქმა-რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო. მაგრამ ამ ფრაზაში ნამდვილად არავის უგულისხმია საკუთარი ენის იგნორირების ხარჯზე დაეუფლეთ სხვა ენებსო.

**როდესაც საკუთარ სახელმწიფო ენას ფეხქვეშ თელავ და მას უკანა პლანზე სწევ, ამ დროს სხვა დანარჩენი ენების ცოდნა ყოველგვარ აზრს ჰკარგავს.**

როდესაც საკუთარი ენა შესისხლხორცებული არ გაქვს, მაგრამ ამ დროს ძალიან კარგად იცი, ვთქვათ ჩინური, ინგლისური და სხვა, სინამდვილეში საქართველოს სრულფასოვან მოქალაქედ არ ითვლები. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს სწორედ იმისთვის, რომ არ ვიყოთ ჩვენივე ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქეები, რაც გამოიხატება ენისადმი მტრული და აგრესიული დამოუკიდებულებით. ხელისუფლებას გააზრებული არ აქვს, რა შედეგებს მივიღებთ ამით არცთუ შორეულ პერსპექტივაში. მაგალითად ხელისუფლების ერთ-ერთ უხეშ შეცდომას მოვიყვან: პარლამენტმა დაამტკიცა კანონი ყველა უცხოენოვანი ფილმის ქართული ტიტრებით გაშვების თაობაზე, რაც რეალურად აძნელებს მხატვრული ფილმის შემეცნებას. დამეთანხმებით ძნელია, როცა თან ტიტრებს კითხულობ და ამავდროულად ვიზუალურადაც უყურებ ფილმს. ამის მიზანი იყო ქართული მოსახლეობისთვის ყური შეეჩვიათ ინგლისური ენისთვის. სინამდვილეში ამ მცდელობამ უკუშედეგი გამოიღო, რაზეც ხელისუფლებას საერთოდ არ უფიქრია. კერძოდ, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა თავიანთი ტელევიზორები რუსულ არხებზე გადართო, ასე მოიძებნა მარტივი გამოსავალი. შედეგად მივიღეთ ის, რომ ინგლისურის ნაცვლად უფრო უკეთ ვსწავლობთ რუსულს. ეს ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა მოკლე ჭკუით აზროვნებს ხელისუფლება. თუ ჩვენ სახელმწიფოს კი არა დიდ სუპერმარკეტს ვაშენებთ, მაშინ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ თუ მართლა სახელმწიფოს შენება გვინდა, ამის მთავარი ღერძი, ხერხემალი — სახელმწიფო ენაა. როდესაც ხელისუფლება გვეუბნება ბავშვმა 5 წლის ასაკიდან ინგლისური ენის სწავლა უნდა დაიწყოსო, ეს ნიშნავს, რომ მან ინგლისურად უნდა აიდგას ენა, შეიმეცნოს სამყარო, დაიწყოს აზროვნება.

***— რა გამოდის, რომ საქართველოს ხელისუფლება არაქართველ თაობას გვიზრდის?***

— დიახ, სწორედ ასე გამოდის. კარგად დავაკვირდეთ — როგორ თაობას უზრდის ხელისუფლება ქვეყანას — არაქართველს? ხომ საინტერესოა, რა ამოძრავებს ხელისუფლებას? — ეს პირდაპირ მიბმულია იმ ტენდენციებთან, იმ ფარულ მდინარებებთან, რასაც ხელისუფლება საქართველოში თუნდაც უცხო ტომელის შემოსვლით აკეთებს. დღეს, ფაქტობრივად საქართველო კარლია ქვეყანაა. ნებისმიერი ეროვნების ადამიანს — ჩინელს, თურქს, ინდოელს და ა.შ. შეუძლია უპრობლემოდ შემოვიდეს და აქ დამკვიდრდეს. ხელისუფლებას არ აინტერესებს ქართველი ერისგან დაკომპლექტებული მოსახლეობა, არამედ ადამიანთა მასა, როგორც საარჩევნო ელექტორატი. ხომ უნდა მივხვდეთ ბოლოს და ბოლოს რას აკეთებს ეს ხელისუფლება? — იგი ცდილობს გარედან მოიზიდოს ადამიანთა საკმაოდ დიდი ჯგუფი, მასა, რომელიც მისთვის იქნება არა მოქალაქე, არამედ საარჩევნო ხმა. როგორც დღეს სომეხი, აზერბაიჯანელი ჰყავს, ჩინელიც, თურქიც და სხვაც სწორედ ამისთვის სჭირდება, რომ საკუთარ ელექტორატად აქციოს არჩევნებში. ის, რაზეც ახლა ჩვენ ვსაუბრობთ, მას სრულებით არ აღელვებს, ანუ არ აინტერესებს ქართული სახელმწიფოს არსებობა, რომელიც თავის თავში ქართულ სულიერ, კულტურულ, ეროვნულ ღირებულებებს გულისხმობს. მას აინტერესებს მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნება და რადგან ამ საქმეს ქართველები არ ჰყოფნის, უცხო ტომის ადამიანთა ჯგუფებს იერთებს, რითაც ქართველს ნელ-ნელა უცხო ქვეყნიდან შემოსულს უთანაბრებს. ეს ფარული და მტრული გეგმაა.

***— რა ვითარებაა ამ კუთხით იმ ტერიტორიებზე, სადაც კომპაქტურად არიან დასახლებული ჩვენი მოქალაქე აზერბაიჯანლები, სომხები?***

— ამ მხრივაც საკმაოდ რთული ვითარებაა. ვინმემ სცადა მათი ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში? — რა თქმა უნდა არა. რა გააკეთაა ამ კუთხით ხელისუფლებამ? — იმ მოტივით და საბაბით, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე თანაბარი უნდა იყოს, ინტეგრაციისთვის კი თურმე მოწმობაში ეროვნული გრაფის არსებობა ყოფილა ხელისშემშლელი ფაქტორი, ადგნენ და ეროვნების გრაფა ამოშალეს. დაგვრჩა საქართველოს მოქალაქე, რომელსაც არც ეროვნება აქვს, არც მამის სახელი. ამით, ვითომ სომეხს, აზერბაიჯანელს უთხრეს თქვენც საქართველოს მოქალაქეები ხართო. კი, მაგრამ აქამდე არ იყვნენ ისინი საქართველოს მოქალაქეები? სომეხს, აზერბაიჯანელს ორივეს აქვს თავისი სამშობლო, მაგრამ სად ვართ ჩვენ, სად არის ჩვენი სამშობლო სომეხს, აზერბაიჯანელს კი ამოუშალეს ორივეს გრაფიდან ეროვნება, მაგრამ მათ ორივეს სახელმწიფო აქვთ. ჩვენ გვაქვს სხვა სახელმწიფო?! ელემენტარულად, ამოგვშალეს ერების სიიდან. ამის შემდეგ ცინიზმია, როცა ამბობენ საქართველოს სახელმწიფო ენა ქართულიაო. გამაგებინეთ, რატომ არ არის სომხური ან აზერბაიჯანული ჩვენი სახელმწიფო ენა?! მოვა დრო და ეს საკითხი რეალურად დადგება. სომხებმა უკვე თქვეს რატომ არ არის სომხური რეგიონალური ენა, ჩვენ რა, არ ვართ ამ ქვეყნის მოქალაქეებიო? აზერბაიჯანელიც იგივეს იტყვის იგი საქართველოს მომხმარებლური თვალსაზრისით უყურებს, სადაც შეიძლება მოიყვანოს კარგი მოსავალი, ეს მისთვის არ არის სამშობლო. არავინ არ უთხრა მათ — ეს თქვენი სამშობლოაო. ხელისუფლებას ეს რომ ნდომოდა აზერბაიჯანულ და სომხურ სკოლებს კი არ დააფინანსებდა, არამედ იმაზე იზრუნება, რომ ამ ადამიანებს ქართულად მიეღოთ განათლება. დღეს კი რა ხდება — ხელისუფლება მეზობელ სომხებს და აზერბაიჯანელებს კადრებს უზრდის, აქ თავიანთ ენაზე განათლებას ღებულობენ და მერე ცოდნას თავიანთ ქვეყანაში იყენებენ. ჩვენ ხელისუფლებას არ აქვს ინტერესი საკუთარი მოქალაქეები აღზარდოს. აქ დაბადებული, გაზრდილი სომეხი თავს ქართველად რომ არ თვლის — ეს მისი კი არა, ჩვენი ბრალია იმიტომ, რომ მათ ამ სივრცეში უმტკივნეულო ინტეგრირების საშუალება არ მიეცათ. არც წინა და არც ახლანდელ ხელისუფლებას ამის გაკეთება არ აინტერესებდა, ჩამოივლიდა სომხეთის პრეზიდენტი და მოუწოდებდა სომხებს შევარდნაძისთვის მიეცათ ხმა, მერე სააკაშვილისთვის ხმის მიცემისკენ მოუწოდებდნენ და ა.შ. ეს ხომ ხმების საკმაოდ დიდი ნაწილია, ფაქტობრივად განმსაზღვრელია საარჩევნო სისტემის დროს. წარმოგიდგენიათ, რა ცინიზმია,




ჩვენი ამომრჩეველი მეზობელი სახელმწიფოს პრეზიდენტებისგან იმართება. ჩვენი არჩევნებია ეს? — ნურას უკაცრავად, ვართ. მათი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, უბრალოდ ამით იმის თქმა მინდა, რომ სახელმწიფო არ გვაქვს. ჩვენი დამოკიდებულება ენისადმი მახინჯი, არასახელმწიფიეობრივია და ამის შედეგია, რომ ჩვენსავე ქვეყანაში სამშობლოს ვკარგავთ. საფრთხე, რაც უკვე რეალობად იქცა აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთში, ნებისმიერ დღეს შეიძლება მოხდეს ჩვენს ტერიტორიის ერთი ნაწილი, რომელიც კომპაქტურადაა დასახლებული არაქართველი მოსახლეობით და აბსოლუტურად არაფერი აკავებს, მეზობელ სახელმწიფოს მიუერთონ. მერე სადაც არ უნდა ვიჩივლოთ, აზრი არ ექნება.

ხელისუფლებამ გვითხრა თუ ინგლისური იცი საქართველოში სამუშაოსაც იშოვი და კარგადაც იქნები, ამისთვის სულაც არ არის საჭირო ცოდნაო. ამით სომეხს შენსკენ მოსასვლელი გზა დაუხშეს. ეს გზა ქართულის ცოდნაზე გადის, სხვანაირად სომეხი ქართველამდე ვერ მოვა. მთავარი ატრიბუტი, ნიშანი, რითაც ამ ქვეყნის მოქალაქის სტატუსი განისაზღვრება, საკუთარი სახელმწიფო ენის ცოდნაა. ჩვენ პირიქით დავუფინანსეთ მათ სკოლა, სომხური სახელმწიფოებრიობა. და ისინი მერე თავი-

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `ero, guli wagsvlia da gagwyromia suli wminda, gonebaze rom moxvide asi aliyuri ginda!~

ანთ სამშობლოში მიდიან განათლებულნი. ანუ იგი თავისი მენტალიტეტით სომეხად დარჩა, ვერ გაქართველდა.

**— ის პრობლემა, რაზეც ახლა თქვენ საუბრობთ პირდაპირ კავშირშია ქვეყნის სახელმწიფოებრივ შენებასთან. ხელისუფლება ობიექტების გახსნას გვითვლის სახელმწიფოს შენებაში. რა რეალობაა სინამდვილეში?**

— ვიღაც-ვიღაცები გვატყუებენ — ავაშენეთ ხიდი, დავაგეთ გზები, ანუ ქართულ სახელმწიფოს ვაშენებთო. ხიდების, ობიექტების მშენებლობა არ არის საკმარისი ატრიბუტი სახელმწიფოს მშენებლობისთვის. შეიძლება აშენებდე გზებს, ხიდებს და ამ დროს, სინამდვილეში სახელმწიფოს ანგრევდე. სახელმწიფო მხოლოდ ხიდების მშენებლობა კი არა, არამედ კულტურული, ენობრივი, სულიერი ფარსეულობების კონგლომერატია, რომელიც ადამიანებს საერთო მიზნებითა და ამოცანებით აერთიანებს. როცა ამ ყველაფერს ხაზს უსმევ და მხოლოდ ხიდების შენებაზე გაქვს აქცენტი, ეს ხიდი ადამიანებს სახელმწიფოს ასაშენებლად ვერ გააერთიანებს.

**ეს სამწუხარო რეალობაა, რომელშიც დიდი ხანია ვიმყოფებით და ნაცვლად იმისა, რომ საზოგადოება დაფიქრდეს იმაზე, რომ ეს ქვეყანა უკვე წაგვართვეს და ახლა თანდათანობით ამის გადაფორმება მიმდინარეობს, ჩვენ რაღაც სისულელეებზე ვლაპარაკობთ. ქართველ ხალხს შეგნებული არ აქვს ის რეალობა, რომელშიც დღეს იმყოფება. ეს კატასტროფული რეალობაა. ჩვენ კი ამ დროს რაღაც ძალის მიერ ვართ, ფაქტობრივად დაპყრობილი ქვეყანა ვართ. დაგვიპყრეს, გაგვათახსირეს, დაგვაჩოქეს, გადაგვიარეს, ჩვენ ამ დროს ვიძახით არჩევნები ახლოვდებაო. რისი არჩევნები ახლოვდება? რისთვის, რატომ ვირჩევთ ვინმეს, როცა არაფერი გაგვაჩნია, არ გვაქვს საშუალება უმნიშვნელო პროცესის წარმართვისაც კი. ამ სახელმწიფოში რაც გაგვაჩნდა ყველაფერი დავკარგეთ. თუ ხელისუფლებას ქართული ენა, ჯერ კიდევ არ დავიწყნია, სჭირდება იმისთვის, რომ კარგად შეგაგინოს, ჩარეცხილი, გათახსირებული გიწოდოს. გვიგინებს ყველაფერს და იმის ნაცვლად, რომ ხმა აღვიმაღლოთ, გეგმებს ვალაგებთ. რა გეგმებს ვალაგებთ, როდესაც ქვეყანა არ გვაქვს, ელემენტარულად არ ვარსებობთ, ამოშლილი, ამოფხეკილი ვართ, ბოდიშით, მაგრამ საკუთარ ქვეყანაში, საკუთარ სახლში გვაუპატიურებენ. ჩვენ უმთავრესი — ღირსების გრძნობა დავკარგეთ. ულირსი ადამიანი ორფეხა ცხოველია და სხვა არაფერი. დღეს, ჩვენ სწორედ ამ სიტუაციაში ვართ.**

**— რა არის გამოსავალი ქვეყნის ამ რთული ვითარებიდან გამოყვანის?**

— შექმნილი სიტუაციიდან სწორი დასკვნები უნდა გავაკეთოთ და ვთქვათ — ასე ვერ გაგრძელდება, ველარ ავიტანთ ამდენ შეურაცხყოფასო. თუ ასე არ მოხდება, ძალიან მცირე ხანში გავქრებით, ამას არ სჭირდება საუკუნეები. დემოგრაფიულად კატასტროფულ ვითარებას თავი რომ დავანებოთ, მთავარი ძარღვის ამოცლა — ენის, ეროვნულობის მოსპობა გაგვაქრობს. ჩვენი თაობა წავა, მოდის ნიჭიერი ახალგაზრდობა, მაგრამ ხელისუფლება მათ ეუბნება — ინგლისურენოვანი მოქალაქე ხარო. ერთ ამბავს მოგიყვებით, ფილოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, სადაც



პარალელურად რუსული ენის განყოფილებაც იყო. ერთხელ მცხეთის ჯვარზე ავედით ერთობლივად. ცოტა რომ შევზარხოშდით ლექსების კითხვა დავიწყეთ. ერთი მათგანი ატირდა და თქვა — ქართველი ვარ, ყველაფერი მესმის, მაგრამ ვერ ვგრძნობო. ანუ მან საკუთარი ენის მიმართ გრძნობა დაკარგა. —

**თუ ჩვენ ვაპირებთ საქართველოში ინგლისური ენა ურთიერთგაგებინების საშუალებად გამოვიყენოთ, მაშინ ხელთ შეგვრჩება შემდეგი ვითარება — ინგლისურენოვანი სომხები, ინგლისურენოვანი აზერბაიჯანელები და ინგლისურენოვანი ქართველები. ჩნდება კითხვა — რა ჰქვია იმ ქვეყანას, სადაც ეს ინგლისურენოვანი ხალხი ცხოვრობს?**

თანაც, ენა მხოლოდ ურთიერთგაგებინების საშუალება ხომ არ არის, ამით ხარ დაკავშირებული შენს უძველეს ფესვებთან, საიდანაც მოდიხარ. როცა ეს ხაზი გადაიჭრება, ფესვებთან ურთიერთობას ჰკარგავ, და უკვე აღარ ხარ ის, რაც იყავი. ამ პატარა ბავშვებმა შეიძლება კი იციან ქართული, მაგრამ გრძნობა დაკარგეს, ვერ გრძნობენ ენის სიდიადეს, სიმშვენიერეს და მშობლიურობას. ამიტომ ასე გაზრდილი ადამიანი არ არის ქართველი, უფრო სწორედ იგი ფალსიფიცირებული ქართველია. სახელი და გვარი — იარლიყი ადევს გარედან ქართველის, სინამდვილეში ქართველი არ არის. ვინ არის ეს ქართველი ასეთიო — ეს შეიძლება იმან თქვას, ვინც ქართველი არ არის და გენეტიკურად სძულს ყველაფერი ქართული, საქართველო. ამ დროს სახელი და გვარი ქართული აქვს, მაგრამ ქართველები გენეტიკურად სძულს.

**გენეტიკა ისეთი რამაა, რასაც ვერაფერს მოუხერხებ. თუ უცხო ჯიშის ხარ, შეიძლება არც იცოდე ისე გძულდეს ის, ვის რიგებშიც ჩაგწერეს თუ ჩაეწერე.**

სხვაგვარად ვერ ვხსნი იმ აგრესიას, მტრობას, უბედურებას, სიძულვილს, რაც ამ სრულიად არაპატივცემულმა ხელისუფლებამ საქართველოს მოსახლეობას დაატეხა თავს.

**— საუბრის დასაწყისში თქვენ საქართველოში უცხო ტომების შემოდინებაზე ისაუბრეთ. პრობლემა, ალბათ ისიცაა, რომ შემოდის ყველა ქართველის გარდა. ქართველი უცხო ქვეყნიდან სამშობლოში ვეღარ ბრუნდება. რას ნიშნავს ეს?**

— დიახ, ესაა სწორედ ჩვენი უბედურება, რომ ხელისუფლების უნიათობის გამო უცხო ქვეყანაში გადახვეწილი ქართველი სამშობლოში არ კი არა, ვერ ბრუნდება. ყველა, უცხო ტომის მოქალაქეს შეუძლია ჩვენს ქვეყანაში შემოსვლა, მიწის ყიდვა, აქ დარჩენა და დამკვიდრება, ქართველს კი — არა. წასული ქართველის უკან დაბრუნება, სინამდვილეში არავის აინტერესებს.

არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი მნიშვნელოვანი დეტალი — ვინც ქართული უნივერსიტეტის სათავეებთან იდგნენ, მათ უმრავლესობას განათლება რუსულ ენაზე ჰქონდათ მიღებული, მაგრამ შესანიშნავად იცოდნენ, რომ ეს ქართულ სახელმწიფოს შენებისთვის საკმარისი არ იყო. ახლანდელი ხელისუფლების პათოსი ასეთია — უმეტესობამ უცხო ქვეყნებში ინგლისურ ენაზე დაამთავრეს უნივერსიტეტები და თვლიან, რომ ამიტომ ინგლისად უნდა გადააკეთონ სამშობლო. ასე, რომ ჩვენი წინაპრებიც აშენებდნენ რუსულენოვან უნივერსიტეტებს, მაგრამ ეს ხომ არ იქნებოდა საქართველოსთვის გაწეული სამსახური? მათ უბრალოდ განათლება მიიღეს რუსულად და მეტი არაფერი. თუ გინდა ქვეყანა ააშენო, ეს შენს ენაზე უნდა გააკეთო.

ახალგაზრდობის პერიოდში მახსოვს როგორი ქართული ითვლებოდა ქალაქელობის დასტურად. ქართველი, თბილისელი კაცი ქართულად სომხურ კილოზე საუბრობდა. ქართველმა იმდენად დაკარგა ქართული ცნობიერება, მის თანაქალაქელ სომეხს მიბაძა. იმის ნაცვლად, რომ სომეხი გაქართველებულიყო, ქართველი გასომხდა. სამწუხაროდ, ჩვენ მენტალურად გასომხებული დედაქალაქი გვაქვს. ეს პოლიტიკა რაზეც მოგახსენეთ სომხური და არა ქართული პოლიტიკაა. ეს არ არის ქართული სახელმწიფოს პოლიტიკა. ეს არის შემოგდებული, შემოპარებული პოლიტიკა, რომელმაც იქამდე მიგვიყვანა, რასაც აფხაზეთში ძმათამკვლელი ომი ჰქვია. ვინ იბრძოდა იქ ქართველების წინააღმდეგ ყველაზე დაუნდობლად? — სომეხი.

ირაკლი აბაშიძე

## xma katamonTan

o, enav Cemo,
dedao enav,
Sen Cveno niWo,
srbolav da frenav,
Sen, Cveni sunTqvis dido alamo,
Sen, WirTa CvenTa tkbilo malamo,
Sen, kiro CvenTa qvaTa da kirTa,
Sen erTi SemrCi samaris pirTan.

naTesavs aTass
megobars aTass,
mrudsa da marTals,
mterTa da ZmaTa
davSordi,
morCa,
yvela moTavda,
mSvidoba vuTxar yvela mokvdavTa.

mxolod Sen ukvdavs,
mxolod Sen marads,
Sen _ erTs,
Sen ver gTmob
samaris karad.

Tu ram mze mwamda,
Tu ram mze mwvavda,
utkbiles dReTa
utkbiles wamTa,
utkbesi Sen xar, enav dedao,
Sen, mware lxino,
tkbilo sevdao,
Sen, yovelis mTqmelo,
yovelis ar mTqmelo,
Sen, gmirTa gmiro,
brZeno qarTvelo,
warsulis Zeglo, win gamxedavo.
qvesknelSi mZromo,
caSi mWvretelo,
xan _ funjo Cemo, xan _ saWreTelo.

Sen, akvnis himno,
cremlo samaris.
iberis enav,
enav Tamaris.
Sen, niWo Cemo,
srbolav da frenav,
dedao enav, dedao enav!

daeces, iqneb simagre yvela,
moisras, iqneb, yvela yma velad,
daedos mtveri yvela did xsovnas,
daakvdes azri napovnis povnas.
yovel nergs, iqneb, daatydes mexi,
yovel Zegls, iqneb, daedgas fexi,
mxolod Sen uWknobs,
Sen xatad qceuls,
ra dro, ra dascems
Sens ukvdav sxeuls?

o, enav Cemo,
dedao enav,
Sen, Cemo niWo,
srbolav da frenav,
Sen, Cveni sunTqvis dido alamo,
Sen, WirTa CvenTa tkbilo malamo,
Sen, kiro CvenTa qvaTa da kirTa,
Sen erTs,
Sen ver gTmob
samaris pirTan.

14 gv.

13 gv.

ილიამ კი თქვა –ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო. მაგრამ რაგვჭირს, საერთოდ უთავოდ დავრჩით?! ანდა რატომ გვაქვს მიდრეკილება იქითკენ, რომ თავი კი გვინდა მხრებზე გვედგას, მაგრამ ამავდროულად გვინდა, რომ თავი სხვამ დაგვადგას? — ან რუსმა, ან სომეხმა, ან მაკკეინმა, ან ობამამ. აი, ხომ დაგვადგეს თავი და ვინც ეს გააკეთა, სწორედ მან დაკარგა ის 20 პროცენტი. სინამდვილეში ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტი კი არა — 40 პროცენტია დაკარგული. არ აქვს მნიშვნელობა შემოდის თუ არა ტერიტორია შენს ადმინისტრაციულ საზღვრებში, როცა იგი, ენობრივად დაკარგულია, მისი შენარჩუნების პერსპექტივა ნულის ტოლია. ღმერთმა ნუ ქნას და რაიმე უბედურება რომ მოხდეს, ყველა თავის წილ წასაღებს წაიღებს. მარტო რუსი კი არა, გარშემო მყოფი მეზობლებიც თავიანთ წილებს წაიღებენ. ამ დროს კი იმაზე ვფიქრობთ, როგორ ავამეტყველოთ ჩვენი ბავშვები ინგლისურ ენაზე. ინგლისურიც უნდა იცოდეს ბავშვმა, რუსულიც, მაგრამ, პირველ რიგში, იგი ქართველად უნდა გაზარდო, თუ გინდა, რომ ქართული სახელმწიფო შეინარჩუნო. უამრავი სომეხი მეგობარი მყავს და მათი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. აქ საუბარია ჩვენს უთავბოლობაზე, იმაზე რომ საქართველოში მცხოვრები არაქართველები ვაიძულეთ გაუცხოებულიყო, არავის არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ მათ თავის სამშობლოში ეგრძნოთ თავი. საქართველოში დღეს ორი სეპარატისტული რეჟიმი კი არ არის, არამედ იმდენი სეპარატისტული რეჟიმია აქ, რამდენი რელიგიაცაა დაბუდრებული. ბაპტისტები, იელოველები — მათ უკვე თავიანთი კულტურული ავტონომია აქვთ. ჩვენ სად ვართ? ესენი ხომ მაინც ჩვენი სისხლი და ხორცია, გუშინ წავიდნენ ჩვენგან იმიტომ, რომ ვერ და არ ვუპატრონეთ. ასევე, ვერ ვუპატრონეთ საქართველოს საყრდენს — აფხაზეთის ქართველობას. ახლა იძახიან საქართველო უაფხაზეთოდ ვერ შედგებაო. კი, მაგრამ თავიანთი პოლიტიკით? თავად არ შეუწყვეს მის მოკვეთას ხელი? ასე, რომ, ვფიქრობ ასეთ სიტუაციაში გამოსავალი საერთოდ არ არის, გარდა ერთისა — თუ ჩვენ მართლა ერი გვქვია, უნდა ვთქვათ, რომ ერი ვართ და რასაც გვიკეთებენ ამის ბოლომდე განხორციელების, ამის სისრულეში მოყვანის უფლებას არ მივცემთ. თუ ერი ვართ ამოვიღოთ ხმა, თუ არა და ჩავქინდროთ თავები და გვირტყან პანღური. თუ თავგანწირვისთვის, თავდადებისთვის მზად არ ხარ და იოლად გინდა ფონს გასვლა, სწორედ მაშინ დაგაჯდებიან თავზე და დაგვაჯდნენ კიდეც. სამწუხაროდ, მიგვიხვდნენ ჩვენს ხასიათს, რომ არ ვართ სამშობლოსთვის თავის გამწირავნი.

# `ero, guli wagsvlia da gagwyromia suli wminda, gonebaze rom moxvide asi aliyuri ginda!~

**— ხელისუფლება ყოველთვის იშველიებს არგუმენტს, რომ ინგლისური ენის ცოდნა ჩვენს მოქალაქეს ფართოდ გაუხსნის გზას ევროპისკენ? რისკენ სწრაფვაა ეს სინამდვილეში?**

— ინგლისური ენის სწავლება საქართველოს აღმშენებლობას ნამდვილად არ შეუწყობს ხელს, მაგრამ სამაგიეროდ ხელს უწყობს ერთ რამეს — ქართველების მასობრივად გადინებას საზღვარგარეთ, რათა იქ უფრო ადვილად მოეწყონ ღამის ჭურჭლის მზიდავებად, მრეცხავებად და ა.შ. აი, ამას კი ნამდვილად შეუწყობს ხელს ინგლისურის ცოდნა იმიტომ, რომ როცა ორი ღერი ინგლისური იცი, უფრო თამამად მიდიხარ უცხო ქვეყანაში, მაგრამ ქართველს გააზრებული არ აქვს რისთვის მიდის იქ. იმის ნაცვლად, რომ ქართველ ადამიანს სტიმული მივცეთ სამშობლოში დარჩენის, საქართველოს პატრონობის, პირიქით, ქვეყნიდან წასვლისკენ ვუბიძგებთ. აქითკენაა ეს ყველაფერი მიმართული. ჩვენს მიწა-წყალზე ქართველების შევიწროება ხდება, ამ მიწა-წყლის ამთვისებელი უკვე გამოჩნდა.

**— მაინც რას ემსახურება ჩვენი ხელისუფლების ასეთი მონდომება ქართველის მენტალიტეტიდან ქართული ენის ამოძირკვა და ინგლისურის დამკვიდრება?**

— ჩვენი ხელისუფლების დიდმა ნაწილმა ქართულად წერა-კითხვა არ იცის. გამოიტანეთ მათი ნაწერები, ჩავუტაროთ გამოცდა ქართული წერის კარნახში, თუ ჩააბარებენ, კი ბატონო, იყვნენ ამ ქვეყნის ხელისუფლებაში, მაგრამ თუ ვერ ჩააბარებენ, თავი დაგვანებონ. დარწმუნებული ვარ 70 პროცენტი ვერ ჩააბარებს ამ გამოცდას, პარლამენტართა 80 პროცენტმა შეიძლება კარნახიც ვერ დაწეროს ნორმალურად და ესენი აგვიშენებენ ჩვენ ქართულ სახელმწიფოს? დააკვირდით, როგორ ქართულს ამკვიდრებს სატელევიზიო არხები — ფრანგულ, ინგლისურ მახვილს სვამენ ქართულ სიტყვებზე. წეღან მოგიყევით როგორ გაასომხა სომეხმა ქართველი შეუმჩნევლად. ახლა კი ქართველი ცდილობს გაფრანგდეს, გაინგლისელდეს. ისე ისაუბროს ქართულად, როგორც გერმანელი დაილაპარაკებს ჩვენს ენაზე. ანუ ეს არის ძალიან კარგად გააზრებული, კარგად მოფიქრებული, პუნქტობრივად ჩამოწერილი გეგმა, როგორ გაათახსირონ ქვეყანა. ენა ადამიანისთვის ყველაფერია — მენტალიტეტიც, ფსიქიკაც, კულტურაც, წარსულიც და როდესაც ენას ამოგაცლის ხელისუფლება, შენგან აღარაფერი რჩება.




**— და ბოლოს ბატონო ვახტანგ, თქვენი საუბრიდან აშკარად იკვეთება, რომ ილიას ცნობილი ტრიადიდან — ენა, მამული, სარწმუნოება, აღარაფერი დაგვრჩა.**

— არაფერი აღარ გვაქვს, ილიას ტრიადაზე უკვე დიდი ხანია უარი თქვა ქართულმა სახელმწიფომ, ეს მხოლოდ ლამაზ სიტყვებად დარჩა. ჩვენ დღეს, ფაქტობრივად აპოკალიფსურ სიტუაციაში ვართ.

დღევანდელი რეალობა შემდეგია — საქართველოში ყველაზე დაჩაგრული, შეურაცხყოფილი, დაუცველი და უფლებააყრილი სწორედ ქართველია. ასევე, როგორც იკვეთება, ჩვენს ტერიტორიაზე არსებულ ენათაგან ყველაზე ნაკლებად პოპულარული და საჭირო ქართული ენაა. ყოველივე ამის შემდეგ გასაკვირია, რატომ ჰქვია ჩვენს ქვეყანას საქართველო. არ სჯობს ამ ტერიტორიას „ოზურქიტიე" დავარქვათ?! კარგად დავუფიქრდეთ, რისთვის გვჭირდებოდა დამოუკიდებლობა, რატომ ვიბრძოდით თავისუფლების მოსაპოვებლად. 200 წლის მანძილზე ქართველი ერი თავისუფლებისკენ ისწრაფვოდა. საინტერესო არ არის, ბოლო-ბოლო რატომ მოვითხოვეთ დამოუკიდებლობა და რეფერენდუმით უარი ვთქვით საბჭოთა კავშირში ყოფნაზე, რა მიზანი გვამოძრავებდა? — ის, რომ უკეთესად გვეცხოვრა, უფრო მეტი მოსავალი — კარტოფილი, ყურძენი, ჰიბრიდული სიმინდი მოგვეყვანა, ამისთვის ვიკლავდით თავს დამოუკიდებლობის მიღებაზე? საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოს მოსახლეობა, ალბათ ყველაზე კარგად ცხოვრობდა იმიტომ, რომ არსებობდა უზარმაზარი ბაზარი, სადაც ყველაზე უხარისხო საქონელიც კი, რასაც ვაწარმოებდით, უპრობლემოდ იყიდებოდა. ქართველი კაცის ნიჭიერებას, გონს უზარმაზარი გასავალი ჰქონდა საბჭოთა იმპერიის ტერიტორიაზე. ამ ყველაფერზე უარი ვთქვით და განვაცხადეთ — დამოუკიდებლობა გვინდაო. დღეს იცით რა გამოდის? — თურმე იმისთვის გვდომებია დამოუკიდებლობა, რათა არ გავრუსებულიყავით, მაგრამ სამაგიეროდ უნდა გავამერიკელებულიყავით, გავინგლისელებულიყავით. ვერავინ დამარწმუნებს, ვერ დამისახელებთ ერთ ლოგიკურ არგუმენტსაც კი, რომ გარუსებას გაამერიკელება, გაჩინელება და ა.შ. სჯობს. განა, ჩვენ ამისთვის ვიბრძოდით?! რა მნიშვნელობა აქვს მაშინ სად ვიქნებით თუ ჩვენს ეროვნულ თავისთავადობას, სახეს, ენას, რაც მთავარია ქართველობას დავკარგავთ? ამით იმის თქმა მინდა, რომ ყველაზე სანუკვარი ოცნება, რაც ქართველ კაცს ოდითგანვე გააჩნდა — თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ნამდვილად მოვიპოვეთ, მაგრამ მერე ვეღარ მივხვდით რისთვის უნდა გამოგვეყენებინა ეს დამოუკიდებლობა და როგორ უნდა გვეშენებინა ქართული სახელმწიფო. ამის გაკეთება ენის პრიორიტეტის წინ წამოწევის გარეშე, შეუძლებელია. ერის ფაქტორის უარყოფა, დამოუკიდებელი ქვეყნის აღმშენებლობას კი არა, პირიქით, მის ნგრევას გამოიწვევს, რაც უკვე ხდება ჩვენს სინამდვილეში. როგორც კი, საკუთარ ქართულ ენას ზურგი ვაქციეთ, მაშინვე სახელმწიფოს რღვევისკენ მიმართული პროცესები დაიწყო. ეს აბსოლუტურად თანაზომიერია. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, სახელმწიფო ენა სწორედ ის ხერხემალია, რის გარშემოც სახელმწიფოს სხეული — შენობა შენდება. სხვაგვარად მისი შენება შეუძლებელი, წარმოუდგენელია. როდესაც კულტურაზე, მწერლობაზე, მეცნიერებაზე, ადამიანზე ვსაუბრობთ, ეს ყველაფერი ენას ეყრდნობა. წარმოუდგენელია, ქართული კულტურა ენის გარეშე განვითარდეს. იმედი მაქვს, ამ თემაზე საუბარს „საერთო გაზეთის" მომდევნო ნომრებში გავაგრძელებთ, რაშიც კომპეტენტური და თავისი ქვეყნის გულშემატკივარი ადამიანები ჩაერთვებიან.

თამარ შველიძე

(თემის გაგრძელება იქნება)

## დღეს „ქართული ოცნების" დარგობრივი ჯგუფის პრეზენტაცია გაიმართება

დღეს საზოგადოებრივი მოძრაობის „ქართული ოცნების" დარგობრივი ჯგუფის — „სამართლის სისტემა, ადამიანის უფლებები და მართლმსაჯულება" პრეზენტაცია გაიმართება.

როგორც „მედიანიუსს" ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოში განუცხადეს, საზოგადოებრივ მოძრაობაში ჩამოყალიბდა დარგობრივი მიმართულება, რომელიც სამართლის სისტემას, ადამიანების უფლებებს და მართლმსაჯულებას გულისხმობს.

„ამ დარგობრივი ჯგუფის მიზანია შესაბამის სფეროებში შექმნილი ვითარების ანალიზი. ჯგუფს სამი ძირითადი მიმართულება აქვს. ესენია: სამართლის სისტემა, ადამიანის უფლებები და მართლმსაჯულება.

პრეზენტაციას აკადემიური წრის, ადვოკატთა გაერთიანების, უფლებადამცველთა კორპუსის ცნობილი წარმომადგენლები დაესწრებიან" — აცხადებენ პრესსამდივნოში და დასძენენ, რომ თემატურ ჯგუფებს უხელმძღვანელებენ ადვოკატი იოსებ ბარათაშვილი, მედია-სამართლის ექსპერტი ალექსანდრე ბარამიძე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები პაატა გაჩეჩილაძე, ნათია კუნწურაშვილი, იურისტი პაატა ცნობილაძე და უფლებადამცველი უჩა ნანუაშვილი.

„მედიანიუსი"

* * *

ხვალ, 21 დეკემბერს, 14 საათზე საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული ოცნების იურიდიული ჯგუფის წარმომადგენლები საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდებიან. საუბრის თემა ბოლო პერიოდში ბიძინა ივანიშვილის გარშემო განვითარებულ მოვლენები იქნება. მისამართი: თბილისი მერიოტი, მირიან მეფის დარბაზი.

ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# zemoqmedebis erT-erTi elementi

**თბილისი კვლავ ცდილობს, 2008 წლის მოვლენებზე პასუხისმგებლობა მოსკოვს სასამართლოს მეშვეობით დააკისროს.**

**ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო საქართველოს სარჩელი მოსკოვის წინააღმდეგ. ანალოგიური სარჩელი, რომელსაც ჰააგის სასამართლო განიხილავდა, უარყოფილია. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ევროპული სასამართლოს ვერდიქტს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ევროკავშირის კომისიის დასკვნები, რომელთა მიხედვითაც კონფლიქტი სწორედ საქართველოს მიზეზით დაიწყო.**




წარდგენილი სარჩელით, საქართველო ითხოვს, რუსეთი 2008 წლის ომში და შემდგომ – „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის პერიოდში" ევროპული კონვენციების რამდენიმე მუხლის დარღვევაში დაადანაშაულოს.

საქართველო წარადგენს როგორც მტკიცებულებებს, აგრეთვე მოწმეთააჩვენებებსაც, – აცხადებენ ქართული მხარის ოფიციალური წარმომადგენლები. ჯერჯერობით უცნობია, როდის დაიწყება ეს პროცესი, რომელშიც რუსეთიც, როგორც მხარე, მონაწილეობას მიიღებს.

ევროპულ სასამართლოში საქართველოს საჩივრის განხილვა სექტემბერში დაიწყო; საქართველომ სასამართლოს ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოში, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დასრულების დღეს მიმართა. შემდგომ, სამჯერ შეავსო საჩივარი: 2009 წლის თებერვალში, შარშან მარტში და წლეულს ივნისში. სარჩელით, თბილისი მოსკოვს ბრალად დებს „რუსეთის არმიის მიერ საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სამოქალაქო საზოგადოების სიცოცხლისა და ქონების ხელყოფას".

დოკუმენტის თანახმად, რუსეთმა დაარღვია რამდენიმე მუხლი სიცოცხლის უფლების შესახებ, წამებისა და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის შესახებ. საქართველოს მტკიცებით, რუსეთმა დაარღვია აგრეთვე: თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის, კერძო და ოჯახური ცხოვრების, სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების, საკუთრებისა და გადაადგილების უფლებები.

სხვათა შორის, სტრასბურგის სასამართლოს 2008 წლის კონფლიქტთან დაკავშირებით,სამხრეთ ოსეთის 3300-მა მცხოვრებმა მიმართა. სარჩელების ნახევარზე მეტი აღიარებულია როგორც ლეგიტიმურობის უფლების მქონე და ევროსასამართლო მათ განხილვასაც აპირებს.

თბილისში სექტემბერშივე აცხადებდნენ, რომ სასამართლოს უკვე წარუდგინეს იმის მტკიცებულებები, როგორ ირღვეოდა „სისტემატურად და ფართო მასშტაბით" უშუალოდ რუსეთის სამხედროების ან მათი მხარდაჭერით წაქეზებული მარიონეტული სამხედრო ფორმირებების მიერ ადამიანის უფლებები იმ ტერიტორიაზე, რომელსაც რუსეთის ფედერაცია აკონტროლებს.

იმ პერიოდში, რუსეთმა ამ ბრალდებებს „უსაფუძვლო და დაუდასტურებელი შესაძლო მტკიცებულებები" უწოდა. „რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალები თავს არავის დასხმია. ისინი სამხრეთ ოსეთის სამოქალაქო მოსახლეობას საქართველოს აგრესიისგან იცავდნენ. ამჯერად, საქმის განხილვისას მხარეები კვლავ წარადგენენ თავიანთ არგუმენტებს.

საქართველო გაეროს საერთაშორისო (ჰააგის) სასამართლოშიც ცდილობდა რუსეთის დადანაშაულებას: 1993 წლიდან მოყოლებული (1993 წლის სექტემბერში დამთავრდა ქართულ-აფხაზური, ხოლო უფრო ადრე, 1992 წელს – ქართულ-ოსური პირველი კონფლიქტი) – მოსკოვი „იარაღის მომარაგებით, დაქირავებული მებრძოლებითა და რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო თავდასხმით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ ძალებს ქართველების ეთნიკურ წმენდაში უწყობდა ხელს".

ჰააგის სასამართლომ ეს სარჩელი არ მიიღო. მან საქართველოს შესთავაზა, თავისი პრეტენზიები უშუალოდ რუსეთთან განეხილა და თუ ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდებოდა, სარჩელი ხელახლა შეეტანა.

მიხეილ სააკაშვილის მთავრობისთვის მსგავს სასამართლოებს, უწინარესად, პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. საქართველო ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მომხდარი მოვლენების საკუთარი ვერსიის ლობირებას ეწევა. და არცთუ უშედეგოდ – ტერმინი „ოკუპაცია" უკვე გაჩნდა ევროპარლამენტისა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების განცხადებებში.

თბილისს იმასაც ჰპირდებიან, რომ სასამართლოებში გამარჯვება მას საშუალებას მისცემს, მოსკოვისგან „რუსული აგრესიის" დროს დაზარალებულთათვის კომპენსაცია მიიღოს. წინასწარ არ ამბობენ, თბილისს კომპენსაციის რა მოცულობა დააკმაყოფილებდა.

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა დარწმუნებულია, რომ ევროსასამართლოს ვერდიქტი იქნება დაახლოებით 50X50-ზე. ევროკავშირის 2009 წლის კომისიამ კონფლიქტზე პასუხისმგებლობა დააკისრა როგორც საქართველოს, ასევე რუსეთს – რუსეთი საბაბს ეძებდა საქართველოზე თავდასასხმელად, საქართველომ კი, სამხრეთ ოსეთის დაბომბვით, ასეთი საბაბი მისცა. ასეთია საერთაშორისო ექსპერტთა შეფასებები და ამიტომაც სასამართლო გადაწყვეტილებას ამ კომისიის დასკვნების საფუძველზე მიიღებს.

ქართველ პოლიტოლოგთა ერთ ნაწილს კი მიაჩნია, რომ 2008 წლის კონფლიქტის ისტორიული შედეგები სჯობს „მრგვალ მაგიდასთან" – დიალოგის სახით განიხილებოდეს და არა სასამართლო დარბაზებში. მთავარია არა სასამართლოს გადაწყვეტილება, არამედ ქართველებისა და აფხაზების, ქართველებისა და ოსების დაახლოება. სასამართლო არ არის დიალოგის საუკეთესო ფორმა. თანაც, საერთაშორისო სასამართლოს განაჩენს ყოველთვის როდი ასრულებენ.

მოსკოვში ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, ევროსასამარლოს ეს პროცესი რუსეთზე ზემოქმედებისთვის გამოიყენონ. რუსეთის პოლიტმიმომხილველთა აზრით, შემთხვევითი არ არის, რომ სარჩელი სწორედ ახლა – რუსეთის წინასაარჩევნო ორი კამპანიის შუალედში მიიღეს. სასამართლოს გადაწყვეტილება იქნება ერთ-ერთი ელემენტი, რომლითაც რუსეთის ხელისუფლებაზე ზემოქმედებას შეეცდებიან.

**vz.ru**

---

# saqarTvelo ukve wavida, magram bolomde ver miaRwia

**საბჭოთა კავშირის დაშლა საქართველოს სამოქალაქო ომად, ტერიტორიების დაკარგვად და ეკონომიკის რღვევად დაუჯდა, თუმცა ნანატრი დამოუკიდებლობა მაინც მოიპოვა.**

საქართველომ დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ოფიციალურად დაშლამდე გამოაცხადა და 1991 წლის მაისში ზვიად გამსახურდია სუვერენული რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს. მალევე გაირკვა, რომ ყოფილ საბჭოთა დისიდენტსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ მთავარ წამბიძგებელზე ფსონის დადება წამგებიანი აღმოჩნდა: ქვეყანა მყისიერად გადაიქცა სრულ çàõî ëó-ñòüå სრულიადოფიციალურად გამოცხადებული ლოზუნგით: „საქართველო ქართველებისთვის!".

დამოუკიდებელი რესპუბლიკიდან „ტვინებისა და ხელების" მასობრივი გადინება დაიწყო, თანაც არა მარტო „სატიტულო ერიდან". ხალხი ძირითადად გაეშურა რუსეთისკენ, რომლისგანაც არცთუ დიდი ხნის წინ გამოქცევას ლამობდა: საბჭოთა კავშირი ხომ არა ყოფილ „თავისუფალ" რესპუბლიკებთან, არამედ ყოვლისმომცველი მოსკოვის დიქტატთან ასოცირდებოდა.

ზვიად გამსახურდიას მოსვლასთან ერთად სამოქალაქო ომი გაჩაღდა, რომლის შედეგები ტრაგიკული იყო თვითონ პრეზიდენტისთვის: ჯერ ჩამოაგდეს, შემდეგ კი ან მოკლეს ან თავი მოიკლა. საქართველოს გამოეყო ორი რეგიონი – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. მოგვიანებით, ლამის აჭარაც „გაფრინდა" – საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჯერ მეორე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, შემდეგ კი აჭარის ავტონომიის მეთაური ასლან აბაშიძე ჩამოაგდო. 2008 წლის ომის შედეგად კი საქართველოს ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი რესპუბლიკა გაჩნდა.

ქართული დამოუკიდებლობის პირველი ცამეტი წელი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ეკონომიკური ურთიერთობების რღვევით, მწვავე ენერგეტიკული კრიზისით, წლის განმავლობაში ბიუჯეტის სამჯერ სეკვესტრით და ხაზინის ქურდობით გამოირჩეოდა. იმატა დანაშაულმა, ყოველდღიურად ადამიანების მოტაცებამ; სამაგიეროდ, „დემოკრატია" ულევი იყო: გაზეთებში თავისუფლად იწერებოდა ყველაფერი, რაზეც და ვისზეც მოინდომებდნენ. ტელევიზიითაც მრავალსერიან სიუჟეტებს გადასცემდნენ ხელისუფლების ნაკლოვან მხარეებზე, მაგრამ ეს ამბები მაყურებლამდე ვერ აღწევდა შუქის არარსებობის გამო. მოსახლეობა თვეობით ვერ იღებდა ხელფასს, პენსიას, დახმარებას...

ახლა ბევრი ფიქრობს, რომ შევარდნაძე დემოკრატი იყო, თუმცა „შეცდომებიც მოსდიოდა", ხოლო მისი საგარეო პოლიტიკა რუსეთისა და დასავლეთის დაბალანსებას ცდილობდა. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომლის საქართველოში მეორედ მოვლინება რუსეთმა უზრუნველყო, თანდათანობით აღარც მოსკოვისთვის იყო მისაღები და აღარც ვაშინგტონისთვის: ორი ბატონის სამსახურმა იგი ჩიხში მოაქცია.



„ვარდების რევოლუციამ" საქართველოს პოსტსაბჭოურ მესამე ეპოქას დაუდო სათავე. მას ისტორიკოსები ოცდაათი წლის შემდეგ თუ შეაფასებენ პირუთვნელად, თუმცა დღევანდელი ხელისუფლების კრიტიკოსთა მტკიცებით, კორუფცია აღარ არსებობს საშუალო და დაბალ დონეზე, ხოლო ეგრეთ წოდებული „ელიტური" კორუფცია ყვავის. მიუხედავად ამისა, არავის მოუვა აზრად, პოლიციელს, პროკურორს ან მოსამართლეს ქრთამი შეაძლიოს, ფულით რაიმე ცნობა იყიდოს, მოეწყოს უმაღლეს სასწავლებელში...

ხელისუფლებას უყვარს ტრაბახი, რომ საქართველოში ბიზნესის დაწყება ძალზედ იოლია, რადგან აღარ არსებობს საქმის ბიუროკრატიულად გაჭიანურება და რომ იგი ლიბერალურ რეფორმებს ატარებს. სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო კვლევების ქართული ფონდის ექსპერტი ლადო პაპავა მიიჩნევს, რომ ქვეყანაში „ხშირად ირღვევა ადამიანის უფლება კერძო საკუთრების შესახებ. „ჩვენი ეკონომიკა არც ლიბერალურია და არც ბოლშევიკური – ეს არის ნეოლიბერალიზმისა და ნეობოლშევიზმის ნაზავი", – განაცხადა მან ვაშინგტონში, კარნეგის ცენტრში გამართულ კონფერენციაზე „სამხრეთ კავკასია – დამოუკიდებლობის 20 წელი".

ექსპერტი დარწმუნებულია, რომ „საქართველოში ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირის დაშლის გამო კი არა, ჩვენივე შეცდომების გამო გაჩნდა". მისივე აზრით, საქართველომ თავისი ეკონომიკური მდგომარეობა უნდა შეადაროს არა საბჭოთა კავშირის პერიოდისას, არამედ აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებისას, რომლებიც ევროკავშირის შემადგენლობაში არიან. თანაც, აუცილებელია გავარკვიოთ, „რატომ ჩამოვრჩებით მათ და რატომ ვერ მოაქვს ჩვენს რეფორმებს წარმატება".

რომელს წარმატებაზეა ლაპარაკი, როცა ქვეყანაში მწვავეა შემდეგი პრობლემები: უმუშევრობა, სოციალური უზრუნველყოფა, ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობა. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია სოფლის მეურნეობა, სოფელი გაღატაკებულია და საბჭოთააპერიოდის სოფელთან შედარებისას ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი კონტრასტია.

ისტორიის ამ ეტაპზე, ქართული სახელმწიფოებრიობის (ისევე როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნების) ცხოველმყოფელობასა და სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებს ქვეყნის პირველი პირი. ანუ საქართველოში ჯერ ვერ ჩამოყალიბდა სახელმწიფოებრივი და კონსტიტუციური ისეთი ურყევი სისტემა, რომელიც სტაბილურად უზრუნველყოფდა მის განვითარებას, მიუხედავად იმისა, ვინ არის სახელმწიფოს მეთაური. ეს საქართველოს უმთავრესი პრობლემაა.

**rosbalt.ru**

**ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა ᲒᲣᲚᲑᲐᲐᲗ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.**

# mediagaerTianeba reJimis winaaRmdeg

„პრეზიდენტო სააკაშვილო, ნუ მოკლავთ პრესას!" – ორშაბათს გამოსული ბეჭდური პრესის თითქმის ყველა საშუალებას ასეთი სიტყვები ჰქონდა წამძღვარებული. მოგვიანებით კი „თბილისი მერიოტში" მედიაგაერთიანებაც დაფუძნდა, რომელიც ხელისუფლებისგან წამოსული მედიააგრესიის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

მედიაგაერთიანება პროფკავშირების მსგავსი არ იქნება, არამედ მასში ნდობით აღსავსე ჟურნალისტები და იურისტები გაერთიანდებიან, რომლებსაც მედიამფლობელები ხელფასსაც გადაუხდიან იმ აქტიურობისთვის, რაც მედიასაშუალებაზე კონკრეტული ზეწოლის დროს მედიის დაცვისას გახდება საჭირო. ამასთან, მედიაგაერთიანების წარმომადგენლები შეიმუშავებენ სქემას, რომლის მიხედვითაც, გაავრცელებენ განცხადებებს, გაგზავნიან საპროტესტო წერილებს და აქციების ორგანიზებასაც მოახდენენ. მედიაგაერთიანება დახმარების მიზნით ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მიმართავს და მათთან ერთად შეიმუშავებს მედიაგაერთიანების წესდებას.

მართალია, ახლადდაფუძნებულ მედიაგაერთიანებაში ყოფნის სურვილი ნაციონალური მედიასაშუალებების წარმომადგენლებს არ გამოუთქვამთ, მაგრამ ახლადდაფუძნებული მედიაგაერთიანების წევრებისთვის ნებისმიერი მედიასაშუალება განურჩეველია და პრობლემების შემთხვევაში, ისინი დაიცავენ მათაც, ვინც მათ გვერდით დგომა არ ისურვა.





როგორც „მაესტროს" დამფუძნებელმა მამუკა ღლონტმა „საერთო გაზეთთან" საუბრისას აღნიშნა, მათი მიზანი უკანონობასთან ბრძოლაა, ამდენად, ისინი ნაციონალურ მედიასაშუალებებსაც დაეხმარებიან.

„სააკაშვილის ხელისუფლება იქნება თუ სხვისი, მნიშვნელობა არ აქვს. თუ უკანონობა ნაციონალური არხების წინააღმდეგაც იქნება მიმართული, ამასაც შევებრძოლებით. მნიშვნელობა არ აქვს, რომელ მედიასაშუალებას ემუქრება საფრთხე", – აღნიშნა მამუკა ღლონტმა და სხვა მედიასაშუალებებსაც შესთავაზა მათთან გაერთიანება.

მედიაგაერთიანების დაფუძნებაში მონაწილეობდნენ როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული მედიის წარმომადგენლები. მათ შორის, ტელეკომპანია „მაესტრო",„ალია", „ასავალ-დასავალი", „კვირის პალიტრა" „რეზონანსი", „პრესაგე.ტვ", მედიაკავშირი „ობიექტივი", რადიო „უცნობი" და სხვა. მედიაგაერთიანების ინიციატორებმა საორგანიზაციო კომისიის წევრებიც დაასახელეს: ჯაბა ხუბუა (ასავალ-დასავალი), როზი ჯღამაია (პრესაგე.ტვ.), ლაშა ტუღუში (რეზონანსი) ხატია ქვათაძე (რადიო „მაესტრო").

მედიაგაერთიანების დაფუძნება მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც ჟურნალისტები ხელისუფლებისგან კონკრეტულ პრობლემებს წააწყდნენ: ფოტორეპორტიორების დაკავებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ბოლო დროს მედიის მიმართ წნეხი სხვადასხვა ფორმით გამოვლინდა. კერძოდ, თბილისში არსებულ პრესაზე სპეციალიზებული 140-150 ჯიხურიდან დღეისთვის რამდენიმელა იქნება დარჩენილი და მათაც სავარაუდოდ წლის ბოლომდე აიღებენ. სხვათაშორის, პრესის ჯიხურების აღების „ნოვაცია" ქვეყნის სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც იგეგმება და ამ მხრივ თბილისი გამონაკლისი არ არის.

მამუკა ღლონტის თქმით, მედიაგაერთიანების მთავარი ამოცანა მედიასაშუალებების უკანონობისა და ხელისუფლების ზეწოლისგან დაცვა იქნება.

„ეს იდეა თითქმის რვა წელია, გამაჩნია. მედიასაშუალებებს ერთმანეთთან კომუნიკაციის პრობლემა აღარ ექნებათ და, როცა ერთ რომელიმე მათგანზე ზეწოლა განხორციელდება, აღნიშნული ორგანიზაციის საშუალებით საპროტესტო აქციებს ორგანიზებული ხასიათი მიეცემა. ამ გაერთიანების შექმნის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ბოლო დროს მედია მუდმივი თავდაცვის პირობებში იმყოფება," –აღნიშნა მამუკა ღლონტმა.

მისივე თქმით, ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა მხოლოდ ჯიხურების აღებით და „მაესტროზე" მიტანილი იერიშით არ ამოიწურება და ხელისუფლებას კიდევ არაერთი ვერაგული ჩანაფიქრი აქვს რეზერვში. ამის დასადასტურებლად მამუკა ღლონტმა ეროსი კიწმარიშვილის „მაესტროში" შეგზავნა დაასახელა.



„იმ ფორმით, რა ფორმითაც ის შემოძვრა ლობიდან, ამან მიმახვედრა, რომ ხელისუფლება უკვე ძალიან კონკრეტულ გეგმებს დებს", – გვითხრა მამუკა ღლონტმა.

„რეზონანსის" რედაქტორი ლაშა ტუღუში აცხადებს, რომ პრესის დაცვის ერთადერთი მექანიზმი მედიის გაერთიანება და სხვადასხვა ფორმით მათი აქტივობაა.

„პირველ რიგში, ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი უფლებები, უნდა დავიცვათ ჩვენი კოლეგების უფლებები. ჩვენ ვიცით, რომ ბევრად მეტია ისეთი მედიასაშუალება, რომელსაც სურვილი აქვს, ამ ტიპის გაერთიანებაში მიიღოს მონაწილეობა. ჩვენი ინტერესია, მაქსიმალურად გავაერთიანოთ ყველა ჯანსაღი პოზიცია და აზრი, ყველა ჟურნალისტი, რომელსაც მართლა აწუხებს საქართველოში სიტყვის თავისუფლების ბედი. ეს ძალიან პრინციპული საკითხია", – აცხადებს ლაშა ტუღუში.

ამასთან, ლაშა ტუღუში კანონით დაშვებული ყველა შესაძლო აქტივობების გამოყენებას გვპირდება, რომელიც შედეგის მომტანი იქნება.

„შედეგია ის, რომ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ სიტყვის თავისუფლებაზე, რდგან ამ მხრივ ძალიან სერიოზული პრობლემებია ჩვენს ქვეყანაში", – აღნიშნავს ლაშა ტუღუში.

„ასავალ-დასავალის" ჟურნალისტი ჯაბა ხუბუა მიიჩნევს, რომ მედიაგაერთიანების შექმნის საჭიროება თავისუფალი სიტყვის დევნამ მოიტანა.

„უკვე მიმდინარეობს გადამწყვეტი შეტევა თავისუფალი სიტყვის წინააღმდეგ. თბილისში პრესის გავრცელების ყველა ჯიხური აღებულია. ამიტომ ისღა დაგვრჩენია, ამ ყველაფრის წინააღმდეგ გავერთიანდეთ და სოლიდარობა გამოვუცხადოთ ერთმანეთს".

**მარიამ მაჭავარიანი**

# azerbaijaneli musulmanebi siaxleSi `somxur proeqts~ xedaven

***ამ მექანიკურმა ქმედებამ დიდი დაპირისპირება გამოიწვია. მაგალითად აჭარულ მუსულმანურ თემში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ყოფილი და ახლანდელი მუფტები", – აცხადებს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე.***

## გაუზრებელი სვლა დაპირისპირების მიზეზი

საქართველოს ხელისუფლებამ მორიგი დაუფიქრებელი ნაბიჯი გადადგა და მაისში მწვანე შუქი აუნთო საქართველოს მუსულმანთა სულიერი სამმართველოს შექმნას. ეს ხდება მაშინ, როდესაც ბაქოში არსებობს და სულ უფრო ძლიერდება კავკასიელ მუსულმანთა საბჭო, აღნიშნული კავშირი ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, ავბედით 37 წელს შეიქმნა. მას თავის დროზე სულ სხვა მისია ეკისრებოდა. დღევანდელი მდგომარეობით, ეს ორგანო, რაღაც ვარიანტში აერთიანებს კიდეც კავკასიელ მუსულმანებს, მისი ლიდერი შუქურ ფაშა-ზადე დიდი გავლენით სარგებლობს ბაქოს პოლიტიკურ ელიტაში.

არეშიძის გადმოცემით, მუსულმანთა სამმართველოს შექმნა ჩვენს ხელისუფლებაში მყოფი არაპროფესიონალების დაგეგმილია. ამან შედეგად მოიტანა დაპირისპირებები მუსულმანურ თემებს შორის, რაც შესაძლებელია საზოგადოების დაპირისპირებაში გადაიზარდოს. ახლად შექმნილ მუსულმანთა სამმართველოში ბევრი საერო პირია, ეს შეიძლება საჭიროც იყოს, აცხადებს ექსპერტი კავკასიის საკითხებში, მაგრამ მორწმუნეთა სურვილი არ გაუთვალისწინებიათ, რადგანაც სამმართველოს შემადგენლობაში მრევლისათვის ბევრი უცნობი ან ნაკლები ავტორიტეტის მქონე პირია შეყვანილი.



არეშიძის ნათქვამით ირკვევა, რომ აზერბაიჯანულ თემში დიდი ნაწილი წინააღმდეგია ახალი სამმართველოსი. მორწმუნეებს ჯერაც ვერ გაურკვევიათ შიიტურია თუ სუნიტური ეს ორგანიზაცია. ამის მიზეზად ექსპერტს ნაკლები პროპაგანდული მუშაობა მიაჩნია. არეშიძის ინფორმაციით საქართველოს აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებში ადგილობრივი ჩინოვნიკები აიძულებენ მოსახლეობას დაექვემდებარონ ახლად შექმნილ სამმართველოს.

მომხდარით უკმაყოფილოა ბაქოც. კავკასიელ მუსულმანთა საბჭოში ამბობენ, რომ მათი ორგანიზაცია დიდი ხნის შექმნილია და სრულად მოიცავს კავკასიის მორწმუნე მუსულმანებს, საქათველოში შექმნილი მუსულმანთა სამმართველო მხოლოდ ადგილობრივ ისლამისტებს მოიცავს და ემუქრება ბაქოს, მათზე კონტროლის დაკარგვით. ამის გარდა მუსულმანთა საბჭოს მეჩეთებისა და ქონების დაკარგვითაცაა (შესაძლო) შეშფოთებული. იქ აცხადებენ, რომ საქართველოს მუსულმანთა სამმართველოს მმართველ რგოლში არც ერთი აზერბაიჯანელი არ არის. ვინც არიან მეორეხარისხოვან როლებს ასრულებენ და ამასთანავე არ წარმოადგენენ მორწმუნეთათვის ავტორიტეტებს.

ცნობისათვის: ჩვენს ქვეყანაში მართლმადიდებელი ქრისტიანების შემდეგ მუსულმანები მოდიან – მოსახლეობის 9,9 პროცენტი, (დაახლოებით 400 ათასამდე ადამიანი). მათი უმეტესობა აზერბაიჯანელია. არიან აჭარლები, თურქი-მესხებიც, კავკასიის მუსულმანთა საბჭოს ოფისი თბილისშიც აქვს. დედაქალაქში აქვს გახსნილი ცენტრალური შტაბ-ბინა საქართველოს მუსულმანთა სამმართველოსაც. ორივე რელიგიური ორგანიზაციის მიზანი იდენტურია – მუსულმანთა ინტერესების დაცვა. მხოლოდ საქართველოში მოღვაწე მუსულმანთა ორგანიზაციის სასულიერო ლიდერები არიან შიიტური ისლამის წარმომადგენელი შეიხი ვაგიფ აკაპილოვი, სუნიტური ისლამის ლიდერი მუფტი ჯემალ პაქსაძე და თბილისის მეჩეთის იმამი იასნ ალიევი.

## „სომხური პროექტი"

„სომხურ პროექტად" მოიხსენიებს სამმართველოს შექმნას კავკასიელ მუსულმანთა საბჭოს ხელმძღვანელი ალი შუქურ ფაშა-ზადე. იგი ამ ნაბიჯს პოლიტიკურად მიიჩნევს და თვლის, რომ სამმართველო საქართველოს ხელისუფლების ორგანოა. მისი შექმნის მიზანია აკონტროლოს საქართველოში მაცხოვრებელი მუსულმანები. რა საჭიროა ეს-კითხულობს პიროვნება, რომელსაც საქართველოში მაცხოვრებელ მორწმუნე აზერბაიჯანელთა უმრავლესობა თავის სულიერ ლიდერად თვლის, ფაშა-ზადე სამმართველოს საქართველოს ხელისუფლებისათვის შეთავაზებულ „სომხურ პროექტს" უწოდებს: იგი წინასწარმეტყველებს, რომ ქართული მხარის გადადგმული ნაბიჯი ცუდ შედეგებს მოიტანს. მუსულმანთა ლიდერი მოსალოდნელ შედეგებზე მთელ პასუხისმგებლობას საქართველოს ხელისუფლებას აკისრებს.

თბილისელი თეოლოგი, ეროვნებით აზერბაიჯანელი რამაზან ჯაფაროვი გვიხსნის, რომ არსებობს ულემების, ყურანის მცოდნე ადამიანების (სასულიერო პირები, მოლები) პრინციპი, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთელ მორწმუნე მუსულმანთა სამმართველო ხალხის მეშვეობით უნდა ჩამოყალიბებულიყო. და არა ის, რაც მივიღეთ, ძალდატანებით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც ქმნის დიდ ალბათობას მუსულმანურ თემებს შორის დაპირისპირებას: – გვეუბნება ჩვენი აზერბაიჯანელი რესპონდენტი.

ქართველი პოლიტოლოგები ითვალისწინებენ რა კავკასიელ მუსულმანთა დიდ გავლენას ალიევის კარზე, შიშს გამოთქვამენ იმის გამო, რომ მომხდარმა შეიძლება დაძაბოს საქართველო-აზერბაიჯანის ბოლო დროს ისედაც გართულებული ურთიერთობები.

**ზაზა ბილიხოძე**

# gixaroden, qarTul politikaSi neandertalelebi modian!..

არსაიდან აღმოცენებული ახალი სახეების ქართულ პოლიტიკაში შემოსვლა "ვარდების რევოლუციის" ტრადიცია და გამოცდილება. ასე დაიმკვიდრეს ადგილი ქართულ პოლიტიკაშიც და „პარვულად საქართველოს ისტორიაში" თბილისის ქუჩებში "კმარას" ჯგუფითა და ყვირილით "თავგამოჩენილმა" და რევოლუციური ტელევიზიებით გაცნობადებულმა სახეებმა. მუდმივი და ამარადიულიც ამქვეყნად უფლის გარდა არაფერია. „ნაციონალურმა იდეოლოგიამ", (მათ და სამწუხაროდ), რომელმაც საქართველოს განადგურების ავალება მეტ-ნაკლებად შეასრულა, სახელმწიფოს მართვის ბერკეტებს უნდა ჩამოსცილდეს. თუმცა, როგორც თავად გვიმეხიჯებენ – გასაკეთებელი, ანუ გასანადგურებელი საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი დარჩენილა. ამისთვის კი ახალი სახეების აღმოცენებაა საჭირო. სწორედ ამისთვის, როგორც თავის დროზე „კმარასა" და „თავისუფლების ინსტიტუტის სახეები" აღმოცენდნენ და ჩაინერგნენ ქართულ პოლიტიკაში, ასე სოკოებივით, ერთიმეორის მიყოლებით დაიწყეს აღმოცენება **"ევროპული კოალიციის"** ახალმა სახეებმაც. დასაბამი არარავისთვისა, რომ ეს კოლაცია შესაძლოა პოლიტიკურ სუბიექტად ჩამოყალიბდეს მომავალი არჩევნებისთვის, რომელსაც აწ. უკვე ოპოზიციაში გადაბარგებული ბოკერია-ბენდუქიძის ტანდემს ჩაუდგება სათავეში. მართალია, ბატონ "გასაკეთილშობილებლად" შიგადაშიგ გია ნოდიას მსგავს "მარილსაც" გაურევენ ხოლმე. ემანდმის "ლიბერალური ფასეულობები" არავის დააეწყდეს, რომლის დანერგვაც ნოდიამ, ლადარიამ, ჭიაბერაშვილმა, ლევან რამიშვილმა და გიგა ბოკერიამ და „ახალი ქართველის შექმნით" მრავალათასიანი გრანტებით დაფინანსებულმა სახეებმა ჯერ კიდევ "ვარდების რევოლუციამდე" წამოიწყეს და ჯერჯერობით არაფერი გამოუვიდათ. „ნაციონალურმა იდეოლოგიამაც", ლენინის მსგავსად, თავისი საქმის გამგრძელებელი უნდა დატოვოს, რომლებიც "თავისუფლების ინსტიტუტის" მსგავსად მომავალში სახელმწიფო, მართვის საქმეებში აქტიურად ჩაერევიან. სხვაგვარად, ქართველებს საქართველოში "მართლა თავისუფლად და დამოუკიდებლად" ცხოვრების უფლებას ვინ მოგვცემს?!

ამ "ენჯეოშნიკების" იდეოლოგიური მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ისინი ამაჟამინდელ საარჩევნო კანონზე მომუშავე კომისიაშიც არიან წარმოდგენილნი და თანაც ოპოზიციის სახით. ასეთია „ეკონომიკის ექსპერტად" ცნობილი, სწორედ არსაიდან აღმოცენებული მიხეილ თავხელიძე. მასაც, ისევე როგორც დღეს "პროფესორად ქცეულ" თეა თუთბერიძეს აპიარებდნენ ყველა ტელევიზიებით, ახალი ტექნოლოგიების შესაბამისად "გასაცნობადებლად", დღეს თავხელიძის კომპეტენტურ აზრებს გვასმენინებენ. ეს თავხელიძე კი, მეგობრებო, თავის თავს თურმე "ნეანდერტალელს" უწოდებს. იმ გაგებით, რომ ყველანაირი თავისუფლება, რაც პირველყოფილი ადამიანისთვის იყო მიღებული მისთვისაც მისაღები და ბუნებრივი ყოფილა. საზოგადოებისთვის ნეანდერტალელებზე 1856 წელს გერმანიის "ნეანდერტალის დაბლობში" აღმოჩენილი პირველყოფილი ადამიანის ნამარხებით არის ცნობილი და "ევოლუციის ჯაჭვში", პირველყოფილ ადამიანის შემდეგ პითეკანტროპსა და თანამედროვე ადამიანს შორის ადგილს იკავებს. შესაბამისად, ასეთი "ნეანდერტალელებისთვის" პირველყოფილი ადამიანის ჯოგურად ცხოვრების, ჯოგური სექსუალური ურთიერთობებისა და "ჯოგური ფასეულობების" პრინციპებიც მისაღები და მოსაწონია. თავხელიძის "თავგადაკლული ნეანდერტალელობაც" ამის დასტური უნდა იყოს.



"ნეანდერტალელების" წარმომადგენელებისთვის და „ბრძენი და გაწონასწორებული" თავხელიძისთვისაც ცნობილი უნდა იყოს ისიც, რომ თანამედროვე ევროპა, თავისი განვითარების დონითა და როგორც "ნეანდერტალელებს" უყვართ ევოლუციით, კარგა ხანია დაშორდა პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების წესს. თუ რასაკვირველია, 21-ე საუკუნეში დასავლეთიდან მძლავრად შემოჭრილ იმ „სექსუალური თავისუფლების ტალღას" არ მივიღებთ მხედველობაში. რომელიც, როგორც „ნეანდერტალელ თავხელიძეს" თუ დავიმოწმებთ, ყველაფრის თავისუფლებასთან ერთად, (მათ შორის ნარკოტიკების) ალბათ, სხეულის სიშიშვლის დემონსტრირებასაც უნდა გულისხმობდეს, რადგან მისი გაგებით, თავისუფლება ყველაფრის თავისუფლებას გულისხმობს. სწორედ ასე განმიმარტა ერთხელ "თავისუფლების მცნება" ლაშა ბუღაძემაც. მართალია, პირველყოფილი და "ნეანდერტალელი" ადამიანის ამ სიშიშვლეს მაშინ ტანსაცმლის არქონა განაპირობებდა და "ლიბერალი ნეანდერტალელებისგან" განსხვავებით და "დარვინის თეორიის საწინააღმდეგოდ", ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი თავს მაიმუნის შთამომავლებად არ მიიჩნევს, მაგრამ ასეთი "ნეანდერტალელების" გაპიარება დღეს მაინც დიდი მასშტაბებით ხორციელდება. "თავხელიძისთანა ნეანდერტალელებისთვის" ამას ე.წ. "ლიბერალური ღირებულებების" ტირაჟირებით, მომავალში "გეი და ლესბო აღლუმების" მხარდაჭერა და ამ მხარდაჭერის გამო დიდი გრანტების მიღება განსაზღვრავს. მოკლედ, პრინციპებიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ "ევროპული კოალიცია, თუ ნეანდერტალელთა საკრებულო", „თავისუფლების ინსტიტუტის" სახეცვლილ ტრანსფორმაციას უნდა წარმოადგენდეს. რამდენადაც „ჯოჯოხეთის მაშხალების" ამ ინსტიტუტმა მის დამფინანსებელ სოროსს ვერ გაუმართლა. ასეთი "ნეანდერტალელები" საარჩევნო კანონზე მომუშავე კომისიაში მაინც სხედან და "ქრისტიან-დემოკრატების", „ჩემთვითონ მიშას მაგირის", „ახლების", „ედეპის" ვითომ ოპოზიციასთან ერთად, ქართველი ხალხის არჩევნების ბედის განმსაზღვრავ საკითხებზე მუშაობენ. შესაბამისად როგორი იქნება ამ კომისიის მუშაობის შედეგები, რომლის შესახებაც „კუბლაშვილის კაბინეტს" მიღმა ჯერ ქრისტიან-დემოკრატები და შემდეგ მიშა და ვანო იბარებენ „ატჩოტებს" — გასაგები უნდა იყოს. ასეთ „ნეანდერტალელების აჯაფსანდალში", მომავალ არჩევნებშიც „გასაპატიოსნებლად" აუცილებლად შეურევენ ნასარიძეების, „მრჩეველ-კომპეტენტორების" და ნოდიების ნაირ "დამსახურებულ პადლიზებს". მით უფრო ახლა, როდესაც აშშ-ს კონგრესმა საქართველოსთან მჭიდრო სამხედრო ურთიერთობების დამყარების შესახებ დოკუმენტს უყარა კენჭი და რაც არსში **თბილისისთვის ამერიკული შეიარაღების მიყიდვას ითვალისწინებს**. ამ დოკუმენტსაც პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ უნდა მოაწეროს ხელი. 1244-ე მუხლში აღნიშნულია, რომ დოკუმენტზე ხელმოწერიდან არაუგვიანეს 90 დღისა, "პრეზიდენტმა უნდა შეიმუშაოს და კონგრესს წარუდგინოს **აშშ-სა და საქართველოს შორის სამხედრო თანამშრომლობის ნორმალიზაციის გეგმა თავდაცვითი შეიარაღების მიყიდვის ჩათვლით**". ამ პროექტის ინიციატორიც თურმე ფერადი რევოლუციების დაფინანსების ფონდის თავ-რე და ნაციონალების დიდი მეგობარი — მაკ კეინი გახლდათ. აშშ-ს გეგმაში ფიგურირებს **„საქართველოს მთავრობის დახმარება საკუთარი ხალხისა და სუვერენული ტერიტორიების დაცვის უზრუნველყოფაში საქართველოს** მთავრობის მიერ ძალის გამოუყენებლობის შესახებ აღებული ვალდებულებებისა და გაეროს წესდების 51-ე მუხლების გათვალისწინებით, აშშ-ს მიერ სამხედრო ტექნიკისა და ქონების გაყიდვა და სამხედრო მომსახურება თავდაცვითი უზრუნველყოფის მიმართულებით **საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევის მხარდასაჭერად**". **"სუვერენული ტერიტორიების დაცვის უზრუნველყოფაში"**, ალბათ, სავარაუდო საომარი მოქმედების შემთხვევაში, ალბათ ისევ რომელიმე რეჟიმის დამობისას, ისევ "რეზერვისტების" უპატრონოდ მიტოვება, სააკაშვილის მიწაზე ფორთხვა და ახალი რეჟიმის ჩაბარება უნდა ვიგულისხმოთ.

იმის გათვალისწინებით, რომ **"საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევას"** ქართველის ხალხისთვის სულის ამოხდა, დარბევა და ხელშეუხებელი მომიტინგეების ხოცვასთან ერთად, არჩევნების მუდმივი გაყალბება გულისხმობს, ამასთან ძალის გამოყენების ყოველი შემთხვევა ამერიკის ელჩების მიერ, ყოველთვის "დემოკრატიული რეფორმების" ჭრილში განიხილება და მეტიც, თავად ელჩები იძლევიან უიარაღო მომიტინგეების დარბევის "მესიჯებს", გასაგები უნდა იყოს, **ამერიკული შეიარაღების თბილისისთვის მიყიდვა რასაც უნდა გულისხმობდეს**. რამდენადაც სუვერენული ტერიტორიების დაბრუნებისა და თუნდაც რუსეთთან ომის შესაძლებლობა საქართველოს არც გააჩნია და ჩვენისთანა ქვეყანა ომს ვერც ერთ დიდ სახელმწიფოსთან ვერ აწარმოებს. ან მეორე, რამდენადაც აღნიშნული გეგმა **"საქართველოს თავდაცვითი მოთხოვნების შეფასებასა და ბოლო ორი წლის განმავლობაში სამხედრო ტექნიკისა და ქონების შეძენისა და სამხედრო მომსახურების შესახებ საქართველოს მთავრობის განცხადების ჩამონათვალს შეიცავს"**. გამორიცხული არაა, ირანზე ამერიკა-ისრაელის შესაძლო თავდასხმის შემთხვევაში, ხსენებული შეიარაღება **„ცოცხალ ბუფერად ქცეული საქართველოს** გასაძლიერებლად" იქნას გამოყენებული, რა დროსაც ირანთან მეზობლად მყოფი არმენიისთვის "დიდი არმენიის" აღდგენის მიზნით, ახლა ჯავახეთის მიწების გადაცემა იგულისხმებოდეს. მით უფრო მაშინ, როდესაც თბილისიდან პარლამენტის ქუთაისში გადატანით, ნაციონალების ვარაუდით, თბილისელებისგან უკვე გამოთავისუფლებული ექნებათ, მაგრამ სააკაშვილის სიტყვებით თუ ვიტყვით, "ნურას უკაცრავად და ვერ მოგართვით". თბილისში კიდევ ბევრი "არაპარლამენტარი თბილისელი" ვრჩებით იმისთვის, რომ ჩვენი ქალაქი არავის დავუთმოთ და ლელოს "ყობილისოს" ნაცვლად, "აზ სირუმ, ისრუმ" არ ვამღეროთ ვინმეს. ასეთი "ბრწყინვალე პერსპექტივის" პირობებში თუ შეიარაღების გადმოცემას საომარი მოქმედებების მიზნები გააჩნია, რადგან სხვა შემთხვევაში მიშა „პაგრიმუშკად" ხომ არ იხმარს ამერიკულ შეიარაღებას? ან ომი უნდა დავიწყოთ და ჩვენ შევაკვეთ, მიშა კი გაიქცეს, ან სავარაუდოდ, წაგებული არჩევნების პირობებში, აშშ ქართველების დასახოცად აძლევს "თავის შეუმდგარ პროექტს"- ნაციონალებს იარაღს. ალბათ მათი ვარაუდით, ხოცვა-ჟლეტას გადარჩენილ ქართველობას საომარი მოქმედებების დროს "ბუნკერებში" გადამალული "ნეანდერტალელი ეკონომისტები" და ლიბერალებიც უპრობლემოდ მოუვლენ ნებისმიერ არჩევნებსაც და "ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით" ჩატარებულ სექსუალური უმცირესობების აღლუმების გამართვასაც უპრობლემოდ მოახერხებენ. გოგორიშვილ-მაჭავარიანის მიერ შემუშავებული ახალი საარჩევნო კოდექსი და ქართული ოპოზიციური საზოგადოების სრული დუმილი, სხვაზე არაფერზე მიუთითებს. ვითომ ოპოზიციაც "ლიბერალური ღირებულებებისა" და დასავლეთის მხარდაჭერის მოპოვების გამო "ასეთ თავისუფლებას" და საარჩევნო კანონსაც აუცილებლად დაუჭერს მხარს.




ასე, რომ, ჩემო ძვირფასო ქართველებო, ლაზარეს ენისა და უფლის კვართის პატრონო ხალხნო, დიდი ცივილიზაციის, „შუშანიკის წამების", „ვეფხისტყაოსნის", ჩაკრულოსა და „შენ ხარ ვენახის" ერო! "მესროპ მაშტოცის მიერ შექმნილი სამი ქართული ანბანის" მქონე ქართველო ხალხო, ქართულ პოლიტიკაში „ნეანდერტალელები" გეგმავენ მოსვლას და „ვეფხის ტყავის" ნაცვლად მომრავლებული ტურების ტყავი ან „ლელოს ფოთლები" მაინც მოიმარაგეთ, რადგან იქ უცხოტომელებისთვის გამზადებული "ლაზიკიდან" დაძრულ ლიბერალებს და აქეთ თბილისში დარჩენილ ;ნეანდერტალელებს" ვერაფრის დიდებით აუხსნით, რომ სიშიშვლე სირცხვილია და ცივილიზებულთა სამყარომ, მათ შორის ევროპამაც თავის დროზე "ლელოს ფოთოლსა" და ტყაპუჭს ტანსაცმელი ამისთვის ამჯობინა.

**კესო მესხელი**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი




ირაკლი ალასანია:

კობა დავითაშვილის და ზვიად ძიძიგურის ივანიშვილის გუნდში პიროვნული მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება ერთობლივად იქნა მიღებული. რადგან ყოველთვის ვამბობდით, რომ ჩვენი კარი ღიაა და ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ სხვადასხვა ძალებთან, მათ შორის არის ზვიადი და კობა. სამი პოლიტიკური ძალა: რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები და ბიძინა ივანიშვილის პარტია, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია, შეთანხმებული ვართ პარტნიორობაზე და ვფიქრობთ, რომ წინასაარჩევნოდ (იმედი გვაქვს რომ მივალთ იქამდე), ჩამოვაყალიბებთ ბლოკს და კოალიციას. და რა თქმა უნდა, ჩვენ ურთიერთობა გვექნება სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებთან.

ექვსიანის ფორმატში ჩვენ ვთქვით, რომ დავიწყებთ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას და ერთობლივ ბრძოლას, მე დავიწყე ეს ბრძოლა; 6 თვის განმავლობაში მოვიარე 200-მდე სოფელი და კარგად ავუხსენი საზოგადოებას, თუ როგორი მობილიზებაა საჭირო შემდეგი საარჩევნო ციკლისთვის, შემდეგი საპარლამენტო არჩევნებისთვის. მე მგონი, დამეთანხმებით, რომ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ მართლაც ტექტონური ცვლილებები გამოიწვია ქართულ პოლიტიკაში. გარდა იმისა, რომ გამოიწვია სახელისუფლებო აგრესია და ექსტრემიზმი ხელისუფლების მხრიდან, მათ ჩათვალეს, რომ ეს დიდი საფრთხეა და ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც იკვეთება მათთვის მართლაც არის საპირწონე. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ შემდეგი საპარლამენტო არჩევნები იქნება კონკურენტული, რაც ძალიან ჯანსაღი იქნება ქართული დემოკრატიისთვის, მისი განმტკიცებისთვის. ჩვენ ვთავაზობთ საზოგადოებას, პირველ რიგში, იმას თუ როგორ მოვერევით უმუშევრობას და ამ მხრივ ჩემთვის ძალიან ღირებულია ბიძინა ივანიშვილის გამოცდილება, მას 100 000-მდე სამუშაო ადგილი აქვს თავის კარიერის განმავლობაში შექმნილი, პირადი შესაძლებლობიდან გამომდინარე მას დიდი ზრუნვა ჰქონდა ქართული ინტელექტის, ქართული კულტურის გადარჩენაზე, ასევე ძალიან დიდი წვლილი აქვს შეტანილი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, შინაგან საქმეთა ორგანოების გამყარებაში; აქედან გამომდინარე, ჩვენი პარტნიორი არის ასეთი ღირსებების მატარებელი, გარდა იმისა, რომ ის არის დასავლეთზე ორიენტირებული და ამას მინდა ხაზი გავუსვა და წერტილი დავუსვა იმ სიცრუის ნაკადს, რომელიც მოდის იმედიდან და რუსთავი2-დან, რომ თითქოს ჩვენ შევიცვალეთ ჩვენი საგარეო პოლიტიკური ხედვა; ბატონმა ბიძინამ ჩემთან შეხვედრისას თქვა, რომ სწორედ იმიტომ უნდა ჩემთან პარტნიორობა, რომ იზიარებს თავისუფალი დემოკრატების პოზიციას, საქართველო უნდა გახდეს ევროატლანტიკური სივრცის, ევროპული ოჯახის ნაწილი და ეს ჩვენი გადაწყვეტილება ურყევია. მე მინდა ეს კიდევ ერთხელ გავიმეორო, რადგან რუსთავი2 და იმედი, პრეზიდენტ სააკაშვილის დავალებით, ურცხვად ამბობს, რომ ვითომ ჩვენ ვუღალატეთ ევროატლანტიკურ მისწრაფებებს.

რაც შეეხება ფულის ჩადებას, მე არ გამიგია არცერთი ცენტი, რომელიც ასე გულუხვად და ყოველგვარი პოლიტიკური ამბიციების გარეშე გაეღოს თუნდაც ოლიგარქს, რომელიც დღეს საქართველოს ეკონომიკაში გადაწყვეტილებებს იღებს, ბატონ ბენდუქიძეს, ბატონ ნაყოფიას. ისინი ბიზნესით არიან დაკავებულები. ხოლო ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი ფული, დაახლოებით მილიარდ ნახევარი, სწორედ საქართველოს ინტერესებს მოახმარა. ბენდუქიძემ თუ ინსტიტუტი შექმნა, ეგეც ბიზნესია, ის სტუდენტებისგან ფულს იღებს. ასე რომ ბიძინა ივანიშვილის პატრიოტიზმში, მის სწორ ხედვებში ქვეყანასთან მიმართებაში მე ეჭვი არ მეპარება; რაც მთავარია, ჩვენ საერთო ვიპოვეთ სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხში. ყველა ვინც კი შემხვედრია იმ 200 სოფელში, სადაც ვიყავი ბოლო თვეების განმავლობაში, სამი საქართველოს მოქალაქედან ორი არის უმუშევარი. იმიტომ რომ სოფლის მეურნეობა სააკაშვილის ხელისუფლებამ მთლიანად დაივიწყა. ჩვენ გვაქვს სწორი ხედვა, როგორ დავაყენებთ ფეხზე საქართველოს სოფლის მეურნეობას, როგორ დავეხმარებით მცირე და საშუალო ბიზნესს და ლომის წილი სამუშაო ადგილების შექმნაში მოდის მცირე და საშუალო ბიზნესზე, რომელიც უნდა



განვითარდეს. რეალურად ჩვენთან მონოპოლიები მართავენ ბიზნესებს და ამიტომაც არ ვითარდება მცირე და საშუალო ბიზნესი.

რაც შეეხება ყოფილ ექვსიანს, ექვსიანი იყო ბუნებრივია ინერციით შქმნილი პოლიტიკური ერთობა, რვიანის მოღვაწეობის შემდეგ, როდესაც ჩვენ დაახლოებით 8 თვის განმავლობაში გვქონდა მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან და ხელისუფლებამ მიატოვა ეს მოლაპარაკებები. სამწუხაროდ, რვიანიდან ორმა პოლიტიკურმა ძალამ ყველაზე კრიტიკულ მომენტში, როდესაც რეალურად რამდენიმე კვირაში შესაძლებელი იყო დაეთმო ხელისუფლებას საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებული ფუნდამენტალური საკითხები, მათ სამწუხაროდ, მხარი დაუჭირეს შემოთავაზებას, რომელიც მოვიდა ნაციონალური მოძრაობიდან. რადგან მცირედი ჩემთვის დამაკმაყოფილებელი არ არის, იმიტომ რომ შესაძლებლობა და შანსი იყო, წამოგვეღო უფრო მეტი დათმობა, რაც რეალურად კონკურენტულს გახდიდა შემდეგ არჩევნებს, მაგრამ დაეთანხმნენ ნაციონალურ მოძრაობას. ესაა ჩემი გულისტკივილი იმის მიმართ რაც მოხდა რვიანთან დაკავშირებით. შემდეგ ექვსიანმა გადავწყვიტეთ, რომ ამითი არ უნდა გავჩერებულიყავით და მე ვთხოვე ჩემს პარტნიორებს, ერთად დაგვეწყო რეგიონებში სიარული. როდესაც დავიწყეთ რეგიონებში სიარული, სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ვერ ამყვა გარკვეული ჩვენი პოლიტიკური პარტნიორები იმ საქმიანობაში, რაც მე რეგიონებში მინდოდა გამეშალა; ამიტომ ვთქვით, რომ, როდესაც ჩამოყალიბდება დანარჩენი პოლიტიკური ძალები, მზადა ვართ გავაგრძელოთ ეს საქმიანობა ერთად, და ამ დროს გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი. და მიიღო გადაწყვეტილება, მე ვიტყოდი, გმირული გადაწყვეტილება, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ ბიზნესმენი ყოველთვის ცდილობს, ნორმალურ ურთიერთობაში იყოს ხელისუფლებასთან; მან ეს ნაბიჯი გადადგა, რადგან მართლაც სჯერა, რომ შემდეგი საპარლამენტო არჩევნები არის მართლაც გადამწყვეტი ჩვენი ქვეყნისთვის. რადგან ეს უნდა იყოს კონკურენტუნარიანი არჩევნები და რაც მთავარია, შემდეგი პარლამენტი აღარ უნდა იყოს ერთპარტიული პარლამენტი; შემდეგი პრეზიდენტი აღარ უნდა იღებდეს გადაწყეტილებას ერთპიროვნულად; ეს არის ძირითადი რაც მე დავინახე მასში, რა მოტივაციაცა აქვს, რომ რეალურად დადგეს პოლიტიკურ ძალებთან ერთად. და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილის მხარდაჭერას მივიღებთ და შემდეგი პარლამნენტი მართლაც მრავალპარტიული იქნება.

რაც შეეხება ზვიად ძიძიგურის ძველ განცხადებას, რომ მე დაშლის ნიჭი უფრო მაქვს, ვიდრე გაერთიანების. მას შეიძლება პიროვნულად ეგეთი განწყობა მაშინ ჰქონოდა, მაგრამ არ მეგულება საქართველოში არც ერთი პოლიტიკური ძალა, პოლიტიკური ლიდერი, რომ თავიდანვე ყველაფერზე შეთანხმებულიყვნენ და საერთო აზრი ჰქონდეთ პოლიტიკური ცხოვრების განვითარების დინამიკაზე; პოლიტიკა, ხშირად ვამბობ, ჯაზს ჰგავს, ეს არის მართლაც მუდმივი იმროვიზაცია. როდესაც ფუნდამენტალურ საკითხებზე გაქვთ საერთო ხედვა, ესეთი იმპროვიზაციები არავის არ უნდა გაუკვირდეს. გაიხსენეთ ნაციონალური მოძრაობა, რატომ დატოვა იგი თავდაცვის მინისტრმა, პარლამენტის თავმჯდომარემ, რატომ წვიდა 6 ელჩი, ეს ყველაფერი არის იმპროვიზაცია. ჩვენ გვაქვს საერთო - ჩვენი ქვეყანა, გვინდა რომ რეალურად დემოკრატიულ ქვეყნად ვიქცეთ, ეს არის შანსი, რომელიც ჩვენ ახლა მოგვეცა; ბევრად უფრო აამაღლა ეს შანსი ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ პოლიტიკაში და ამიტომ დაველოდოთ, როგორი კონკურენტიანი არჩევნები იქნება მომავალში. მას აქვს ძალიან დიდი გამოცდილება სამუშაო ადგილების შექმნის, რომლის მსგავსიც არც ერთ პოლიტიკურ ძალაში არ არსებობს. ეს არის ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან ღირებული დღეს; მან ზუსტად იცის, როგორ უნდა დავუდგეთ გევრდით მცირე და საშუალო ბიზნესს, როგორ უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები და განვავითაროთ სოფლის მეურნეობა. ეს ის საკითხებია, რომლიც დამერწმუნეთ ყველას, თითოეულ მოქალაქეს აწუხებს დღეს. და დამერწმუნეთ, არავის აწუხებს, რა თქვა გუშინწინ ზვიად ძიძიგურმა.

დრო გვიჩვენებდა გავერთიანდებოდით თუ არა ჩვენ რესპუბლიკელებთან, ძიძიგურთან და დავითაშვილთან, ვთქვათ, რომ არა ბიძინა ივანიშვილი. როდესაც მიდიხარ არჩევნებზე, ყოველთვის მიდრეკილი ხარ, რაც შეიძლება სოლიდურად გახვიდე.

რაც შეეხება კვარაცხელიას, ლორთქიფანიძის, თევზაძის გამოჩენას „ქართული ოცნების" პრეზენტაციაზე, პირველი რაც მინდა ვთქვა, რომ არავითარი თანამოაზრეებს მათში არ ვხედავთ, მაგრამ ჩვენ არ ვყოფთ საზოგადოებას ჩვენიანებად და სხვისიანებად. მათ გაუჩნდათ სურვილი და მოვიდნენ, რა დაგვესაჯა რატომ მოხვედითთქო?! რას ითხოვთ, რომ დევოლიზება დავიწყოთ მოქალაქეების?! ვიღაცამ გაუგზავნა მოსაწვევები და რა ვქნათ, გამგზავნი დავსაჯოთ?! და კიდევ, თქვენ იქ ვერ დაინახეთ სხვა ღირსეული მოქალაქეები, რომლებიც დღესაც აქტიურად არიან ჩართულნი პოლიტიკაში და საზოგადოებაში?! რატომ არ გაამახვილეთ ყურადღება მათზე, რატომ არ გაამახვილეთ ყურადღება, რა კარგი გამოსვლა ჰქონდა ვთქვათ, რატი ამაღლობელს, ან სხვა გამომსვლელებს?! ასე რომ ეს ყველაფერი არის ძალიან ჩასაფრებული პოზიციიდან დასმული კითხვები. თუმცა გპასუხობთ, ამ ადამიანებთან საერთო არა გვაქვს პოლიტიკურად, მათ ჰქონდათ მოსვლის სურვილი, ვიღაცამ დაპატიჟა და მოვიდნენ, პოლიტიკურად მათთან თანამშრომლობას ჩვენ არ ვაპირებთ და აქ დაისვას წერტილი.

იმის გამო რომ დავითაშვილი იყო ნოლაიდელთან, ამის გამო რა ვინმემ უნდა აუკრძალოს მას პოლიტიკაში ყოფნა?! ურთიერთობა გვქონდა ყველა პოლიტიკურ ძალასთან, ურთიერთობა მქონია ნაციონალურ მოძრაობასთან, რომლის დამარცხებასაც ვაპირებთ საპარლამანტო არჩევნებში. ეს არის ნორმალური, სამოქალაქო საზოგადოების შესაბამირი ურთიერთობა. ჩვენ რა ერთმანეთს ხელი არ უნდა ჩამოვართვათ და გამარჯობა არ ვუთხრათ?! აქ კოალიციაზე არ არის საუბარი, შევთანხმდით, რომ ისინი ინდივიდუალურად ითანამშრომლებენ. ბატონ ძიძიგურს აქვს ძალიან დიდი გამოცდილება, როგორც ეროვნულ მოძრაობაში, ასე შემდეგ პოლიტიკაში ყოფნით, მას აქვს სტრუქტურები, ადგილები კომისიებში, რაც ჩვენთვის ძალიან ღირებულია, ამიტომ ამ საკითხებზე გვაქვს დიალოგი და თანამშრომლობა. პოლიტიკაშიც არის პრაგმატიზმი, ბუნებრივია!



რაც შეეხება ჩემს ნათქვამს, რომ ნატოში გაწევრიანება არის განუხორციელებელი ამოცანა, აქ ამოგლეჯილია ერთი ფრაზა, მე დავაყოლე, სააკაშვილის მმართველობის პირობებში-თქო. ასე რომ ჩახედეთ ინტერვიუს; მე ძალიან კარგად მახსოვს, ზუსტად 2008 წელს საპრეზიდენტო არჩევნებზე, ბატონი სააკაშვილი როგორ დაპირდა დევნილებს, რომ შემდეგ ზამთარს ისინი გაატარებდნენ თბილ ადგილებში, საკუთარ სახლში. გიკითხავთ პრეზიდენტისთვის, რატომ არ განხორციელდა ეს?! მგონი დროა დაისვას ეს კითხვა, დიდი დრო გავიდა უკვე! სააკაშვილი სულ რამდენიმე წელიწადში დატოვებს თანამდებობას, ამ მოკლე ვადაში ნატოში შესვლა განუხორციელებელი ოცნებაა; მე არ მინდა მოლოდინი აუმაღლდეს საზოგადოებას, როგორც აუმაღლა სააკაშვილმა ბუქარესტის სამიტის წინ, მაგრამ ნატოში საქართველო აუცილებლად გაწევრიანდება. ეს არის ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილება, საქართველოს გადაწყვეტილება. ნატოში, ევროკავშირში საქართველო გაწევრიანდება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეს ორი საკითხი არ უნდა მივაბათ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. თუმცა, რა თქმა უნდა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ გადადგმული ნაბიჯები, მოლაპარაკების დაწყება აფხაზებთან, ოსებთან, ბევრად დააჩქარებს ამ პროცესს. ამაზეა აქ საუბარი. მე მინდა გულწრფელი დიალოგი დაიწყოს აფხაზებთან, მათ უნდა იგრძნონ, რომ ნატოსკენ, ევროკავშირისკენ მიმავალი საქართველო, ეკონომიურად ძლიერი საქართველო ბევრად უფრო მომგებიანია, ვიდრე დარჩნენ სამხედრო ოკუპაციის ქვეშ. მე ვერ მოვატყუებ ჩემს ქვეყანას, როგორც ატყუებდა სააკაშვილი ნატოში გაწევრიანებაზე, მან უნდა იცოდეს, რომ სააკაშვილის პირობებში ეს არის განუხორციელებელი ოცნება. ეს არის ჩემი პოზოცია და მგონი ცოტა გამოცდილება მაქვს საგარეო პოლიტიკაში. ჰკითხეთ ნებისმიერ ნატოს წარმომადგენელს, თუ საქართველოს აქვს შანსი სააკაშვილის პირობებში, ანუ ორი წლის განმავლობაში, ნატოში გაწევრიანების. ყველა გეტყვით, რომ თქვენ გაქვთ შანსი დაუახლოვდეთ დემოკრატიული არჩევნებით, მაგრამ გაწევრიანების პროცესი არ ჩაეტევა ორ წელიწადში. მე კიდევ ერთხელ მინდა ვუთხრა ჩვენს მოქალაქეებს, საქართველოს ნატოში გაწევრიანდების გადაწყვეტილებაში ვერ ჩაერევა რუსეთი, ვერც აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემები ვერ იმოქმედებს მასზე. ეს არის ჩვენი საგარეო პოლიტიკის მიზანი, მაგრამ როგორც კი ჩვენ სწრაფად დავიწყებთ პრობლემების მოგვარებას და ნდობის აღდგენას აფხაზებთან და ოსებთან, ეს პროცესი ათმაგად დაჩქარდება. სააკაშვილს საერთოდ თავი დავანებოთ, სააკაშვილები მოდიან და მიდიან, ასევე ალასანიები, პრიორიტეტი კი რჩება, ეს არის ჩვენი ეროვნული თანხმობა, რომ უნდა გავწევრიანდეთ ევროკავშირში და ნატოში. მაგრამ ამ მიზნის მიღწევის გზები მე და სააკაშვილს გვაქვს აბსოლუტურად განსხვავებული; საკაშვილმა ხელიდან გაუშვა მაპის მიღების შანსი ბუქარესტში, იმიტომ რომ 5 მილიარდის გადახდა და სამხედრო რიტორიკის ამაღლება დაიწყო ბუქარესტის სამიტამდე. ამის გაკეთება შეიძლებოდა სხვა პირობებში და ამას ეუბნებოდა აშშ-ს პრეზიდენტი, ამას ეუბნებოდა რაისი, ამას ეუბნებოდნენ გერმანელები და ფრანგები. და მეორე, მან ასევე ვერ აარიდა ქვეყანას საფრთხე; მისი, როგორც პოლიტიკური ლიდერის ფუნქციაა არა მარტო ომში წაიყვანოს ქვეყანა, როცა საჭიროა და უხელმძღვანელოს შეიარაღებულ ძალებს, არამედ გონივრულად აარიდოს რუსეთის ეს საფრთხე ქვეყანას, რომელიც იყო და დღესაც არის. მან ვერც ერთი ვერ შეძლო, ვერ გაამთლიანა ქვეყანა, როგორც ჰპირდებოდა საქართველოს მოქალაქეებს და ამიტომაც დასკვნა არის ძალიან მარტივი, ის საქართველოს ნატოში ვერ შეიყვანს.

**„აქცენტები"**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდი 2010 წლის საქმიანობის პროგრამული და ფინანსური ანგარიში

"თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდი" რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2006 წლის 18 სექტემბერს, ს/კ 204517086. ფონდის ადგილსამყოფელია: ქ. თბილისი, მელიქიშვილის ქ.№1. 2008 წლის "22" "ოქტომბერს" ფონდს მიენიჭა საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი.

ფონდი წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

ფონდის ძირითადი მიზანია "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის", როგორც ძეგლის გადარჩენაში, განვითარებასა და ევროპულ სტანდარტებთან გათანაბრებაში ხელშეწყობა; საკონცერტო დარბაზის თანამედროვე ხმოვან-გასანათებელი მოწყობილობითა და აპარატურით აღჭურვის უზრუნველყოფა, კულტურულ საქმიანობაში ხელშეწყობა და სხვა.

ფონდის 2010 წლის შემოსულობების და ხარჯების შესახებ ანგარიში (ფინანსური ანგარიში) წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ცხრილი

| № | დასახელება | შემოსულობები (ლარი) | ხარჯები (ლარი) |
|---|---|---|---|
| 1 | აიპ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი "ქართუს" გრანტი | 2120202.70 | |
| 2 | შპს "ინტერინჟინერინგ იქენის"-ს სესხი | | 2120202.70 |
| 3 | შემოწირულობა | 300.00 | |
| 4 | აუდიტის მომსახურება | | 50.00 |
| 5 | ფინანსური ანგარიშის გამოქვეყნება | | 180.00 |
| 6 | საბანკო მომსახურების ხარჯი | | 2.00 |

## „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" რეაბილიტაციის პროგრამა

2010 წელს მიღებული გრანტის თანხები მიმართული იქნა "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" რეაბილიტაციისა და ახალი ტექნოლოგიებით (გახმოვანება, განათება, ინფრასტრუქტურა და სხვა) აღჭურვისათვის, რისთვისაც გრანტის თანხა სასყიდლით გადაეცა შპს "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" წლის მმართველ კომპანიას, თანხების მიზნობრივად "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის" რეაბილიტაციისთვის გამოყენების პირობით.

### მოგება-ზარალის წლიური ანგარიშები
### 2010 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ხარჯების კლასიფიკაცია ფუნქციების მიხედვით)

საფირმო სახელწოდება - „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდი"
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა -არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
იურიდიული მისამართი - ქ.თბილისი, მელიქიშვილის 1
დარგი (საქმიანობის სახე) - საქველმოქმედო საქმიანობა

| მაჩვენებლების დასახელება | კოდი (სტრიქონი) | შემოსავალი | ხარჯები |
|---|---|---|---|
| ამონაგები | 010 | | X |
| რეალიზებული პროდუქციის (მომსახურების) თვითღ. | 020 | X | |
| საერთო მოგება (ზარალი) | 030 | | |
| კომერციული ხარჯები | 040 | X | |
| ადმინისტრაციული ხარჯები | 050 | X | (1 992,93) |
| შემოსავლები შემოწირულობიდან | 060 | 300,00 | X |
| სხვა ხარჯები | 070 | X | (30 203,70) |
| ფინანსური დანახარჯები | 080 | X | |
| შემოსავლები ფინანსური დაბანდებებიდან და პროცენტებიდან | 090 | 160728,00 | X |
| მოგება (ზარალი) საქმიანობიდან | 100 | 128831,37 | |
| გაუთვალისწინებელი შემოსავლები | 110 | 41508,21 | X |
| მოგება (ზარალი) | 130 | 170339,58 | - |
| საგადასახადო მოგების გადასახადი | 140 | X | 62739,95 |
| საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება | 150 | 107599,63 | |
| ხარჯები (წინა წლების ზარალის გამოქვითვა) | 120 | X | (3 229,78) |
| დაგროვილი საერთო ფონდი | | 104 369,85 | X |

# 2010 წლის საწარმოს ბალანსი

საფირმო სახელწოდება: "თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდი"
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი. პ.მელიქიშვილის ქ.1
დარგი (საქმიანობის სახე): საქველმოქმედო საქმიანობა
ზომის ერთეული: ლარი

| 2010 წლის ბალანსი. აქტივი | | კოდი (სტრიქ.) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|---|
| **მიმდინარე აქტივები** | | | | |
| ნაღდი ფული სალაროში | 1100 | 010 | | |
| ფული საბანკო ანგარიშებზე | 1200 | 020 | 0,58 | 68,58 |
| მოკლევადიანი ინვესტიციები | 1300 | 030 | | |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 1410 | 040 | | |
| მოთხოვნები მეკავშირე საწარმოების მიმართ | 1420 | 041 | | |
| მოთხოვნები მეწარმეების მიმართ | 1415 | 050 | | |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ | 1430 | 060 | | |
| მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე | 1460 | 070 | | |
| გადახდილი დღგ | 3340 | 071 | | |
| მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსი | 1480 | 080 | | |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები | 1490 | 090 | | |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | | 0,58 | 68,58 |
| **სასაქონლო მატერიალური მარაგი** | | | | |
| საქონელი | 1610 | 110 | | |
| ნედლეული და მასალები | 1620 | 120 | | |
| დაუმთავრებელი წარმოება | 1630 | 130 | | |
| მზა პროდუქცია | 1640 | 140 | | |
| სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი | 1690 | 150 | | |
| წინასწარ გაწეული ხარჯები | 1700 | 160 | | |
| დარიცხული მოთხოვნა | 1800 | 161 | | 172032,51 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | 1900 | 170 | 0,88 | 0,88 |
| **სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი** | | | 0,88 | 172033,39 |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | | |
| მიწის ნაკვეთები | 2110 | 190 | | |
| დაუმთავრებელი მშენებლობა | 2120 | 200 | | |
| შენობა-ნაგებობები | 2130 | 210 | | |
| მანქანა-დანადგარები | 2150 | 220 | | |
| ოფისის აღჭურვილობა | 2160 | 230 | 1200,00 | 600,00 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 2180 | 240 | | |
| სხვა ძირითადი საშუალებები | 2190 | 250 | | |
| გრძელვადიანი მოთხოვნები | 2300 | 260 | | 2150406,40 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | 2340 | 270 | | |
| გრძელვადიანი ინვესტიციები | 2400 | 280 | | |
| არამატერიალური აქტივები | 2500 | 290 | | |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | | 1200,00 | 2151006,40 |
| **სულ აქტივები** | | | 1201,46 | 2323108,37 |

| პასივი | | კოდი (სტრიქ.) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|---|
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | | | |
| მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდ. | 3110 | 310 | 1308,40 | 2469,33 |
| მიღებული ავანსები | 3120 | 320 | | |
| გადასახდელი ხელფასები | 3130 | 330 | 100,00 | 100,00 |
| ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე სესხი | 3170 | 331 | | |
| მოკლევადიანი სესხები | 3210 | 340 | | |
| გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი | 3230 | 350 | | |
| გადასახდელი მოგების გადასახადი | 3310 | 360 | | 62739,95 |
| გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი | 3320 | 370 | 22,84 | 22,84 |
| გადასახდელი სოციალური | 3330 | 380 | | |
| გადასახდელი ქონება | 3350 | 390 | | |
| სოციალური გადასახადი | 3370 | 400 | | |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები ფიქსირებული | 3390 | 410 | | |
| გადასახდელი საგზაო | 3410 | 420 | | |
| გადასახდელი გადასახდელი დივიდენდები | 3420 | 430 | | |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 3190 | 440 | | |
| **სულ მიმდინარე ვალდებულებები** | | 450 | 1431,24 | 65332,12 |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | | | |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | 4100 | 460 | | |
| გადავადებული მოგების გადასახადი | 4210 | 470 | | |
| ანარიცხები | 4300 | 480 | | |
| გადავადებული შემოსავალი | 4410 | 481 | | |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები | 4220 | 490 | | |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები** | | 500 | | 0,00 |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 5100 | 510 | 3000,00 | 3000,00 |
| დაგროვილი საერთო ფონდი | 5110 | 520 | | 104369,85 |
| დაგროვილი დეფიციტი | 5120 | 530 | -3229,78 | 0,00 |
| პროექტების მხარდამჭერის ფონდი | 5240 | 531 | | 2150406,40 |
| გაუნაწილებელი მოგება | 5310 | 540 | | |
| დაუფარავი ზარალი * | 5320 | 550 | | |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | 560 | -229,78 | 2257776,25 |
| **სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი** | | 570 | 1201,46 | 2323108,37 |

# Turme raar xdeba CaliT daxurul `absurdeTSi~?

პირველ რიგში, გეტყვით, რომ ეს ლამის დაუჯერებელი ისტორია, ცნობილი ქართული ზღაპარივით სადღაც ულრან ტყეში კი არა, არამედ, შუაგულ ბათუმში მოხდა... თანაც, ამჯერად, პრეტენზია ჩვენს „რეფორმირებულ“ თემიდასთან გვაქვს: ისე, კი ვიცოდით, რომ აქამდე ორი თემიდა არსებობდა: ერთი თვალახვეული და მეორე – თვალხილული, მაგრამ თუ მესამეც იყო და ისიც „ნაცელიტასთან“ ჩასიამტკუპებული, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით!!!... ეს ლირიკული გადახვევა იმიტომ მოვიყვანე, რომ უფრო „თვალხილული“ გამეხადა ის „სიმართლე“, რაც ამ ისტორიაში იკითხება, თუმცა ნებისმიერი ადამიანი, რომელიც საქმის დეტალებს გაეცნობა, არ გაუძნელდება შავით თეთრზე ნაკერის დანახვა.

დავიწყოთ იმით, რომ ამ ისტორიაში იკვეთება, თუ როგორ ირღვევა საბერძნეთის მოქალაქეების ალიკა ჩიროზიდის, დენიზა საკას, სოფია ცერტანიფუს საკუთრების უფლებები, რომლებზეც ამჟამად ფორმალურად ირიცხება 146 კვადრატული მეტრი სახლთმფლობელობა, მდებარე ბათუმში, რევაზ კომახიძის ქუჩის №7-ში. (საერთო საკუთრების ეზოში).

თავშივე გაუწყებთ, რომ აღნიშნული მოქალაქეების სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა დემოსფენ ჩელიკიდიმ ვრცელი საჩივარით მიმართა ქვეყნის მთავარ პროკურორს, ბატონ მურთაზ ზოდელავას, მაგრამ თვეები გადის და საქართველოს მთავარი პროკურორის უწყებიდან არანაირი პასუხი არ გამოსულა, ის ფაქტიც მრავლისმეტყველია...

მასალებით ირკვევა, რომ ბათუმში, კომახიძის ქუჩაზე №7-ში მდებარე სახლი 1951 წლიდან 1976 წლამდე ეკუთვნოდა განმცხადებლების (ალიკა ჩიროზიდის, დენიზა საკას და სოფია ცერტანიფუს) ბებიას ოლდას კესოღლის, მის პირად საკუთრებას წარმოადგენდა ხუთი ოთახი 125, 9 კვ. მ. ხუთი ოთახი – 107, 31 კვ. მ. და ოთხი ოთახი 78, 36 კვ. მ.)

ოლდას კესოღლის გარდაცვალების შემდეგ, 1976 წლის 29 ოქტომბრიდან ამ ქონების პატრონი ხდება მისი მემკვიდრე ელეფთერ ჩიროზიდი. მემკვიდრეობის კანონიერება ნოტარიუსმა ლ. კვინტრიშვილმა დაადასტურა და სამკვიდრო მოწმობის მიღების შემდეგ სახლმფლობელობა ბათუმის ტექაღრიცხვის სამსახურმა 1978 წელს დაარეგისტრირა.

ელეფთერ ჩიროზიდი 1987 წლამდე სოხუმში ცხოვრობდა, შემდეგ კი საბერძნეთში გაემგზავრა, სადაც გარდაცვალებამდე, 2003 წლამდე ცხოვრობდა და საქართველოში ველარ შეძლო ჩამოსვლა.

მას შემდეგ, რაც ელეფთერ ჩიროზიდის წარმომადგენლები ბათუმში ჩამოვიდნენ და ეს 2008 წელს მოხდა, მათ კანონიერი მემკვიდრის სახელზე საჯარო რეესტრის მონაცემებით ნაცვლად 311,57 კვ. მ.-სა, მხოლოდ 146 კვ. მ სახლმფლობელობა დახვდათ.

ამ უცნაური ისტორიის „აბსურდული აპოგეა“ ის გახლავთ, რომ სადღეისოდ სხვადასხვა პირების პრეტენზიებიდან და სარჩელებიდან გამომდინარე, ელეფთერ ჩიროზიდის მემკვიდრეებს არამც თუ „გამქრალ“ და გასხვისებულ ქონებაზე ჰქონიათ პრეტენზია, არამედ თურმე პირიქით, იქეთ „ჰქონიათ ვალი“ დამატებითი 7 კვ. მ. ოდენობით ე. წ. „ახალი მესაკუთრების“ მიმართ?!!... სწორედ რომ ზედგამოჭრილია ანდაზა, „გალმა შეედავე და გამოღმა შეგრჩებაო“.

როგორც სახლის ამჟამინდელი მემკვიდრეების წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, სახლის „გასხვისების“ პროცესი ჯერ კიდევ 1977 წლიდან დაწყებულა, როცა 19 თებარვალს ელეფთერ ჩიროზიდის საკუთრების 1/8 ნაწილი 36 კვ. მ ოდენობით მოქალაქე ვასილ სიხარულიძეს გადაეცა, ხოლო იმავე წელს 17 მარტს ამავე რაოდენობის ფართის (36 კვ. მ.) მფლობელი მოქალაქე თამაზ ჩაჩავა ხდება. ორივე შემთხვევაში „ხელშეკრულებებია“ გაფორმებული...

დღეს არსებული მასალებით, ბათუმში, კომახიძის №7-ში მდებარე სახლი საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია შემდეგ სუბიექტებზე: ალიკ ჩიროზიდზე (ელეფთერ ჩიროზიდის მემკვიდრე) – 36,65 კვ.მ. დენიზა საკაზე (ელეფთერ ჩიროზიდის მემკვიდრე) – 54,97 კვ.მ. სოფია ცერტანიდუზე (ელეფთერ ჩიროზიდის მემკვიდრე) – 54,97 კვ.მ. ჯამბულ კოჩალიძეზე – 75.02 კვ.მ. თამაზ ჩაჩავაზე – 104, 65 კვ.მ. – ეს საჯარო რეესტრის მიერ გაცემული მონაცემები გახლავთ. ამავე მისამართზე ყოფილი ტექნიკური აღრიცხვის მასალებით 42.05 კვ. მ. ფართი რეგისტრირებულია ვასილ სიხარულიძის საკუთებად.

მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ ელეფთერ ჩიროზიდის მიერ სამკვიდროს მიღების შემდეგ ყოველგვარი ნებართვისა და კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე ამ მისამართზე სამოქალაქო რეესტრის მონაცემებით 36 პირია ჩაწერილი. ამ ხალხის აღნიშნულ მისამართზე რეგისტრაციის ფაქტმაც გამოიწვია კიდეც მათ მიერ სასამართლოში სარჩელის შეტანა, სადაც ისინი მოითხოვენ ელეფთერ ჩიროზიდის მემკვიდრეებისაგან 25 პროცენტის გადახდის სანაცვლოდ დაკავებულ ფართებზე საკუთრების უფლებების გადაცემას...

ნამდვილ მესაკუთრესთან დავა პირველებმა ამ ეზოში მცხოვრებმა ე. წ. „მოსარგებლემ“ ციალა ცინცაძემ და ნუგზარ აბზიანიძემ დაიწყეს „საცხოვრებელი სადგომით წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად! მათი მოთხოვნა გახლდათ ის, რომ სასამართლოს მიერ ცნობილი ყოფილიყვნენ მათ მიერ დაკავებული სადგომის მესაკუთრედ, მათ მფლობელობაში არსებული ქონების 25 პროცენტის ელეფთერ ჩიროზიდზე გადახდით. დავის დაწყების ერთ-ერთი მოტივი გახლდათ აღნიშნული კანონის დროში ანუ 2010 წლამდე მოქმედება, სხვა შემთხვევაში ე. წ. „მოსარგებლეები“ სადაოდ მათ სარგებლობაში მყოფ ქონებაზე ყველანაირ უფლებას კარგავდნენ.

პირველი ინსტანციის სასამართლოში ორივე მოსარჩელის საქმე განიხილეს. ორივე მოსამართლე ხათუნა ბოლქვაძემ აწარმოა, მასთანაა წარმოებაში მესამეც, ვასილევაზოიძის სარჩელიც. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქმეები მხოლოდ ერთმა კოლეგიამ, ირმა პერანიძის თავმჯდომარეობით განიხილა. ყურადღებამისაქცევია ის ფაქტი, რომ, როგორც წესი, ბათუმის სასამართლოში სამოქალაქო საქმეებს ოთხი მოსამართლე იხილავს. და ამ დროს ყველა საქმე, რომელიც ელეფთერ ჩიროზიდის საკუთრების წინააღმდეგაა, „რატომღაც“ ხვდება მაინცდამაინც ხათუნა ბოლქვაძესთან, ისევე „შემთხვევითობით“, როგორც სააპელაციო პალატაში მარტო ირმა პერანიძესთან.

წარდგენილი სარჩელებიდან ციალა ცინცაძის მიერ აღძრული დავა მოსარჩელის სასარგებლოდ დასრულდა სააპელაციო სასამართლოში. გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ ბათუმში, კომახიძის 7-ში 31, 50 კვ. მეტრზე საკუთრების უფლება დაუდგინა. ამ უკანასკნელის მიერ ელეფთერ ჩიროზიდის მემკვიდრეების სასარგებლოდ ფართის საბაზრო ღირებულების 25 პროცენტის გადახდის სანაცვლოდ. ასევე, მოსარჩელე ნუგზარ აბზიანიძის სასარგებლოდ გადაწყვიტა დავები ბათუმის საქალაქო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებმა, კომახიძის 7-ში ნუგზარ აბზიანიძესაც დაუკანონეს დაკავებულ ფართზე საკუთრება.

ახლა ჩამოვშორდეთ სასამართლო ქრონიკის აღწერას და იმაზე ვისაუბროთ, თუ რა უხეში კანონდარღვევებით წარიმართა ორივე ინსტანციის სასამართლოებში საქმეების განხილვა... არ გადავაჭარბებთ, რომ ეს იყო არაობიექტურობის და მიკერძოების აშკარა დემონსტრირება... დავიწყებ იმით, რომ სასამართლო პროცესებზე ელეფთერ ჩიროზიდის მემკვიდრე ალიკ ჩიროზიდი კანონით დადგენილი წესით არ იქნა მოწვეული. სასამართლოს არც კი გაუგზავნია მისთვის არც ერთი სარჩელი. ასევე სასამართლოს მოპასუხეებად არ დაურთავს არც სხვა მემკვიდრეებიც: დენიზა საკა და სოფია ცერტანიდუ. არც მათ მიუღიათ სარჩელები და არც სააპელაციო საჩივრები. ორივე ინსტანციის სასამართლომ საქმეები ამ აუცილებელი პროცედურების გარეშე განიხილა. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს, მან არც ერთი საქმე არ დააბრუნა პირველ ინსტანციაში, მიაქციეთ ყურადღება: პირველი ინსტანციის წესით განიხილა საქმეები დენიზა საკას და ცერტანიდუს მიმართ, რაც საქართველოს კანონმდებლობით დაუშვებელია.

სამოქალაქო საქმეში არსებული, თავად აბზიანიძის მიერ წარმოდგენილი და სააპელაციო საჩივარზე თანდართული მტკიცებულებები, კომუნალური გადასახადების ქვითრები ადასტურებენ იმას, რომ ზურაბ აბზიანიძე და არა ნუგზარ აბზიანიძე იხდიდა კომუნალურ გადასახადებს კომახიძის №7-ში, ლიტერი „ა“ ბინა (ოთახი) №6-ის მიხედვით და ისიც 2000 წლიდან და არა 1996 წლამდე, როგორც ამას მოსარჩელე ამტკიცებს.

რაც შეეხება ცალკე მდგომ 39 კვ. მ. საცხოვრებელ და 11 კვ. მ დამხმარე ფართს, რომლის მისაკუთრებასაც ცდილობდა მოსარჩელე, ამ ფართში წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ ელეფთერ ჩიროზიდის ნათესავები – შჩუკინა მეროპი და შჩუკინა ანა, რომელთა გარდაცვალების შედეგ აღნიშნულ ფართს უკანონოდ დაეუფლა აბზიანიძე. ეს გარემოება დასტურდება მემკვიდრის მიერ წარმოდგენილი საბინაო წიგნის ამონაწერიდან. თანაც, სააპელაციო სასამართლოებზეც დაადასტურა აბზიანიძემ ეს გარემოება. მაგრამ სასამართლოზე მოხდა გაუგონარი ფაქტი, როცა მოსამართლემ მაინც ჩათვალა, რომ შჩუკინას ყოფილი ფართიც ელეფთერ ჩიროზიდისთან დადებული ზეპირი გარიგების საფუძველზე შჩუკინების გარდაცვალების შემდეგ აბზიანიძემ კანონიერად მიიღო!?... მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ აბზიანიძე ელეფთერ ჩიროზიდმა შჩუკინების ყოფილ სამფლობელოში ჩაწერა და ის იხდიდა კომუნალურ გადასახადებს ამ ოთახების მიხედვით...

აქ კანონდარღვევების მთელი კასკადია და ჭირს კიდეც მათში სრული გარკვევა, თუმცა არის ისეთებიც, რომლებიც არანაირ რეალურ ლოგიკაშიც კი არ ჯდება: თუნდაც ის, რომ სასამართლომ მტკიცებულებად მიიღო და შეაფასა მოსარჩლის მიერ წარმოდგენილი საბინაო წიგნის ჩანაწერის გაყალბებული ასლი, რომელიც, წარმოიდგინეთ და შესრულებული იყო რუსულ ენაზე. კანონის თანახმად კი სასამართლოში წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ იურიდიული ძალა არ აქვთ.

სიყალბისა და არაკომპეტენტურობის კლასიკური მაგალითია ისიც, რომ საცხოვრებელი სადგომით წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ კანონის მიღების მომენტისათვის ნუგზარ აბზიანიძე ამოწერილი იყო კომახიძის ქ. №7-დან, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი საბინაო წიგნის ამონაწერით, კერძოდ, წიგნის გრაფაში ჩარტყმულია შტამპი, ჩაწერა 16-2/X-1984 წელი, ამოწერა 27/XII 1984 წელი. ანუ აბზიანიძე სულ რაღაც ორი თვით ყოფილა ჩაწერილი აღნიშნულ მისამართზე, რაც ნამდვილად არ არის საკმარისი მესაკუთრის ფართზე რაიმე უფლებრივი პრეტენზიებისათვის, ხოლო საბინაო წიგნის დედნის მოპოვების შემდგომ მემკვიდრეების მიერ დადგენილი იქნა, რომ ცინცაძის 1952 წლის ე. წ. „ჩაწერაში“ ჩანაწერი შესრულებულია ბურთულიანი ავტოკალმით. ჩაწერა კი განხორციელებულია 1984 წლის პასპორტის მონაცემებით. ხოლო 1995 წლის ჩაწერაში გაყალბებულია მესაკუთრის შტამპი. (ცნობისათვის: აქ ალბათ ყალბისმქნელებს გამორჩათ, ან არ იცოდნენ, რომ ბურთულებიანი ავტოკალმები მხოლოდ 50-იანი წლების ბოლოს შეიქმნა და ეს მსოფლიო მიღწევად იქნა აღიარებული, ასე, რომ 1952 წელს ამ ტიპის ავტოკალამზე ფიქრიც კი წარმოუდგენელი რამ იყო).

უფრო მეტიც, არც 1952 და არც 1963 წელს ელეფთერ ჩიროზიდი ბათუმში, კომახიძის ქ. №7-ში არანაირ ქონებას არ ფლობდა, იგი მესაკუთრე გახდა მხოლოდ 1976 წელს პირველად, მის საკუთრებაში არსებული მთლიანი ფართის ნაწილი 1977 წელსაა გასხვისებული ვასილ სიხარულიძეზე. იგი ჩვეულებრივი სანოტარო წესითაა განხორციელებული და არა ზეპირი ხელშეკრულებით. რაც შეეხება ნუგზარ აბზიანიძეს და ციალა ცინცაძეს, მათთან ელეფთერ ჩიროზიდს არანაირი ნასყიდობის ხელშეკრულება არ დაუდვია. და ეს პირები ე. წ. ფორმა პირველში და საბინაო წიგნში გაყალბებული შტამპებით არიან ჩაწერილი!!!... კერძოდ, საპასპორტო სამსახურის მიერ შევსებული ნუგზარ აბზიანიძისა და ციალა ცინცაძის პირადი აღრიცხვის ბარათი მესაკუთრის გრაფაში ჩართტყმულია იმ მომენტისთვის გარდაცვლილი (1973 წელს). კესოღლი ოლგას შტამპი კომახიძის ქ. №7-ში კესოღლი ოლგას სამკვიდრო ქონება კი იყო არა კესოღლის, არამედ მისი მემკვიდროს ელეფთერ ჩიროზიდის საკუთრება. ესეც შენი რეფორმირებული სასამართლოს „სამართალშედევრი“!

**ნუგზარ ჟორდანია**
სპეციალურად ბათუმიდან



იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# korneli kekeliZis 18 wlis vaJi Cekistebma daxvrites

ქართული ფილოლოგიის ფუძემდებელი კორნელი კეკელიძე თავისი დახვრეტილი ვაჟის — ალექსანდრეს (ლიოსიკოს) შესახებ არაფერს ამბობდა, თითქოს მის დაღუპვასთან ერთად აკრძალული ჰქონდა შვილის სახელის ხსენებაც... როცა უფროსი ვაჟის დახვრეტის ამბავი გაიგო, მეცნიერი მეორე მეუღლის (მინადორა კასრაძის) სოფელში, ცხინვალის რაიონის სოფელ ქემერტში ისვენებდა. ტრაგიკული ამბის მაცნეებმა ქემერტიდან ისე წაიყვანეს კორნელი, არც კი იცოდა, რისთვის მიჰყავდათ. მხოლოდ გზაში უთხრეს შვილის დახვრეტის შესახებ და აიძულეს კორნელი, შვილზე სააუგო წერილი გამოექვეყნებინა, რომ ეს თითქოს ანტიქართული მოვლენა იყო. ანტიქართულ მოვლენაში კი კორნელი კეკელიძე 1924 წლის აჯანყებაში ვაჟის მონაწილეობას გულისხმობდა. მართალია, ასეთი კონფორმისტული ნაბიჯით კორნელი კეკელიძემ რეჟიმის მოთხოვნა შეასრულა, მაგრამ მოგვიანებით, მთელი სიცოცხლი მანძილზე, ამ საქციელს თავის თავს არ პატიობდა.

კორნელი კეკელიძის ტრაგიკულად დაღუპული შვილი გარეგნობითაც გამორჩეული და ნიჭიერი ქართველი ვაჟკაცი გახლდათ. ლიოსიკოს შესახებ ცნობები მეტად მწირია. მას ცოლ-შვილი არ დარჩენია. ლიოსიკომ 1924 წელს დააარსა იატაქვეშა გაერთიანება „თავისუფალი საქართველო''. მაშინ ალექსანდრე (ლიოსიკო) 18 წლის იყო. ორგანიზაცია ერთ–ერთ წევრს გაუცია. იმასაც ამბობენ, რომ ჩეკისტებმა სამაჩაბლოში დასასვენებლად ჩასული კორნელი თავიდან დააპატიმრეს და ისე ჩაიყვანეს თბილისში, მაგრამ, როდესაც დაკითხვების შედეგად დარწმუნდნენ, რომ მას ამ ორგანიზაციასთან არავითარი შეხება არ ჰქონდა, გაათავისუფლეს. ერთადერთი, რაც ლიოსიკოს შესახებ ცნობილია, ისაა, რომ იგი მონაწილეობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილ აჯანყებაში, რომელიც მარცხით დასრულდა. ორკვირიანი უმძიმესი ბრძოლების შემდეგ წითელი არმიისა და ჩეკას ნაწილებმა აჯანყება სისხლში ჩაახშვეს. სამხედრო ოპერაციებს თან ერთვოდა 1924 წლის 30 აგვისტოდან სექტემბრის დამლევამდე განხორციელებული, მანამდე უპრეცედენტო





რეპრესიები, რომელმაც თორმეტი ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამდენად, დანარჩენი ინფორმაცია ლიოსიკოს შესახებ თითქმის არ არსებობს და არც ბატონი კორნელი მის შესახებ არაფერს არ ჰყვებოდა. გადმოცემის თანახმად, როცა ლიოსიკოს სახლში მიადგნენ, ის ფანჯრიდან გადამხტარა და ჩეკისტებს გზაშივე მოუკლავთ. ალექსანდრე კეკელიძე დაუხვრეტიათ დღევანდელ თავისუფლების მოედანზე.

საინტერესოა, თავად კორნელი კეკელიძე როგორ გადაურჩა რეპრესიებს, ან რატომ აპატია მას რეჟიმმა ასეთი მეამბოხე შვილის გაზრდა?! ამ საკითხზე ბევრ მის თანამედროვეს თუ მომდევნო თაობის წარმომადგენელს უფიქრია. მისი გადარჩენის ერთ-ერთი ვერსია კი ისევ სტალინს უნდა უკავშირდებოდეს. კორნელი კეკელიძე და სტალინი ერთად სწავლობდნენ თბილისის სემინარიაში, ისინი თანატოლები იყვნენ. ერთხელ კონფლიქტი მოუვიდათ და კორნელის წიგნი ჩაურტყამს თავში სოსო ჯუღაშვილისთვის, რადგან მას არ უთხოვებია წიგნი. რომელიღაც წიგნი ვთხოვეო, — იხსენებდა; სტალინმა მითხრა: რად გინდა, მაინც ვერ გაიგებ ამ წიგნის შინაარსს შენო. ამას მოჰყოლია ეს ყველაფერი. მოგვიანებით ამის გამო კორნელის სულ ეშინოდა, სტალინს არ გაეხსენებინა ეს ამბავი. თუმცა 1936 წელს, როცა საქართველოს დელეგაცია მოსკოვში ოლიმპიადაზე სტუმრად იმყოფებოდა, სტალინს ცნობილი რეჟისორის, მიხეილ ჭიაურელისთვის ასეთი რამ უთქვამს: თქვენ იქ ორი დიდი მეცნიერი გყავთ — ივანე ჯავახიშვილი და კორნელი კეკელიძე და მათ მოუარეთო. ალბათ, ამ ფრაზამ გადაარჩინა, თორემ ივანე ჯავახიშვილსაც და კორნელი კეკელიძესაც ისევე მიაყოლებდნენ, როგორც სხვა ინტელიგენტებს, მით უფრო, რომ კორნელის შვილი 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობდა, თანაც არსებობდა იმ დროისთვის მეორე მიუტევებელი „დანაშაული'' — კორნელი კეკელიძე მღვდელი იყო.

მართლაც, თავის დროზე იგი მღვდლად ეკურთხა, მაგრამ არასდროს სამრევლო ეკლესიის მღვდელი არ ყოფილა. ის გახლდათ სასულიერო სემინარიის ეკლესიის მღვდელი. როდესაც თბილისში 1916 წელს პირველი ქართული სასულიერო სემინარია გაიხსნა, (დღევანდელი მეცხრე საავადმყოფოს შენობაში), მისი პირველი რექტორი გახლდათ კორნელი კეკელიძე. იგი დეკანოზი იყო. როცა კირიონი აკურთხეს კათალიკოსად, 1917 წელს, პირველი ჯილდო, რომელიც მან გასცა, კორნელი კეკელიძისთვის იყო განკუთვნილი—საეკლესიო მიტრა, საპატიო თავსაბურავი.

სტალინისა და კეკელიძის გზები ერთხელ კიდევ გადაიკვეთა. 1951 წელს სტალინი ისვენებდა ბორჯომში. კორნელიც იქ ისვენებდა. ამ პერიოდში გამოვიდა „ძველი ქართული მწერლობის'' პირველი ტომის განმეორებითი გამოცემა. ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლებმა სთხოვეს კეკელიძეს, ამ წიგნით მისულიყო სტალინთან. ამის ძალიან წინააღმდეგი იყო ბატონი კორნელი, რადგან ტრაგიკული ამბების შემდეგ (მას ძმაც დაუხვრიტეს) იგი ცოტა შეშინებული გახლდათ, მაგრამ საბოლოოდ დაიყოლიეს. მივიდა, მაგრამ არ მიიღო სტალინმა, შემოუთვალა, წიგნი კანცელარიაში დატოვოს, მე დასასვენებლად ვარ ჩამოსული და არა საქმიანი შეხვედრებისთვისო.

სხვათაშორის, კორნელი კეკელიძისა და საქართველოს მაშინდელი პატრიარქის, კალისტრატე ცინცაძის ოჯახები ერთმანეთის მოყვრები ყოფილან. კორნელი კეკელიძის უფროსი დის მეუღლე (ამფილოქე ცინცაძე) კალისტრატე ცინცაძის ძმა იყო. კორნელიმ თბილისის სასულიერო სემინარია წარჩინებით როცა დაასრულა, სწავლის გასაგრძელებლად კიევის სასულიერო აკადემიაში გამგზავრებამდე მისულა კალისტრატე ცინცაძესთან და რჩევა უკითხავს. კალისტრატეს უთქვამს, თუ გამოცდებს ვერ დაიჭერ (ვერ ჩააბარებ), კიევს მაინც დაათვალიერებო. მართლაც, მის რჩევას დაუჯერა. როგორც თვითონ კორნელი ხუმრობით იტყოდა ხოლმე, შესანიშნავად ვასრულებდი კალისტრატეს დავალებას და კიევს ვათვალიერებდიო. ერთხელ კიევის აკადემიის საერთო საცხოვრებლის იმ ოთახში, სადაც კორნელი ორ აბიტურიენტთან ერთად იყო დაბინავებული, რექტორი შესულა და უკითხავს, თქვენს გარდა მესამე ვინ არისო. უთქვამთ, ერთი ქართველია, რომელიც ქალაქს ათვალიერებსო. მას უპასუხია, გადაეცით ამ ქართველს, დაე, ისწავლოს, ხეტიალს კი თავი დაანებოსო. იმ დროს კორნელის ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოცდები ჩაბარებული. შემდეგ მართლაც წარმატებულად ჩააბარა გამოცდები და იმავე კიევის აკადემიის რექტორს მადლობის ტელეგრამა გაუგზავნია თბილისის სასულიერო სემინარიაში ასეთი წარჩინებული სტუდენტის გაგზავნისთვის. კიევის სასულიერო აკადემიის დასრულების შემდეგ იქვე ტოვებდნენ კათედრაზე. სასულიერო აკადემიამ შუამდგომლობაც აღძრა, რომ კორნელი კეკელიძე წმინდა ადგილების მოსანახულებლად გაეგზავნათ, სადაც ქართული მასალა იყო თავმოყრილი. მაგრამ რუსეთის სინოდს უარი უთქვამს, მისთვის საკმარისიაო და დაბრუნდა თბილისში.

საინტერესოა, რომ კიევში სწავლების პერიოდში საქართველოს სიწმინდეებთან დაკავშირებით კორ-



ნელი კეკელიძეს არაფერს ასწავლიდნენ. ამას ადასტურებს კალისტრატე ცინცაძის მოგონებაც, რომელიც იმავე სასულიერო აკადემიაში სწავლობდა. ერთ-ერთ პროფესორს ათონის მთის (სადაც ქართველთა სულიერი ცხოვრება ჩქეფდა) ისტორიის შესახებ ლექცია ჩაუტარებია. კალისტრატე წერს, მე, თორნიკე ერისთავით შთაგონებულმა კაცმა, შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი, რადგან პროფესორმა არ დაასახელა ქართული მასალა. კორიდორში შევხვდი ამ პროფესორს და პირდაპირ ვკითხე, რატომ ქართული მასალა არ დაასახელეთ. პროფესორს უპასუხია, მე ქართული მასალა არ ვიციო. კალისტრატეს უთქვამს, მარი ბროსეს მიერ „ქართლის ცხოვრება'' უკვე ფრანგულად არის ნათარგმნი და თქვენ ეს უნდა გამოგეყენებინათო. პროფესორს უპასუხია, მე თქვენი დახმარებით გავეცნობი ამ მასალას და ამიერიდან ჩემს მომავალ ლექციებში გამოვიყენებო. შემდეგ კალისტრატე დასძენს, რომ ახალგაზრდული სითამამით მომივიდა ეს ყველაფერი და, რა თქმა უნდა, ის პროფესორი საკმაოდ ჩახედულიც იყო და დიდი ავტორიტეტიც გახლდათ საეკლესიო ისტორიაშიო.

რაც შეეხება კორნელი კეკელიძეს, იგი დაოჯახდა და კიევიდან ჩამოიყვანა იქაური ქალი. საკმაოდ ლამაზი, მაგრამ მათი ოჯახი არ შედგა და 1918 წელს სამი შვილის მიუხედავად (მათ შორის, უფროსი ლიოსიკო იყო), ისინი გაიყარნენ.

1918 წელს, უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ, კორნელი კეკელიძემ დატოვა სასულიერო უწყება და უნივერიტეტში გადავიდა, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი თავადაც იყო ივანე ჯავახიშვილითან ერთად. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კორნელი კეკელიძემ გაწყვიტა ურთიერთობა ეკლესიასთან. ის ქრისტიანული წესების ერთგული დარჩა. როცა პირველ ცოლს ეყრებოდა, ერთ ადგილას უწერია კიდეც, მე მორწმუნე ქრისტიანი ვარ და მარტო სამოქალაქო წესით გაყრა არ მამშვიდებს. მე მინდა, სასულიერო წესითაც გაფორმდეს ჩვენი განქორწინებაო.

ძველ მამულიშვილთა შორის გიორგი მერჩულეს "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას" გამოარჩევდა, რადგან გრიგოლის მთელი ცხოვრება (რომელიც 951 წელს დაიწერა), იყო ორიგინალური ეროვნული მწერლობის გვირგვინი მეათე საუკუნეში. ეს იყო ძველ ქართველთა იდეალების წარმოჩენა და ერთიანი საქართველოს შექმნისთვის ბრძოლა.

და ბოლოს, კორნელი კეკელიძე ამბობდა ხოლმე, ორი ცხოვრებით ვიცხოვრეო. ერთში სასულიერო ცხოვრებას გულისხმობდა, მეორეში — აკადემიკოსობას.

**მანანა ნოზაძე**

---

## ანიკაშვილი ხელისუფლებისაგან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დაზღვევას ითხოვს

**საპარლამენტო ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" წევრი მაგდა ანიკაშვილი ხელისუფლებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დაზღვევას სთხოვს.**

**როგორც მან პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე განაცხადა, ლაპარაკია 5–დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდებზე. იმ პირთა ჩამონათვალში, რომელთა დაზღვევაც მომავალ წელს მოხდება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები ვერ მოხვდნენ, რაც სოციალური უსამართლობაა. დეპუტატს განსაკუთრებით მიუღებლად მიაჩნია დედაქალაქის მერიის ის განმარტება, რომ 5-დან 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები დაზღვევას მხოლოდ დედაქალაქში მიიღებენ. ანიკაშვილის შეფასებით, ეს მხოლოდ და მხოლოდ დისკრიმინაცია იქნება.**

**დეპუტატმა მიმართა პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს, რათა აღნიშნული კაზუსი აღმოიფხვრას და 5-დან 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების სახელმწიფო დაზღვევისათვის საჭირო თანხა ბიუჯეტში გამოიძებნოს.**

**ანიკაშვილის ინფორმაციით, ასეთი ბავშვების რაოდენობა 2 000-3 000–ს შეადგენს, რომელთა დახმარებისთვისაც მომავალი წლის ბიუჯეტში სულ 200 000 ლარის გამოყოფა იქნება საჭირო.**

**„მედიანიუსი''**

# vfiqrob, ucxoplanetelebs kbilebi ar aqvT...

**„საერთო გაზეთის“ სტუმარია ქალბატონი ფატი სეხნიაიძე, პროფესიით სტომატოლოგი, რომელსაც ორი კვირა მოუწია უცხოპლანეტელი სტუმრის იძულებითი მასპინძლობა.**

**— ქალბატონო ფატი, ბოლო დროს ხშირად საუბრობენ არამიწიერი არსებების შესაძლო სტუმრობაზე, თქვენ კი, ის უკვე „გაიცანით“.**

— 1992 წლის აგვისტო იყო, თუშეთში, ომალოში ჩემთან სტუმრად იყო ჩემი ორი მეგობარი შვილებთან ერთად. ერთ დღეს მხოლოდ მე და რუსიკო ვართ სახლში და აივანზე საჭმელს ვაკეთებთ. მე ქვაბს ვურევ, რუსიკო რაღაცას ჭრის. გვერდითი ხედვით დავინახე, რომ ჩემს გვერდით ვიღაც გაჩერდა. ვიფიქრე, რომ რუსიკოა, მაგრამ რომ მივხედე, რუსიკო ისევ მაგიდასთან იჯდა და საქმიანობდა. ქვაბში რომ ჩავიხედე, ისევ დავინახე ის ვიღაც. გავხედე, რუსიკო ისევ იქ ზის. ჩემი თავის შემეშინდა, მაგრამ არაფერი ვთქვი, ესენი არ დავაფრთხო-მეთქი. რამდენიმე დღეში სრულიად მარტო დავრჩი. ვზივარ აივანზე, ვქსოვ და ისევ, გვედითი მხედველობით ვხედავ ვიღაცას. შიშს არ გამჩენია.

ჩამოვედი თელავში და აღარც გამხსენებია ეს ამბავი. 1993 წლის მაისის მზიანი დილა იყო. ჩემი მეუღლე წავიდა სამსახურში, მეც უნდა გავემზადო წასასვლელად და აბაზანის სარკეში რომ ჩავიხედე, რას ვხედავ, ქუთუთოს კუთხე, დაახლოებით, ცერი თითის ფრჩხილის ზომაზე ჩაშავებული მაქვს. ასე როგორ მოვირტყი ძილში ხელი-მეთქი და მკლავებსაც რომ შევხედე, მთლად საგონებელში ჩავვარდი, — სისხლძარღვები მქონდა ისე საშინლად ამომჯდარი, თითქოს სათითაოდ დამახაზეს კანზე ლურჯი ფლომასტერით და კიდევ მატულობს გაბერვა. ვგრძნობ, რაღაც სხვანაირად ცუდად ვხდები. გავანებე თავი პირისბანას და ისევ ლოგინში დავწექი. ჩემს თავს ვეკითხები, რა მჭირს, რა შეგრძნებაა ეს. აზრზე რომ მოვედი, ჩემი საბნის ზემოდან მეუღლის საბანიც მაფარია, მაგრამ მივხვდი, რომ კი არ მცივა, მცხელა, მაგრამ თავს რომ ამოვყოფ ამოსასუნთად, რომ არ ჩავძვრე საბნებში, ცუდად ვხდები. ამ თავის ჩაყოფ-ამოყოფაში უეცრად აღმოვაჩინე, რომ მარტო არ ვარ, ვიღაც არის გვერდზე. აი, მაშინ გამახსენდა თუშეთის ამბავი. შიშის გრძნობა არ გაქვს ამ დროს, ინტერესი გიჩნდება, დანახვა გინდა.

**— ჩაძვრომის სურვილმა გაგიარა?**

— არა! არა! რომ აღარ ვძვრებოდი, ისეთი ტკივილი დამეწყო მთელ სხეულში, რომელიც ხან სად მეცემოდა, ხან სად, რომ კივილამდე მივყავდი და უცბად გადამივლიდა. ხომ ასეთ ტანჯვაში ვიყავი, მაინც გაფაციცებით ვათვალიერებდი გვერდითი მხედველობით იმ ვიღაცას. ის იყო მაღალ ადამიანზე კიდევ უფრო მაღალი, ეცვა ღია რუხი ფერის, გამობერილი, სკაფანდრის მსგავსი სამოსი. თავი, ტანთან შედარებით პატარა ჰქონდა. სახეც მორუხო ჰქონდა, თვალები წერტილებივით, ნესტოებიც და პირი რაღაცნაირად გაჭრილი. უკვე მივხვდი, რომ ის იყო უცხოპლანეტელი.

საბანში რომ ვძვრებოდი, ცოტა შვება მქონდა, მაგრამ დავიღალე, მომწყინდა ეს ჩაძვრომ-ამოძვრომაც, თავს ძალა დავატანე, ავდექი, სამსახურში დავრეკე, ექთანს ვუთხარი, რომ ცუდად ვიყავი და ვერ მივიდოდი. ჩაცმა რომ დავიწყე, ახლა უკვე კისრიდან დაწყებული, მთელ ტანზე, განსაკუთრებით მუცელზე, მთლად ლურჯად დახაზული ვარ გაბერილი სისხლძარღვებით და გუგუნებს შიგნიდან სისხლი. იმ მომენტში ამას ვერ ვუკავშირებდი უცხოპლანეტელს, იმას ვფიქრობდი, რა მჭირს, რა მეშველება-მეთქი. ისეთი ხომ არ ვეჩვენებოდი გამვლელებს, ყელამდე დაფარული სამოსი ჩავიცვი იმ სიცხეში და სასწრაფოდ წავედი საავადმყოფოში გურამ იჭირაულთან, სისხლძარღვების ექიმთან. მე რომ მივედი, გურამი საოპერაციოში შესასვლელად ემზადებოდა, ხელებს იბანდა. შემომხედე, რა მჭირს-მეთქი და არაფერი საგანგაშო აღარ მქონდა. განსაკუთრებით აინტერესებდა პირის ღრუ და საჭმელი.

ერთს დღეს ვმუშაობ, პაციენტი მიზის და მოვიდა ჩემი სკოლისდროინდელი ამხანაგი, მათემატიკოსი თინა ბეჟანიშვილი. ჩვენ ალაზნის პროსპექტზე ვცხოვრობდით, მისი ოჯახი ზუსტად მოპირდაპირე მხარეს კავკასიონის პროსპექტზე, მხოლოდ რიყე გვყოფდა. სამი პაციენტი მელოდებოდა და თინაც დაჯდა, ჟურნალის თვალიერება დაიწყო. ცოტა ხანში „სტუმარიც“ შემოვიდა კარების მხრიდან და თინამ მიიხედა. მთელი იმ ხნის განმავლობაში საიდუმლოდ ვინახავდი



ალბათ, ეს პერიოდი იყო. რაკი დავრწმუნდი, რომ გიჟად არავინ ჩამთვლიდა, ჩემი ამბავიც ვთქვი. გადაირია ჩემი მეუღლე. ავთო თურმე დაინტერესებული ყოფილა ამოუცნობი მოვლენებით და ეს რომ გაიგო, აიტეხა, თალეს შონიას უნდა ვუთხრა თქვენი ამბავიო. სასტიკ უარზე დავდექით მეც და თინაც. თელავში ცხოვრობდა თალეს შონიას მეგობარი და თანამოაზრე ბატონი შალვა, (ბერიაშვილი ან ბეროშვილი) იმისთვის მაინც უთქვამს. რომ გაიგო, მე და თინას გამოჩენა არ გვინდოდა, გამომიგზავნა ფრანგული ჟურნალი (შენახული მაქვს) უცხოპლანეტელებზე, სადაც აღწერილია მათი სახეობები, რომელი იყო თქვენთანო, — რა თქმა უნდა ვიცანი.

რატომ ვახსენე ეს ჟურნალი, — იქ მოყვანილი იყო ერთ-ერთი მაგალითი უცხოპლანეტელებთან დედამიწელი, ამერიკელი ასაკოვანი ცოლ-ქმრის კონტაქტისა, რომლებიც დასასვენებლად მიდიოდნენ ოკეანის სანაპიროზე. თურმე, რადიო ყოველ 15 წუთში აფრთხილებდა იმ არეალში მყოფ ადამიანებს, რომ გარდაუვალი იყო საშინელი შტორმი და საიმედო ადგილზე შეფარებას ურჩევდნენ. ისინი ისეთ ადგილზე მოხვედრილან, რომ ვერაფერი ნახეს საიმედო და გზას განაგრძობდნენ. უეცრად რაღაც მანათობელი ობიექტი შეუნიშნავთ და გაუჩერდათ კიდეც მანქანა. დეტალები რომ არ მოვყვე, — მფრინავი ობიექტიდან ჩამოიშალა კიბე, ჩამოვიდა ევროპილი გარეგნობის კაცი, რომელსაც ეცვა გემის კაპიტნის მსგავსი უნიფორმა და იაპონური აქცენტით ინგლისურად უთხრა, ასულიყვნენ მათ მცირე მოცულობის „ტრანსპორტში“, — ცხვრებივით ავყევითო. გამოიკვლიეს (ორნი იყვნენ) ჯერ ქალი, შემდეგ მამაკაცის გამოკვლევა დაიწყეს და კაცს უეცრად პროთეზი ჩამოვარდნია პირის ღრუში. დაინტერესებულან, რა არისო და კაცს პროთეზი გამოუღია პირიდან. ისე შეშინებიათ, აქეთ-იქით გადამხტარან. რომ დამშვიდდნენ, საკუთარ კბილებზე დაუწყეს კაცს ჯაჯგური, მერე ქალსაც მისდგნენ. რომ გაიგეს მათი ორგანული იყო, მამაკაცს პროთეზი სთხოვეს, გაიტანეს მეორე განყოფილებაში, ცოტა ხანში უკანვე დაუბრუნეს და გამოისტუმრეს.

მაშინვე ჩემი „სტუმარი“ გამახსენდა, ის ხომ სწორედ იმით მიშლიდა ნერვებს, რომ ჩემთან ერთად მოძვრებოდა პაციენტის პირის ღრუში და მუშაობას არ მაცდიდა, ჩემზე მეტად დაინტერესებული იყურებოდა შიგ. ქვაბშიც იმიტომ იცქირებოდა დიდი მონდომებით, რომ მერე იმ მასას (მისთვის) პირში ვიდებდით და რაღაც მოძრაობას (ვღეჭავდით) ვაკეთებდით. ჭამის დროს სულ პირში შემოგვცქეროდა მეც და ჩემს მეუღლესაც, რომ იტყვიან ლუკმებს გვითვლიდა.

მის ასეთ დაინტერესებას იმით ვხსნი, რომ ალბათ, მათ კბილები არ აქვთ, ან უარეს შემთხვევაში, აქვთ, მაგრამ კბილის მკურნალობა არ იციან და ეს მათთვის ტრაგიკულად მთავრდება, ნაკლებ სავარაუდოა, რომ პროთეზისმაგვარ რამეს ვერ ამზადებდნენ.

**— ბალახისმჭამელებს და ხორცისმჭამელებს ხომ განსხვავებული კბილები აქვთ, იქნებ, ისინი რომ ჩვენთვის უცნობი რაღაცისმჭამელები არიან, იმიტომ არის საოცრება ჩვენი კბილები მათთვის.**

— მე ის ვიცი, რომ საჭმლის მომზადება და ჭამის პროცესი ძალიან აინტერესებდა, ქვაბში და პირის ღრუში ერთნაირად ძვრებოდა. ამიტომ იყო, რომ გაბრაზებული მასში გავდიოდი... იმ ჟურნალში ისიც ეწერა, რომ მათში გავლა არ შეიძლება, რადგან ისინი ერთნაირი თვალზე სისხლჩაქცევის გამო რაღაც გამომიწერა და წამოვედი იმის ფიქრით, ეს რა მომეჩვენა-მეთქი. მოვედი სახლში და ისევ დაიწყო გუგუნი ყველა სისხლძარღვმა და საშინლად ვარ ისევ. წამოვედი თბილისში, არამიანცის საავადმყოფოში ანგიოლოგთან, ჩემს ყოფილ ლექტორთან. ავიწიე მაისური მოფარებულში და ისევ არაფერი მჭირს, თან ჩემი პროფესორი ჩეხოსლოვაკიაში იყო წასული სიმპოზიუმზე, სხვა არავინ იყო სისხლძარღვების ნორმალური მცოდნე და გავბრუნდი უკან, მივედი სახლში და იგივე დამემართა. ასე გაგრძელდა 4-5 დღე.

**— მეუღლე ვერ ხედავდა?**

— მე არ ვეუბნებოდი, არ მინდოდა ეფიქრა, რომ ვაფრენ, ხოლო ის ვერ ხედავდა სისხლჩაქცევის გარდა ვერაფერს. გურამთან მისვლის ამბავი არ დამიმალავს, ისიც იმიტომ ვუთხარი, რომ ამ ამბავს „სტუმართან“ ვერ ვაკავშირებდი. მერე ამიხსნეს, რომ თურმე მე ვიყავი „სტუმრის“ მაგნიტურ ველში და ვინაიდან სუსტი სისხლძარღვები მაქვს, მკვეთრად იყო გამოხატული, მერე კი მიეჩვია. მთელი ორი კვირა, რაც „სტუმარი“ სახლში დამიდიოდა, ზოგჯერ ისე მომეშლებოდა მის ინტერესზე ნერვები, რომ წამოვუხტებოდი გაბრაზებული „რა გამიჭირე საქმე!“ და გავივლიდი მასში. საჭმელს ვაკეთებდი, პაციენტს ვიღებდი თუ საპირფარეშოში შევიდოდი, გვერდიდან არ მშორდებოდა. როგორია, პაციენტის პირის ღრუში ვიხედები, რაღაც კარგად მინდა დავინახო, ეხეც შიგაა ჩაშტერებული, ლამის ლოყა მომადოს.

რასაც ვხედავდი, არ მინდოდა ვინმეს ეჭვი შეეტანა ჩემს ფსიქიკურ მდგომარეობაში და თინას რეაქცია რომ დავინახე, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა — თინაც ხედავს! ყველა პაციენტი რომ წავიდა, დავრჩით მე, თინა და „სტუმარი“. თინა მეუბნება, ვერავის ვეუბნები, შენ უნდა გითხრაო და სისხლისჩაქცევიანად ერთი ერთზე მიყვება იმას, რაც მეც გადატანილი მაქვს და რომ ისიც ვერ ამხელს ამ ამბავს ოჯახში. (მეუღლე და ორი შვილი ჰყავდა 6-8 კლასელები) იმის თქმა, რომ როგორ გვიხარია ორივეს, შერეკილები რომ არ ვართ და გვერდზე მყოფი „სტუმრის“ გაქრობა ერთი იყო. შინ მისულმა თინამ დამირეკა, სახლში რომ მივედი, უკვე აღარ დავმალე სიმართლე და თურმე, ჩემი მეუღლეც ხედავდა და ჩემი ორივე შვილიცო.

ამ ამბიდან ორი კვირის შემდეგ მეუღლე მეგობართან, ავთოსთან ერთად მოვიდა,



რომელიც „ლეგიონის უბანში“ ცხოვრობდა და ვახშმობისას ის გვეუბნება, ვერ გაიგეთ, მთელი „ლეგიონი“ 2 კვირა გარეთ რომ ვათენებთო? თურმე, ორი კვირის განმავლობაში, „ლეგიონის“ დასახლების თავზე, ძალზე დაბალ სიმაღლეზე ეკიდებოდა ე.წ „მფრინავი თეფში“ და მზესავით აკაშკაშებდა მიდამოს, ისე, რომ არათუ ადამიანებს, პირდაპირ მნიშვნელობით, ქათმებსაც არ ეძინათ. თუ გახსოვთ, თემურ წიკლაურმაც თქვა ერთხელ, თელავში უცხოპლანეტელი ენახეთ, ბუნებისანი არ არიან, შეიძლება რაღაც ცუდს მოგწიოს.

**— ახლა, არ ფიქრობთ, რომ მასთან კონტაქტი უნდა დაგემყარებინათ?**

— კონტაქტს, ალბათ, მის მმართველთან დავამყარებდი, თუ მას ენდომებოდა.

**— ვერ გავიგე?**

— ავთოს პირით ბატონმა შალვამ გადმომცა, რომ თურმე, ის რომ მოაზროვნე არსება ყოფილიყო, კითხვებს გაგვიჩენდა მეც და თინასაც, რაღაცას ვკითხავდით, მივმართავდით. აბსოლუტურად არ მომსვლია აზრად, რომ დამეწერა ან პირდაპირ მეკითხა, რა გინდა, რა გამიჭირე საქმე-თქო, ან იმით დავინტერესებულიყავი საიდან მოვიდა, რა მისიით და ა. შ

**— თუ მოაზროვნე არ იყო, მაშინ, თქვენ და თინა ერთმანეთს რომ გაენდეთ მისი თანდასწრებით, რატომ გაქრა?**

— მან გადასცა ინფორმაცია, მიიღო ბრძანება და გაქრა. ისედაც, როგორც ავთომ თქვა, „ლეგიონის დასახლებიდანაც“ აიკრიფნენ მეორე თუ მესამე დღეს. მხოლოდ მე და თინა ხომ არ ვიქნებოდით, რომლებიც ხედავდნენ, მაგრამ მალავდნენ, ჩვენ, უბრალოდ, დაემთხვა, რომ ახლობლები ვიყავით.

**— ერთი ციდაა თელავი, „ლეგიონში“ ნაცნობი არავინ გყავდათ რომ ცხელ კვალზე გეკითხათ?**

— უამრავი ნაცნობი და ახლობელი მყავს, მაგრამ წარმოიდგინე, არასდროს მომსვლია აზრად. აი, ახლა რომ მითხარი, თითქოს ახლაღა გამოვფხიზლდი. ხომ ვთქვი, კითხვები არ გამიჩინა. რუსულ არხებზე ხშირად იმეორებენ, რომ უცხოპლანეტელები ძალიან არიან დაინტერესებულები კავკასიით, ამიტომ ძალიან ხშირად სტუმრობენ, უბრალოდ, ხალხს ეშინია სამასხარაოები არ გახდნენ და მალავენო...

**მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

*მთვარისა კევლიშვილი.*
ტელ.: 2 79 63 91;
8 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

**— სამოქალაქო სამართალში ვის გააჩნია ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება?**

— საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის მიხედვით:

ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება აქვთ:

ა) მხარეთა მეუღლეებს;

ბ) ახლო ნათესავებს — შვილებს, შვილიშვილებს, ძმებს, დებს, მშობლებს, მშვილებლებს, შვილობილებს, მზრუნველებს, მეურვეებს, ბებიებს, პაპებს;

გ) პირებს, რომლებიც თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ვალდებულნი არიან, დაიცვან საიდუმლოება, თუ ისინი გათავისუფლებულნი არ არიან ამ მოვალეობისაგან.

ჩვენების მიცემაზე უარის თქმა დასაშვებია, თუ ჩვენების მიცემა გამოიწვევს მოწმის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება ეს ან მიაყენებს მათ ქონებრივ ზიანს.



ამავე კოდექსის 143-ე მუხლის მიხედვით, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების მიუხედავად, პირი ვალდებულია მისცეს ჩვენება, თუ:

ა) საჭიროა, დადასტურდეს გარიგება, რომლის დადებისას იგი მიწვეული იყო მოწმედ;

ბ) გასარკვევია ოჯახის წევრის დაბადების, დაქორწინების ან გარდაცვალების საკითხები;

გ) ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობების დამყარებისას იგი მოქმედებდა, როგორც ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელი.

144-ე მუხლის მიხედვით კი მოწმემ, რომელიც უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე, უნდა დაასაბუთოს ეს უარი. საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა მოწმეს უფლება, უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, საბოლოოდ გადაწყდება სასამართლოს მიერ.

* * *

**— სამოქალაქო სამართალში როგორ ხდება არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა?**

— 14 წლის ასაკამდე მოწმის დაკითხვისას, ხოლო სასამართლოს შეხედულებით — 14-დან 18 წლის ასაკამდე მოწმის დაკითხვის დროსაც, შეიძლება მოწვეული იქნას პედაგოგი, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება მოიწვიონ, აგრეთვე მშობლები, მშვილებლები, მეურვეები და მზრუნველები. აღნიშნულ პირებს, სასამართლოს ნებართვით, შეუძლიათ მისცენ მოწმეს შეკითხვები.

გამონაკლის შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია, სწორი და გულწრფელი ჩვენების მისაღებად არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის დროს სასამართლოს წინადადებით სხდომის დარბაზიდან შეიძლება რომელიმე მხარის გაყვანა. სხდომის დარბაზში ამ მხარის დაბრუნების შემდეგ მას უნდა ეცნობოს არასრულწლოვანი მოწმის ჩვენება და მიეცეს შესაძლებლობა დაუსვას მოწმეს შეკითხვები.

— მოწმე, რომელსაც 16 წელი არ შესრულებია, დაკითხვის შემდეგ ტოვებს სასამართლო სხდომის დარბაზს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს ამ მოწმის დარჩენას სხდომის დარბაზში.

— 16 წელს მიუღწეველი პირები ფიცს არ დებენ.

* * *

**— მოსამართლემ გადაწყვეტილება სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოგვიცხადა? რამდენად კანონიერია ეს?**

— მოსამართლის ქმედება კანონიერია.

როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართალში მოსამართლეს უფლება აქვს გადაწყვეტილება მიიღოს, როგორც სათათბირო ოთახში გასვლით, ისე სათათბირო ოთახში გაუსვლელად, ადგილზე.

* * *

**— როგორ ისჯება სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით?**

— საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის მიხედვით.

I ნაწილი: სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, —

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

II ნაწილი: იგივე ქმედება, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ, —

ისჯება თავისუფლების შეზღუდული ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

* * *

**— რამდენიმე წლის წინ, ამნისტიის აქტის გამო, ჩემი შვილის მიმართ სასამართლომ შეწყვიტა სისხლის სამართლებრივი დევნა. ითვლება თუ არა ის ნასამართლევად?**

— ამნისტიის აქტით თქვენი შვილი გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან, ანუ მას ეპატია დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა.

სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენი შვილი არ ჩაითვლება ნასამართლევად.

* * *

**— შეეხება თუ არა ხანდაზმულობის საკითხი უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირს?**

— სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე და 76-ე მუხლების მიხედვით, საკითხს, უნდა შეეფარდოს თუ არა ხანდაზმულობის ვადა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, წყვეტს სასამართლო. თუ სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ხანდაზმულობის გამოყენებას, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით.

* * *

**— შეიძლება თუ არა პირობით მსჯავრის ვადამდე ადრე გაუქმება?**

— შეიძლება.

— სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, თუ პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელი ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ ყოფაქცევით დაამტკიცებს თავის გამოსწორებას, სასამართლოს შეუძლია, იმ ორგანოს წარდგინებით, რომელიც ახორციელებს კონტროლსა და დახმარებას პირობით მსჯავრდებულის მიმართ, გააუქმოს პირობითი მსჯავრი და მსჯავრდებულს მოუხსნას ნასამართლობა.

* * *

**— რას ნიშნავს ქმედით მონანიება?**

— ქმედითი მონანიება ნიშნავს შემდეგს: დანაშაულის ჩამდენი პირი ნებაყოფლობით უნდა გამოცხადდეს სამართალდამცავ ორგანოებში ბრალის აღიარებით, ხელი შეუწყოს დანაშაულის გახსნას და აანაზღაუროს ზიანი.

* * *

**— შეზღუდული შერაცხადობა ათავისუფლებს თუ არა პირს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან?**

— სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლის მიხედვით.

— სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება სრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში. ესე იგი ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის.

შეზღუდულ შერაცხადობას სასამართლო ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის დროს.

სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს არასრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში.

* * *

**— რა არის დანაშაულის რეციდივი?**

— დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას.

დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, აგრეთვე, ნასამართლობა, რომელიც მოხსნილი ან გაქარწყლებულია კანონით დადგენილი წესით.

# xalxis azriT

შთაბეჭდილება მრჩება რომ ყველაფერი მზად აქვს დასავლეთს სამხრეთ კავკასიაში ახალი პოლიტიკური და გეოპოლიტიკური რეალობის ფორმირებისთვის და დღე დღეზე შესაბამისი ბრძანებაც შეიძლება გაიცეს.. არ გავს ეს ყოველივე პრაგმატული დასავლეთის სტილს. თითქოს დრო გაყავთ ბოლო აკორდის შესასრულებამდე.. ან იქნებ უფრო მასშტაბური ცვლილებები იგეგმება ვიდრე სამხრეთ კავკასიის აფეთქება? და თუ კი, რა არის ეს მასშტაბური? ირანთან ომი? სირიის ოკუპაცია? თუ რა? დენთის სუნი რომ დგას ეს აშკარაა, როდის იფეთქებს და როგორ, ეგ დარჩა გასარკვევი..

მე, მიყვარდა ჩემი კეისარი,მაგრამ რომი ყველაფერს მერჩიაო — თავი იმართლა ბრუტუსმა კეისრის მოკვლასთან დაკავშირებით. მივმართავ ნაც-მოძრაობის წევრებს: ნუთუ სააკაშვილია თქვენთვის ყველაფერი და საქართველო არაფერი არაა!

როდესაც ვუსმენ უმრავლესობის კომენტარებს პუტინის მთავრობაზე და რუსეთში მიმდინარე მოვლენებზე, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება რომ უმრავლესობის ზოგიერთი წევრი რუსეთზე ლაპარაკით ცდილობს რებილატიაცია მოახდინოს, ანუ იმას რის თქმასაც ვერ ბედავენ მიშა სააკაშვილზე და საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, ამას დიდი ენთუზიაზმით აკეთებენ რუსეთთან მიმართებაში. არის კი რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება პუტინსა და სააკაშვილს, პუტინის მთავრობასა და სააკაშვილის მთავრობას შორის?

ამას ჰქვია სად ერეკლე და სად მისი ქამარ-ხანჯალი. ომი ხო მოიგო და ეხლა ოპერას მიხედავს რა ქნას აბა კაცმა თან ერთი-ორი კუბის მერე ჟიზელის არიები მიდის იმის დე...

დღეს ჩამოვედი ბათუმიდან. სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო,რომ ბათუმის უმეტესი ნაწილი უკვე თურქების,ირანელების და სომხებისაა,ხოლო თუ ესე კიდევ 1-2 წელი გაგრძელდა ქართველები ეთნიკური უმცირესობა იქნებიან.

პოლიტიკაში იმიტომ კი არ მივდივართ რომ სამშობლოს ვჭირდებით, იმიტომ მივდივართ რომ კარგად ვიცხოვროთ!...სანამ ეს მანკიერება არ დაინგრევა, ვერც ნატო გვიშველის და ვერც ქსენია. სამშობლოს პატრონობა უნდა ვისწავლოთ და არა ბატონობა!ჯერხნობით პოლიტიკური პარტიები მხოლოდ მძარცველების ამპლუით მინახავს: ან ხმა უნდათ, ან ჭირი და ამოწყვეტა ჩვენგან!

სააკაშვილი ზღაპრის იმ დევს დაემსგავსა წყალსაა რომ დაპატრონებული და ყოველ წელიწადს 200 ქალიშვილი მიყავთ გადასახადის სახით

ეხლა შეიქმნება ბევრი ფონდი სადაც დაჭერილ და დატერორებულ ხალხს ფულს ჩაარიცხინებენ და გამოიყენებენ არჩევნებზე

მოკლედ ერთი მესმის და ვიცი! თუ საქართველო კიდე ამათ ხელში უნდა დარჩეს ეს ნიშნავს ამ ქვეყნის და ერის გადაშენებას!!! და თუ საქართველო და ქართველი ერი არ იქნება მოგვყოლია მთელი მსოფლიო უკან!!!!!!!!!!

ოჯახში რომელსაც ესტუმრა მიშა გადაკლული ბაბუინები იყვნენ. იმ კაცის შვილი მასკა ჩამოცმული დუბინკებით სცემდა ასლანას მიწინააღმდეგებს

ის თუ იცით, რომ 25 დეკემბერს შეიძლება ისრაელმა ირანს დაარტყას, მერე ჩვენ რა გვეშველება?

სად ერეკლე დად სად მისი ქამარ-ხანჯალი :))) კეზერა, უგულავა და ოპერა ეს ხო ანეგდოტია. თან ბიზნესმენი დავით კეზერაშვილი წერია. ნეტა რატო არ ეკითხება მიშას გურამ ჩახვაძე ცალ-ცალი კალოშით 2003 ში მოსული კეზერაშვილი როგორ გახდა ბიზნესმენი და დღეს უკვე “ქველმოქმედებითაც” დაკადა და კიდევ ერთი ფონდი შექმნა საარჩევნო ფილის გასათეთრებლად.

ბიზნესმენი დავით კეზერაშვილი არ მოგწონთ? და მიშა კორუფციასთან №1 მებრძოლი? რატო არ ეკითხება ვინმე საიდან გახდა ბიზნესმენი მორფინისტი კეზერაშვილი.





# „ქართული ოცნება“ ეკუთვნის ყველას!

ყველას, ვინც განიცდის საქართველოში არსებულ მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ვინც ადეკვატურად აფასებს გამომწვევ მიზეზებს და აცნობიერებს ვითარების შემდგომი გაუარესების პერსპექტივას, ვინც გამოსავალს ხელისუფლების სამართლიანი, დემოკრატიული არჩევნებით შეცვლაში ხედავს.

ქართული „ოცნების სახელმწიფო“ იქნება ქვეყანა, სადაც მართვის სისტემა დაეფუძნება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების განუხრელ დაცვას.

აღდგება ბალანსი აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის, რაც გამორიცხავს ძალაუფლების თავმოყრას ერთი პოლიტიკური ძალის ხელში და ავტორიტარულ მმართველობას.

ნებისმიერი საკონსტიტუციო ცვლილება ან განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კანონი მიიღება მხოლოდ საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და კონსენსუსის პირობებში.

ხელისუფლების საქმიანობის მაქსიმალური გამჭირვალეობა როგორც ბიუჯეტის, ისე ეროვნული უშიშროების პოლიტიკის განსაზღვრისას, უზრუნველყოფს ხელისუფლების ერთადერთი წყაროს, საქართველოს ხალხის ინტერესების დაცვას.

მედია გათავისუფლდება სახელმწიფო კონტროლისაგან და თავად იქცევა ხელისუფლების კონტროლის მექანიზმად, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებას მრავალმხრივი, მიუკერძოებელი ინფორმაციის საფუძველზე არჩევანის საშუალებას მისცემს.

სასამართლო დაცული იქნება ნებისმიერი გარე გავლენისგან. მართლმსაჯულების აღსრულება დაეფუძნება ერთადერთ პრინციპს — კანონის უზენაესობას.

ქვეყნის გამთლიანება ჩვენი ოსი და აფხაზი თანამემამულეების ქართული სახელმწიფოსადმი ნდობის აღდგენით დაიწყება. გვწამს, რომ ამ პრინციპებისადმი საზოგადოების თითოეული წევრის ერთგულება, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური აღმსარებლობის და პოლიტიკური მრწამსისა, „ქართული ოცნების“ ასრულებამდე ოცნების საქართველოს. საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ მიზანია უზრუნველყოს საზოგადოების გავლენა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე და მაქსიმალურად ჩააბას იგი ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი პრობლემების განსაზღვრასა და განხილვაში.

## „ერთად ავიხდინოთ ქართული ოცნება!“

ბიძინა ივანიშვილი

საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ გამოცდილ სპეციალისტებთან ერთად განსაზღვრავს და მათი დახმარებით შეიმუშავებს კონკრეტულ სამოქალაქო გეგმას სამართლის, ადამიანის უფლებების, მართლმსაჯულების, ეკონომიკური პოლიტიკის, სოფლის მეურნეობის, ეკოლოგიის, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, მეცნიერების, კულტურის, საგარეო პოლიტიკის, კონფლიქტების მოგვარების, რეგიონალური პოლიტიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის, ეროვნული უმცირესობების, უსაფრთხოების, ახალგაზრდობისა და სპორტის აქტუალურ საკითხებზე. საზოგადოებრივ მოძრაობასთან არსებული თემატური ჯგუფები შეისწავლიან ცალკეულ დარგებში არსებულ ვითარებას და შეიმუშავებენ განვითარების ეფექტიან მოდელებს. ჯგუფების წევრები კონსულტაციებს გამართავენ კონკრეტული სფეროების ექსპერტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან.

ჩამოყალიბდება რეგიონალური სტრუქტურები, რომელთა მთავარი მიზანი იქნება საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია სამართლიანი საარჩევნო გარემოს შესაქმნელად, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სახელმწიფო მმართველობაში ხალხის ნდობით აღჭურვილი პოლიტიკური ძალების მოსვლას.



### საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა სარეგისტრაციო ბლანკი

სახელი ---------------------------------------------------------------

გვარი ----------------------------------------------------------------

მამის სახელი --------------------------------------------------------

დაბადების თარიღი ------------------------------------------------

მისამართი (პირადობის მოწმობის მიხედვით) ----------------

------------------------------------------------------------------------

(რაიონი, ქუჩა)

მისამართი (ფაქტობრივი) -----------------------------------------

ტელეფონი (მობილური) ------------------------------------------

ტელეფონი (სახლის) ----------------------------------------------

ელ.ფოსტა -----------------------------------------------------------

თანახმა ვარ გავხდე საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი

ხელმოწერა ---------------------------------------------------

**Tbi l isi, erek l e II Sesaxvevi #3**

**te l .: +995 32 260 47 67; +995 32 260 44 17; +995 32 260 44 07**

**www.georgiandream.ge; info@georgiandream.ge**